

## **XXXVIII**

**რესპუბლიკური დიალექტოლოგიური  
სამეცნიერო სესიის  
მასალები**

ოსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების  
ინსტიტუტი  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

## XXXVIII

# რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები

ბათუმი, 2018 წლის 9-10 ნოემბერი

ედღვნება აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას  
დაბადების 120 წლისთავს

თბილისი  
2018

დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია გაიმართება **2018 წლის 9-10 ნოემბერს** ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ბათუმი, ნინოშვილის ქ. № 35)

რედაქტორი – **მერაბ ჩუხუა**

სარედაქციო ჯგუფი: **თეა ბურჭულაძე, ლევან კოჭლამაზაშვილი**

ტექნიკური რედაქტორი **ლევან ვაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **რუსუდან გრიგოლიასი**

© თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი  
ISBN

## **სამეცნიერო სესიის მუშაობის განრიგი**

მისაღება – 3-5 წუთი  
მოხსენება – 10-15 წუთი  
შეკითხვა – 2 წუთი  
პასუხი – 2-3 წუთი  
მსჯელობა – 5 წუთი

### **9 ნოემბერი**

ლონისძიების გახსნა – 12:00 სთ  
პლენარული სხდომა – 12:00-12:30  
შესვენება – 12:30-13:00  
სექციური სხდომები (I, II, III, IV, V) – 13:00-16:00 სთ  
სექციურ სხდომათა შეჯამება – 16:15  
ოფიციალური ვახშამი – 18.00

### **10 ნოემბერი**

სექციური სხდომები (I, II, III, IV, V) – 10:00-12:00 სთ  
შესვენება – 12:00-13:00  
სესიის შეჯამება და დახურვა – 13:30 სთ

**9 ნოემბერი, 12:00 სთ.**

### **კონფერენციის გახსნა**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზი

**შესავალი სიტყვა** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი **მერაზ ხალვაში**

### **მ ი ს ა ლ მ ე ბ ე ბ ი:**

**თორნიკე რიყვამე** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე

**ლაშა კომახიძე** – ქალაქ ბათუმის მერი

**ნანა მაჭავარიანი** – თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი

**ანზორ ხოლქვაძე** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**ვანო პაპუნძიძე** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის ბიუროს ხელმძღვანელი

**როინ მალაყმაძე** – ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორი

**ახლადგამოცემული ლექსიკონების წარდგინება**

## I სექცია

13:00-16:00 სთ, 118-ე აუდიტორია

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ბ ი: **თამარ ვაშაკიძე, ტარიელ ფუტყარაძე**

**თამარ ვაშაკიძე** (თბილისი), მუხრან მაჭავარიანი – იმერიზმები დიალოგურ ლექსში

**თალიკო ბერიძე** (ბათუმი), მეფუტკრეობასთან დაკავშირებული ზოგიერთი ლექსიკური ერთეულის შესახებ აჭარულში

**მარიამ კობერიძე** (გორი), სიდიდის აღმნიშვნელი ლექსიკა ქართულურში (ქართული დიალექტის ლექსიკონის მასალების მიხედვით)

**ნინო ხახიაშვილი** (თბილისი), ქართულ ტრადიციაში დამკვიდრებული (სახეცვლილი) რამდენიმე ბიბლიური ლექსემა

**ტარიელ ფუტყარაძე** (თბილისი), ზანურ-სვანური ლექსიკის ადგილისათვის ქართული ენის ახალ განმარტებით ლექსიკონში

## II სექცია

13:00-16:00 სთ, 128-ე აუდიტორია

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ბ ი: **ნარგიზ ახვლედიანი, მამია ფაღავა**

**მაკა ბერიძე** (ახალციხე), დიალექტური ლექსიკა ჟურნალ „ჭოროხში“ დაბეჭდილი პოეტების ენაში

**ნიკო ოთინაშვილი** (ცხინვალი), მცენარეთა სახელები და წარმოება რაჭაში ჩაწერილი მასალის მიხედვით

**ნარგიზ ახვლედიანი** (ბათუმი), მცენარეთა სახელიდან მომდინარე ერთი ტოპონიმის კვლევისათვის

**მიხეილ ლაბაძე** (თბილისი), ლაზურ კილოთა ლექსიკა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისათვის  
**თეონა მაჭავარიანი** (ქუთაისი), იმერული დიალექტური ლექსიკონისათვის (ოკრიბული მასალის მიხედვით)  
**მამია ფაღავა** (ბათუმი), სუფიქსური წარმოების ერთი შემთხვევა მარადიდის ტოპონიმიში

### III სექცია

13:00-16:00 სთ, 105-ე აუდიტორია

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ბ ი: **მაია კიკვაძე, ნათელა მელიქიძე**

**ნათელა მელიქიძე** (ახალციხე), თურქული ლექსიკა ასპინძის მუნიციპალიტეტის ანთროპონიმიში  
**ირა ქათამაძე** (ხიჭაური), უჩამბის ხეობის ზოგიერთი ლექსიკური თავისებურების შესახებ (ორი სოფლის მაგალითზე)  
**მანანა ჩაჩანიძე** (თბილისი), „ხევსურული საგა“, როგორც დიალექტოლოგიისათვის მნიშვნელოვანი ერთი ტენდენციის ნიმუში თანამედროვე ქართული პოეზიიდან  
**ნინო მაშია** (სოხუმი), სამიწათმოქმედო შრომასთან დაკავშირებული ლექსიკა ლაზურში  
**ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი** (თბილისი), მცენარე *ჩალამძივას – Coix lacryma* აჭარული სახელების მოტივაციისა და *ღაჭ* ლექსიკური ძირის სემანტიკისთვის  
**მაია კიკვაძე** (ბათუმი), რამდენიმე ლექსიკური ერთეულის კვალიფიკაციისათვის

### IV სექცია

13:00-16:00, 103-ე აუდიტორია

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ბ ი: **ნონა ქეცბაია, იგორ კეკელია**

**ნარგიზა სურმავა** (ბათუმი), პარალინგვიზმები, ელიფსისი და ტრანსპოზიციის გზით მიღებულ ნაწილაკები (და, რა)  
**ნონა ქეცბაია** (სოხუმი), ხელობის აღმნიშვნელი ტერმინები მეგრულში (სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი)

**რევაზ შეროზია** (ზუგდიდი), ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხისათვის  
**ნინო მახარაძე** (ბათუმი), აჭარული დიალექტი და სულხან-საბას „სიტყვის კონა“  
**ნანა ცეცხლაძე** (ბათუმი), *ჭამა* კომპონენტის შესიტყვებანი ქართული ენის დიალექტებში  
**იგორ კეკელია** (მარტვილი), მდინარე ენგურის ისტორიული და თანამედროვე სახელწოდებებისათვის

## V სექცია

13:00-16:00, 104-ე აუდიტორია

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ბ ი: **მანანა ტაბიძე, ომარ მემიშიში**

**ნინო ჯორბენაძე** (თბილისი), ბილინგვიზმი და ქართული ენის სამხრულ-დასავლურ დიალექტები  
**ომარ მემიშიში** (ბათუმი), ზმნისწინთა სისტემა სარგის მეტყველებაში  
**მაია გელაშვილი** (სოხუმი), ქართულიდან ნასესხები რწმენა-წარმოდგენებისა და რიტუალის ლექსიკა ოსურში  
**ნუგზარ ანთელავა** (თბილისი), აფხაზური „ათლარ||ეთლარ ჩოფა“-ს ამოსავალი სემანტიკისათვის  
**მანანა ტაბიძე** (თბილისი), დიალექტური ლექსიკა და ნორმა

10 ნოემბერი

## I სექცია

10:00-12:00 სთ, 112-ე აუდიტორია

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ბ ი: **შუმანა ფუტკარაძე, ელენე ფილაშვილი**

**ნინელი ჭოხონელიძე** (თბილისი), ზოგიერთი ომონიმის (1. ზანდუკი; 2. დოლაბი; 3. აკუმი) ისტორიისთვის  
**ელზა ფუტკარაძე** (ხიჭაური), ლექსიკური ერთეულები დევსქელის ხეობის მეტყველებიდან  
**ნაილე მიქელაძე** (ახალციხე), სამცხე-ჯავახეთის ზოგიერთი ტოპონიმის შესწავლისათვის

**ლელა გიგლემიანი** (თბილისი), სვანური ტოპონიმიკური ლექსიკა ნ. ანისიმოვის მოგზაურობის წიგნში

**ელენე ფილაშვილი, ნუნუ გელდიაშვილი** (თელავი), ზოგი ლექსიკური ერთეულის „სამხილავის“ შესახებ

## II სექცია

10:00-12:00 სთ, 218-ე აუდიტორია

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ბ ი: **ციალა ნარაკიძე, ვიანორ ახალაია**

**ნანული ნოლაიდელი** (ბათუმი), ჯემალ ნოლაიდელი და აჭარული დიალექტის ლექსიკა (ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა)

**რევაზ აბაშია** (თბილისი), ქართული დიალექტური ლექსიკა და საერთო-ქართველური ფუძე-ენის რეკონსტრუქციის ზოგიერთი საკითხი. II

**მანანა ზუკია** (თბილისი), ორენოვანი სინონიმებისათვის ლაზურში (თვეების ადმინიშენელი სახელები)

**ვიანორ ახალაია** (გორი),-შენი კავშირის აგებულებისა და ფუნქციისათვის ზანურში

**ციალა ნარაკიძე** (ბათუმი), ზოგიერთი ლექსიკური ერთეულისათვის ლაზურში

## III სექცია

10:00-12:00 სთ, 115-ე აუდიტორია

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ბ ი: **მაია მიქაუტაძე, ვაჟა შენგელია**

**მაია მყავანაძე** (ბათუმი), ზმნისწინთა დიალექტური ფორმები ახალ ქართულში

**ვაჟა შენგელია** (თბილისი), ოდენპრეფიქსული სიტყვაწარმოება მეგრულში **თინათინ თურქია** (ქუთაისი), სოციოლექტისა და გეოგრაფიული დიალექტის მიმართების საკითხისათვის

**თეა ტეტელოშვილი** (თბილისი), დიალექტიზმები ქართულ ხალხურ სატრფიალო პოეზიაში

**ეკა დადიანი, მაია მიქაუტაძე** (ქუთაისი), ტაოური დიალექტური ლექსიკისათვის



## IV სექცია

10:00-12:00 სთ, 113-ე აუდიტორია

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ბ ი: **მედია რიჟვაძე, ცირა ჯანჯღავა**

**მაკა ლაზარტყავა** (თბილისი), დიალექტიზმები ქართულ ხალხურ ზღაპარში  
**ლევან კოჭლამაზაშვილი** (თბილისი), ქიზიყური ლექსიკის შესწავლის ძირითადი ასპექტები

**ნანა სააკაძე** (თბილისი), ადამიანის ხასიათ-თვისებების აღმნიშვნელი ლექსიკა (ქვემოქართლური კილოკავის მიხედვით)

**კესო გეჯუა** (თბილისი), მეგრული ლექსიკა კონსტანტინე გამსახურდიას ნოველებში და ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

**მედია რიჟვაძე** (ხიჭაური), ღორჯომის მეტყველებაში დაცული რამდენიმე აღმოსავლური ერთეული

**ცირა ჯანჯღავა** (თბილისი), სემანტიკური ცვლის შესახებ მეგრულის ზოგნასესხებ სიტყვაში

## V სექცია

10:00-12:00 სთ, 105-ე აუდიტორია

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ბ ი: **იზა ჩანტლაძე, მერაბ ჩუხუა**

**შალვა გაბესკირია** (თბილისი), შოთა რუსთაველის მშობლიური კილოს საკითხისათვის „ვეფხისტყაოსნის“ დიალექტიზმების მიხედვით

**იზა ჩანტლაძე** (თბილისი), იფხ-/იმფხ-/-იმხ- ძირი სრულიად საქართველოში

**შუშანა ფუტყარაძე** (ბათუმი), არქაული ლექსიკა ტაო-კლარჯულ კილოებში  
**მერაბ ზერიძე** (ახალციხე), ჯავახური დიალექტის ლექსიკური გააქტიურება პოეტის შემოქმედებაში

**მერაბ ჩუხუა** (თბილისი), ქალაქ- ფუმის ეტიმოლოგიის ცდა

სესიის შეჯამება და დახურვა, 12:00-13:00 სთ. სააქტო დარბაზი  
სტუმრების გაცილება, 13:15

## **რევაზ აბაშია**

### **ქართული დიალექტური ლექსიკა და საერთოქართველური ფუძე-ენის რეკონსტრუქციის ზოგიერთი საკითხი. II**

ქართული დიალექტური ლექსიკის გათვალისწინების გარეშე სრულფასოვანი ვერ იქნება არა მხოლოდ სამწერლობო ქართული ენის სტრუქტურის სინქრონიული ანალიზი, არამედ, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ქართველურ ენათა ისტორიული ვითარების რეკონსტრუქციაც.

ქართული ენის დიალექტებშიც, ისევე, როგორც ზანურსა და სვანურში, დასტურდება ქართველური ფუძე-ენის სისინა სიბილანტების როგორც სისინა (იდენტური), ისე შიშინა ეკვივალენტები. ქართული დიალექტური ლექსიკაც მეტ-ნაკლებად ცხადყოფს საერთო წარმომავლობისა და იდენტური აგებულების ფუძეებში სისინა და შიშინა სიბილანტების მონაცვლეობას. ქართულ დიალექტებში წინა რიგის (სისინა) სიბილანტებს ენაცვლება უკანა რიგის (შიშინა) სიბილანტები, ე.ი. ზანურ-სვანურში ისტორიულად მომხდარი არტიკულაციური გადაწევის მსგავსად, ქართულ დიალექტურ ლექსიკაშიც ამოსავალ სისინა სიბილანტებთან ერთად ვხვდებით საწარმოთქმო ადგილის უკან გადაწევის შედეგად მიღებულ უკანა რიგის შიშინა სიბილანტებსაც.

სიბილანტები, როგორც ცნობილია, ქმნიან „სადემარკაციო ხაზს“ ქართველურ ენათა შორის (გ. მაჭავარიანი). ამ ხაზს ერთგვარად ანეიტრალებს ქართულ დიალექტებში და ასევე სამწერლობო ქართულში შემონახული საერთოქართველური ფუძეები, სადაც წინა რიგის (სისინა) სიბილანტებს ენაცვლება უკანა რიგის (შიშინა) სიბილანტები, ისევე, როგორც ზანურ-სვანურში და, ამდენად, იქმნება უფრო მეტი საფუძველი ქართველური ენებისა და დიალექტების სიხლოვისა და მათ შორის „სადემარკაციო ხაზის“ მოშლისა.

ქვემოთ წარმოდგენილია ქართული დიალექტური (და, ამასთანავე, დიალექტების მეშვეობით სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებული) ლექსიკის ერთი ნაწილი, სადაც ურთიერთმონაცვლე სისინა და შიშინა სიბილანტებს სინქრონიულ დონეზე სახეცვლილების ფონეტიკური (ან სხვა ხასიათის, გარდა დიალექტურისა) საფუძველი არ უჩანთ (ამ დიალექტურ ცვლილებებს დიაქრონი-

ულ დონეზე, ცხადია, ძირითადად ფონეტიკური მიზეზები განაპირობებდა):

**წინა რიგის (სისინა) სიბილან-  
ტიანი ფუძეები**

**ბეზ**-ვა (სალიტ. ქართ., იმერ.),  
**ბაზ**-უ-ა (ზან.)  
**ზეზ**-ვა (იმერ.)  
**ზეპ**-ვა (ქეგელ), **ზაპ**-უ-ა (ზან.)  
**ზრზ**-ოლ-ა (ძვ. ქართ.), **ზორზ**-  
ალ-ი (მესხ.),  
**ზარზ**-ალ-უ-ა (ზან.)  
**ზღმარტლ**-ი (სალიტ. ქართ.)  
**კვნიწ**-ი (ქართლ., ქიზიყ.)  
**კნაწ**-ა (ქიზიყ.)  
**ნარცხ**-ი (ქიზიყ.)  
**ცენდარ**-ი (ფშ., იმერ.)  
**ცანდარელ**-ი (ზან.)  
**ძაბ**-უნ-ი (სალიტ. ქართ.)  
**ძაჯველ**-ი, **ძახველ**-ი,  
**ძახველ**-ა, **მძახველ**-ი (მთი-  
ულ., ფშ., ქვ.-რაჭ., ლეჩხ., იმერ.)  
**ძენძ**-ი (სალიტ. ქართ.)  
  
**ძონძ**-ი (სალიტ. ქართ.)  
**ძაგარ**-ი (ხევს.), **ძაგარ**-ა-ი  
(გურ.)  
**ძირკ**-ი (გურ.)  
  
**ძმერხლ**-ი (გურ.)  
**წნებ**-ა, **წნებ**-ვა (სალიტ. ქართ.,  
გურ., იმერ.)  
**წვინთ**-ი, **მო-წვინთ**-ულ-ი  
(გურ.)

**უკანა რიგის (შიშინა) სიბილან-  
ტიანი ფუძეები**

**ბეჟ**-ვა (სალიტ. ქართ.)  
**ჟეჟ**-ვა (სალიტ. ქართ., გურ.),  
**ჟაჟ**-უ-ა (ზან.)  
**ჟეპ**-ა (სალიტ. ქართლ., რაჭ.)  
**ჟრჟ**-ოლ-ა (ახ. ქართ.), **ჟრჟ**-ო  
(ქიზიყ.),  
**ჟარჟ**-ალ-უ-ა (ზან.)  
**ჟღმარტლ**-ი (ქართლ., მესხ.)  
**კვნიჭ**-ი (ლეჩხ.)  
**კნაჭ**-ა (ლეჩხ., ზ.-იმერ., ქიზიყ.)  
**ნარჩხ**-ი (ქიზიყ.)  
**ჩენდარ**-ი (ლეჩხ.)  
**ჩენდარი** (სვან.)  
**ჯაბ**-უნ-ი (გურ.)  
**ჯახველ**-ა (ქართლ., მესხ., რაჭ.)  
**ჯაჯტერ** (სვან.)  
  
**ჯენჯ**-ი (სალიტ. ქართ., იმერ.,  
გურ.)  
**ჯონჯ**-ი (მთიულ.)  
**ჯაგარ**-ი (სალიტ. ქართ.)  
  
**ჯირკ**-ი (სალიტ. ქართ.) **ჯიკ**-ი  
(ზან.)  
**ჯმერხლ**-ი (იმერ.)  
**კნებ**-ა (გურ.), **კნებ**-ვა (იმერ.)  
**ო-კინახ**-უ (ზან.)  
**კვინტ**-ი (სალიტ. ქართ.), **მო-  
კვინტ**-ულ-ი (გურ.)

ასეთი ერთგვარად დუბლეტური ფუძეები ქართული ენის დიალექტებში მრავლად გვხვდება და, როგორც ჩანს, მათი გათვალისწინება აუცილებელია ქართველურ ენათა ისტორიული ურთიერთმიმართების არაერთი მნიშვნელოვანი საკითხის გასარკვევად.

## **ნ უ გ ზ ა რ ა ნ თ ე ლ ა ვ ა**

### **აფხაზური „ათლარ || ეთლარჩოფა“ – ამოსავალი სემანტიკისათვის**

აფხაზური **ათლარ||ეთლარჩოფა** რიტუალი და საწესო-საფერხულო სიმღერაა, რომელიც მეხნაკრავი ადამიანის, ცხოველის ან ხის გარშემო სრულდება (იციოდნენ ასევე საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებზე, ნებისმიერ საგანზე მეხის დაცემისა და ხანგრძლივი გვალვის შემთხვევებში, იალაღებზე საქონლის გარეკვისა და უკან მობრუნების ჟამს, ზოგიერთი დაავადებების – ეპილეფსიის, გონწასვლის, გულშეღონების დროს). აბჟუელი აფხაზები ყვავილბატონების მფარველი ღვთაებების – ახი ზოსხანისა და ხანია შქვაქვას პატივსაცემად ათლარჩოფას მღერიან.

აფხაზური ათლარჩოფას იდენტური რიტუალი და საწესო-საფერხულო სიმღერაა ოსური ალდარცოფაჲ. გარდა ოსებისა, მას „ჩოფას“ (აბაზები, ყარაჩაელები და ბალყარელები), „ილირჩოფას“ (ჩერქეზები), „ანდირ-შოფას“ (ნოღაელები) სახელებით იცნობენ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ხალხებიც.

„ათლარჩოფა“ ტერმინის მნიშვნელობა აფხაზთათვის გაუგებარია. მისი პირველი ნაწილი „ათლარ||ეთლარ“ იგივე უნდა იყოს, რაც ოსებისათვის ცნობილი რიტუალის სახელწოდებასა და სიმღერის ტექსტში დაცული ალდარი - „ბატონი“, რაც შეეხება „ჩოფას“, იგი, როგორც ჩანს, ღვთაების სახელია, მაგრამ არც ოსური და არც პალეოკავკასიური მითოლოგია აღნიშნული სახელის მქონე ღვთაებას არ იცნობს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ რიტუალისა და საფერხულო სიმღერის სახელწოდება დასავლელმა პალეოკავკასიელებმა ისესხეს ყარაჩაელებისა და ბალყარელებისაგან, რომელთა წარმართულ პანთეონში ჭეჟა-ქუხილის ღვთაება ჩოფას უზენაესი ღმერთის,

თეირის (თენგრის), შემდეგ გამორჩეული ადგილი ეკავა და განსაკუთრებული პატივითა და პოპულარობით სარგებლობდა. ჩოფას სახელობის სალოცავები დიდი ყარაჩის უყყულანისა და ხურზუყის საზოგადოებებში მდებარეობდა. ხურზუყში, სადაც რიტუალური ცეკვით („ჩოფა-ლაბარიუ“) თანხლებული მისი სახელობის დღეობა – ჩოფა-თოდ – მეზობელი საზოგადოებების (აფხაზეთიდან ოსეთის ჩათვლით) წარმომადგენელთა მონაწილეობით აღინიშნებოდა, თავყრილობა თითქმის ერთი თვე გრძელდებოდა.

დამკვიდრებული აზრის თანახმად, ძველთურქულად მიჩნეული თეონიმი ჩოფა კომპოზიტია, რომლის პირველი სეგმენტი მომდინარეობს სიტყვიდან **ჩოლ** „თავთავი, მარცვლოვანი“, მეორე კი – სიტყვიდან **ზაი** „ღმერთი“, ე. ი. „მარცვლოვანთა ღმერთი“.

ტერმინი „ჩოფა“, განსაკუთრებით მისი ოსური ფორმა „ცოფა“ მატერიალურ და სემანტიკურ (აფხაზები და ჩრდილოკავკასიელები ჩოფას|ცოფას უმღერიან გულწასულ, გონწართმეულ ადამიანსა და სულთ ავადმყოფს) სიახლოვეს ავლენს ქართულ „ცოფ-ი“ სიტყვასთან (შდრ. „ცოფი არს გონება და ცნობა მომარცვული“, საბა). როგორც ჩანს, არქაული ადამიანი გაგიჟებას, გაცოფებას, ცნობისა და გონების წართმევას ჭეჭა-ქუხილის ღვთაების რისხვას მიაწერდა.

## **ვ ი ა ნ ო რ ა ხ ა ლ ა ი ა**

### **-შენი კავშირის აგებულებისა და ფუნქციისათვის ზანურში**

ჰანურში **-შენი** რადგანაც კავშირის მნიშვნელობით იხმარება. იგი გამოიყოფა ჰან. მუშენი „რატომ“, „რისთვის“ ზმნისართშიც.

მეგრულშიცაა -შენი გამოსაყოფი ზმნისართებში მი-შენი „ვისთვის“, თი-შენი „მისთვის“, თუმცა იგი აქ კავშირად არ გამოიყენება, მის ნაცვლად მეგრულში დასტურდება ქართულიდან შემოსული **რადგან** კავშირის ფონეტიკური ვარიანტები რადგანას // რადგანს // რადგანანც // რადგანც // რადგან // რადგანც // რახანც // რახანე // რახან // რალან.

თიშენი 1. „ამიტომაც“, 2. „რადგანაც“, „იმიტომ რომ“, „მის-თვის“ (შდრ. თი „ის“), მიშენი „ვისთვის“ (შდრ. მი, მინ „ვინ“). ი. ყიფშიძე მიუთითებს **მი-შე** „ვისგან“, მი-შა „ვისკენ“ ... სადაც **-შე** – დაშორებითი ბრუნვის ნიშანია, ხოლო **-შა**- მიმართულებითისა, **-ნი** კი „რომ, როცა, თუ“ კავშირს წარმოადგენს.

**-შენი** მორფემიანი ზმნისართები (მუშენი „რატომ“ (ჭან.) მიშე-ნი „ვისთვის“, თიშენი „მისთვის“ (მეგრ.) მიღებულია **-ნი** კავშირ-ნა-წილაკიანი დამოკიდებული წინადადების გამარტივების ნიადაგზე: მუშე-ნი („რატომ“) ← მუ-შე-რე-**ნი** („რისთვის რომ არის“), მიშე-ნი („ვისთვის“) ← მი-შე-**რე-ნი** (ვისთვისაც რომ არის“) გ. როგავა.

მეგრ. ცირა-შენი „ქალიშვილის შესახებ“, ჭან. თომა-შენი „თმის შესახებ“ ფორმებში **-ნი**-ს გამოყოფენ თანდებულად, სინამდვილეში კი ჩვენ საქმე გვაქვს დამოკიდებული წინადადების გამარტივებულ სახეობასთან: მეგრ. ცირა-შე-ნი („ქალიშვილის შესახებ“, „ქალიშვილზე“). ცირაშე-რე-ნი „ქალიშვილის შესახებ რომ არის“, უკეთ, თანდებულიანი ბრუნვის ფორმისაგან – მეგრ. ცირაშე (ქალიშვილისაგან“) იწარმოება ცირა-შე-რე-ნი („ქალიშვილისაგან რომ არის ის“) → ცირა-შე-ნი „ქალიშვილის შესახებ“; ჭან. ბერე-შე („ბიჭისაგან“), ბერე-შე-რე-ნი („ბიჭისგან რომ არის“) → ბერე-შე-ნი („ბიჭის შესახებ“).

ცირა-შე-ნი, ბერე-შე-ნი ფორმაში **-ნი** კავშირ-ნაწილაკია და არა თანდებული. თანდებულის ფუნქციას ამ ფორმაში ცირა-შე(ნი) ასრულებს **ე** კომპონენტი – ცირა-შე-ნი „ქალიშვილისაგან“, შდრ. ცირა-შ-ა „ქალიშვილთან“ (გ. როგავა).

ამდენად, **-ნი** „რომ“ კავშირია თუ კავშირ-ნაწილაკი, ერთი ცხადია, ის გამოიყოფა მისი წინმავალი **-შე-საგან** (-შენი) და, ამ შემთხვევაში ორივე დიალექტისთვის – მეგრულისა და ჭანურისათვის საერთოა. თუმცა ცალკე **-ნი**//**-ნ** „რომ, როცა, თუ...“ მნიშვნელობით მხოლოდ მეგრულში გვხვდება და ჭანურში არ ჩანს, მაგრამ რთული შედგენილობის განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელისა და ზმნისართის გაანალიზების შედეგად ირკვევა, რომ **-ნი** სუფიქს-ნაწილაკი ჭანურის კუთვნილებაც ყოფილა. ჭანურის ეს **-ნი**, ჩანს, მეგრულის სათანადო ნაწილაკის არა მარტო მასალობრივ იდენტურია, არამედ - ფუნქციურიც: იგი მთავარი წინადადების მისამართ წევრთა მიმართების გასამლიერებელი ერთ-ერთი საშუალება უნდა ყოფილიყო (გ. როგავა). შემდეგ კი გაიფართოვა ფუნქცია და კავშირის როლშიც მოგვევლინა. ამავე ფუნქციისაა დღეს ჭანურში **-ნა** ელემენტიც.

## ნ ა რ გ ი ზ ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი

### მცენარეთა სახელიდან მომდინარე ერთი ტოპონიმის კვლევისათვის

ტოპონიმთა სემანტიკური კლასიფიკაციისას ანგარიში უნდა გაეწიოს სწორედ ტოპონიმის მნიშვნელობას – რას აღნიშნავს იგი.

ტოპონიმის მნიშვნელობა ობიექტურ სინამდვილეში არსებულ გეოგრაფიულ ობიექტზე მითითებაში მდგომარეობს. უმეტეს შემთხვევაში იმის ჩვენება, თუ რას აღნიშნავს გეოგრაფიული სახელი, ნათელყოფს მოტივს, რომელმაც შეაპირობა ამა თუ იმ ტოპონიმის არჩევანი.

ამჯერად საანალიზოდ წარმოვადგენთ ერთ ტოპონიმს. ესაა **ოჩორჩხინე** – ლელე-სოფელი ალამბარი, ქობულეთის მუნიციპალიტეტში და **საჩორჩხე** – ტყე სოფელ ზედა ჩხუტუნეთში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში.

## მ ა კ ა ხ ე რ ი ძ ე

### დიალექტური ლექსიკა ჟურნალ „ჭოროხში“ დაბეჭდილი პოეტების ენაში

მხატვრული (პოეტური) ენის სხვადასხვაგვარი გაგების ანალიზის საფუძველზე ზოგადი განმარტება შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: მხატვრული ლიტერატურის ენა არის იმ ენობრივი საშუალებებისა და წესების სისტემა, რომელიც ყველა ეპოქაში განსხვავებულია, თუმცა თანაბრად იძლევა საშუალებას, შექმნას მხატვრულ ლიტერატურაში წარმოსახული სამყარო.

მხატვრული ლიტერატურის ენის ლინგვისტური ანალიზის ახალი მიდგომების გათვალისწინებით საინტერესოა დიალექტური ლექსიკის და თანამედროვე ქართული პოეზიის ენის ურთიერთმომართების საკითხი.

საკვლევ მასალად გამოყენებულია სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივ ჟურნალ „ჭოროხში“ დაბეჭდილი პოეზიის

ენა. კვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველად აღებულია თანამედროვე ენათმეცნიერებაში გამოყენებული თეორიული მეთოდები. დაკვირვების, აღწერისა და ანალიზის მეთოდის საშუალებით შესწავლილია მხატვრული ტექსტის ლინგვისტური ანალიზის დღემდე არსებული მიდგომები.

კვლევისას ყურადღება გამახვილებულია ორ მთავარ საკითხზე: რა მიზნითა და ფუნქციით იყენებს ავტორი დიალექტურ ლექსიკას და საბოლოოდ რა შედეგამდე მივდივართ მხატვრულ ენაში დიალექტური ლექსიკის გამოყენებით.

საკვლევი მასალის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ უმრავლეს შემთხვევაში დიალექტური ლექსიკის გამოყენება მწერლის თვითმიზანი არ გახლავთ. შემოქმედი ამას გარკვეული ჩანაფიქრის განსახორციელებლად ქმნის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყოველთვის იოლი არ არის მწერლის ამ არჩევანის მიზეზების ზუსტი მიგნება.

იკვეთება დიალექტური პოეტის მიერ ლექსიკის გამოყენების რამდენიმე ფუნქცია:

ა) იყენებს ლექსიკას გამორჩეული ლიტერატურული სტილის შესაქმნელად.

ბ) იყენებს ლექსიკას მეტყველების გასაცოცხლებლად, რომელიც ქმნის ავტორისთვის საჭირო გარემოს და კოლორიტს. ამ დროს შედეგი ყოველთვის არ არის ავთენტური, რამდენადაც შექმნილი სამყარო უმეტესწილად ხელოვნურია.

გ) იყენებს ლექსიკას, რომელიც, ფაქტობრივად, ცოცხალ დიალექტშიც კი არ იხმარება ან გვხვდება ძალიან იშვიათად. ამ დროს შეიძლება ნაწარმოების ლიტერატურული ღირებულება დაბალია, მაგრამ მთავარი მიზანია ფორმის შენახვა.

დ) იყენებს ლექსიკას რითმისთვის, რიტმისა ან სხვა მხატვრული ხერხებისათვის.



## მერაბ ბერიძე

### ჯავახური დიალექტის ლექსიკური გააქტიურება პოეტის შემოქმედებაში

1. პოეტური ორიგინალურობის თვითდამკვიდრების ერთი ფორმა შეიძლება იყოს დიალექტური ლექსიკის გააქტიურება. ჯავახური დიალექტი არასდროს ყოფილა ქართველ პოეტთა შემოქმედების ანგარიშგასაწევი მასაზრდოებელი წყარო. ამ მხრივ თავი გამოიჩინა ახალგაზრდა პოეტმა გიორგი ბერიძემ, რომელიც ცდილობს, ხაზი გაუსვას თავის ჯავახობას და მიანიშნოს მკითხველს ამის შესახებ შესაბამისი დიალექტით:

**„ვერა მცნობულამ ჯავახსა,  
სვედით ვარ დავლათიანი,  
დიდი ტყიბოლო ფესვი ვარ,  
შემოვრჩი ინადიანი“.**

2. პოეტისათვის „ჯავახური“ გამოხატავს არა მხოლოდ დიალექტურ ერთეულს კონკრეტულად, არამედ სოციუმის ისტორიული მეხსიერების, მისი რეგიონული მასშტაბურობის აპელირებას, რაც, თავისთავად, საერთო ეროვნული ღირებულების ელემენტებიცაა (ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას: მესხურიც, ტაო-კლარჯულიც, სამცხე-საათაბაგოურიც). პირველ რიგში ამაზე მიანიშნებს ონომასტიკური ლექსიკა, რომელიც დაკავშირებულია ისტორიულ ფაქტებთან და ჩვენი ღირსების საზომად ითვლება:

**„ხან ოშკი ტამარ ვაგენდი,  
ანხან კუმურდოს ვსწავლონდი,  
თამარი დროშას ვიტანდი,  
ტარიელივით ვყვარონდი.  
აუუ! რა რიგად ვნატრულონ,  
ჩვენ შალვას გავეყე ბასიანს,  
ხანძთას სანთლები დავანთო,  
ვაზი ვახარო არსიანს“**

ასე შემოდის გ. ბერიძის ლექსებში ისტორიული ტოპონი-  
მია, რომლის ნაწილი დღეს უკვე აღარ არის საქართველოს ტე-  
რიტორიაზე: ერუშეთი, აბული, სამსარი, საღამო, წუნდა, ბალან-  
თა, ხიზაბავრა („ბალანთულ-ხიზაბავრული“) ნიალა, შამქორი,

ხერთვისი, ჭაჭკარი, ნარიანის ჭალა, ვარძია, ოშკი, ხანძთა, კოთელია, უკანჭალა, ჯანჯღიხევი, წუნდის ტბა, ჭაჭრიმარანი, ტაბაწყური და სხვა.

3. ჯავახურისათვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულები, მართალია, პოეტურ სახეებს ხელოვნურობის ელფერს აძლევს, მაგრამ ავტორის მიზანი, რომ წარმოაჩინოს საკუთარი დიალექტი, ამითაც მიიღწევა. ასე ჩნდება შემდეგი ლექსიკური ერთეულები: დარანი, წივა, ინადი, ბაქმაზი, ჰანი, მამაი, დედაი, ჭელები, ჰეჩიათი, ბაბოი, ღიმი, ატოლი, ძრიენ, ყეჯელგულიანი, ნა (უნდა) და სხვანი.

4. ამასთან, ჯავახური ლექსიკის გამოყენება ავტორის ლექსებს მხატვრულობის თვალსაზრისით რაიმე მნიშვნელოვანს არ ჰმატებს.

## **თ ა ლ ი კ ო ბ ე რ ი ძ ე**

### **მეფუტკრეობასთან დაკავშირებული ზოგიერთი ლექსიკური ერთეულის შესახებ აჭარულში**

მეფუტკრეობა საქართველოში უძველესი და ამჟამადაც მნიშვნელოვანი დარგია. მისი ჩამოყალიბება ველური ფუტკრის მოშენებიდან იწყება.

მეფუტკრეობა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ძვ.წ. IV საუკუნეში ყოფილა გავრცელებული. ხანგრძლივი ისტორიის მიუხედავად ამ დარგის აქტიურად განვითარება საქართველოში მხოლოდ XIX საუკუნიდან დაიწყო. XXI საუკუნეში მეფუტკრეობის მნიშვნელობა და, შესაბამისად, მასშტაბები კიდევ უფრო გაიზარდა.

მეფუტკრეობა არამარტო სოფლის მეურნეობის დარგია, არამედ ერთგვარი ხელობაცაა და როგორც სხვა ხელობის წარმომადგენლებს მეფუტკრეებსაც სჭირდებათ სხვადასხვა სამუშაოს ჩასატარებლად შესაბამისი ხელსაწყოები, რათა მიიღონ უნიკალური პროდუქტი. ჩვენი მიზანია, აჭარულში მეფუტკრეობასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულების გამოყოფა და შესწავლა.

მეფუტკრეობაში გამოყენებული საჭირო ინვენტარია: საფუტებელაი, საწურავაი აპარატი (იგივე სეფერატორი), საკუჭნაო

(კორპუსი, სკა), ჩოთქი, ასტამი, დინდგელა, საფხეკი. დადასტურდა აგრეთვე ლექსიკური ერთეულები: დარაჯი ფუტკარი, ფუტკრის მოხმობა, საბალახოზე გაყვანა, ფუტკრის დავსება და სხვ.

როგორც ვხედავთ, აჭარულ დიალექტში მეფუტკრეობასთან დაკავშირებული საინტერესო ლექსიკური ერთეულები დასტურდება. ენის განვითარება ცხადყოფს, რომ ლიტერატურული ფორმები დღითიდღე ბატონდება და ფეხს იკიდებს დიალექტებში, რაც გაქრობას უქადის ცოცხალ, სასაუბრო მეტყველებას. ამიტომ ფორმები, რომლებიც ჯერ კიდევ შემონახულია აჭარულში, დროულად უნდა ჩაიწეროს; აუცილებელია მათი აღნუსხვა და სისტემატიზაცია.

## **მ ა ნ ა ნ ა ბ უ კ ი ა**

### **ორენოვანი სინონიმებისათვის ლაზურში (თვეების აღმნიშვნელი სახელები)**

ნებისმიერი ენის ლექსიკურ ფონდში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნასესხებ ლექსიკას. საყოველთაოდ ცნობილია უცხო ენათა (ძირითადად ბერძნულისა და თურქულის) გავლენა ლაზურზე, რაც ისტორიული გარემოებებითაა გაპირობებული.

ანალიზისთვის წარმოვადგენთ ერთ მეტად ლოკალურ დარგს, კერძოდ, თვეების აღმნიშვნელ სიტყვებს.

ცოცხალ მეტყველებასა და დოკუმენტირებულ ტექსტებში ხშირად გვხვდება ორენოვანი სინონიმები, ასევე ჰიბრიდული კომპოზიტები. გამოყენების სიხშირულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ თურქული ლექსიკა სჭარბობს ლაზურს. მეორე მხრივ, თვეების აღმნიშვნელ ლაზურ ლექსიკაში გვხვდება ქართველური (resp. ზანური) ფორმები, რომლებიც მეგრულმა უკვე დაკარგა.

იანვარი

ლაზური: **თუთა მორდერი** ზედმ. „მოზრდილი, გაზრდილი თვე“, **თუთადიდი** ზედმ. „დიდი თვე“, **წანალანი** ზედმ. „ახალი წელი“; უცხოენოვანი: **ზემერი II ზემფერი** (თურქ. zemher), **აენიილი**

თებერვალი

**ჭუტათუთა** ზედმ. „პატარა თვე“, **თეფერვალი**; **კუჭულამ**, **კუჭულაი**, **კუჭული**, **გაუჯული** (თურქ. gücük), **კუნდურა**, **კონდურა** მასი

**ფურქა** ზედმ. „ყვავილობა“, **მაესი**, **მაიესი**, **მაისი** ივნისი

**ბულობა** ზედმ. „ბლობა“, **ბულიშთუთა** „ბლის თვე“, **ქაერეზამ**, **ქერეზაი**, **ქერეზარი**, **ქეეზაი**, **ქირეზამ**, **ჩირეზამ** (თურქ. kirazay) ზედმ. „ბლის თვე“ ივლისი

**ქცაფერი თუთა** ზედმ. „დამპალი თვე“, **ივლისი**; **ჩურღაი**, **ჩულღაი**, **ჩურღამ**, **ჩურღუქ**, **ჭურღული** (თურქ. çürükay) ზედმ. „დამპალი თვე“; **ტურკეში/ტრუკეში**

აგვისტო

**მააშინა**, **მაააშინა**, **მარაშინა**, **მარიოშინა**, **მარაშინა**, **მარიაშინა** ზედმ. „მარიამის ხსენება“, **აღუსტოზი**, **აღუსთოზი**, **აგუსტე**, **აღუსტე** (ბერძ.)

სექტემბერი

**ჩხალვა** ზედმ. „ცეხვა“, **ეკენია** (შდრ. მეგრ. ეკენია), **სტოროშინა**, **სტაროშინა**; **ეველგაუზ** (არაბ.-თურქ. evelgüz) ზედმ. „პირველი შემოდგომა“, **იფთიგაუზი** სექტემბერი ზედმ. „პირველი შემოდგომა“, **იფთისთველი** ზედმ. „პირველი შემოდგომა“, ეს უკანასკნელი ორენოვანი კომპოზიტია – **იფთი** (თურქ. ipti) „პირველად“, **სთველი** „რთველი, შემოდგომა“

ოქტომბერი

**გიმუა**, **გიმუ**, **გუმა**, **გუმათუთა** ზედმ. მკა, მკათათვე (შდრ. მეგრ. **გიმათუთა** „ოქტომბერი“), **ტახვა** ზედმ. „ტეხა“, **ორთაგაუზი**, **ორთაგაუზი** ზედმ. „შუა შემოდგომა“, **ორთასთველი** „შუა შემოდგომა“, ეს ფორმაც ჰიბრიდული კომპოზიტია – **ორთა** (თურქ. orta) „შუა“, **სთველი** „რთველი, შემოდგომა“

ნოემბერი

**წილვა** ზედმ. „კრეფა“, **ნოემბერი** (ქართ.), **ახირგაუზი** „ბოლო შემოდგომა“, **სოდუნსთველი** ზედმ. „ბოლო შემოდგომა“, **ახირსთველი** დეკემბერი

**ქრისტოშინა**, **ხრისტანა**, **ხისტანა**, **ხისანა**, **ხისტანა** **ხრისტა** (ბერძ. χριστέννα); **კარაკეში** (karakiş) „ზედმ. „შავი ზამთარი, ყინვა“

## შ ა ლ ვ ა გ ა ბ ე ს კ ი რ ი ა

### შოთა რუსთაველის მშობლიური კილოს საკითხისათვის „ვეფხისტყაოსნის“ დიალექტიზმების მიხედვით

მკვლევართა უმრავლესობის აზრით, შოთა რუსთაველის პოემის ლექსიკურ-მორფოლოგიური დიალექტიზმები მესხური კილოს კუთვნილებაა, მეცნიერთა ერთი ნაწილი კი ჰერეთის მეტყველებას ანიჭებს უპირატესობას.

„ვეფხისტყაოსანში“ უხვად არის მესხური რეალიების აღმნიშვნელი ლექსიკა, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი მესხურ დიალექტსა ან მის მეზობელ დასავლურ კილოებშია დადასტურებული. მაგ.: **კაპანი**, **ქულბაქი**, **დარანი**, **ქვაბი**, **მენა**, **წაგარნა** და სხვ. ლექსიკურ ერთეულთა გარკვეული რაოდენობა მხოლოდ მესხურშია დამოწმებული.

პოემაში გვხვდება ზანიზმებიც: **მოდორება** „მოტყუება“, ნაცვალსახელ „თავისის“ ნაცვლად „მისის“ ხმარება. „საგანი“ მეგრულში მიზნის მნიშვნელობითაა ცნობილი. სპარსულად კვალიფიცირებული **სარაჯი** – „წყლის მილი“ სვანური სიტყვაა – **სარაჰ / სარაჯ** (ლაშხური) წყარო.

საქალაქო ცხოვრებასთან დაკავშირებული ტერმინები ქართული წარმომავლობისაა, შდრ. ქართ. **ქალაქი** -> არაბ. კალა „ციხე-სიმაგრე“, ქართ. **შუკა** -> არაბ. სუკ „ბაზარი“. პოემაში **ზანი** რამდენიმე-სართულიან სახლს ნიშნავს და აბანიდან ჩანს (შდრ. ურარტული **ებანი**) ბაგისმიერი ბ-ს გავლენით ქართ. უბანი მიღებული.

მცდარია თვალსაზრისი, რომ რუსთაველის **მენა** „სენაკი“ „სამყოფი, სადგომი“ (საბა) სპარსული სიტყვაა, ვინაიდან ქართ. მენა : ზან. (მეგ.) მან- ო-**მან**-ე-ში „სორო, ბუნაგი (მ. ჩუხუა). ასევე გაუმართლებელია **ბოზის** თურქიზმად კვალიფიცირება. ქართ. მეზვი / ნეზვი : ლაზ. ბოზო-მოთა „ქალიშვილი“, ანუ ლაზურმა ფორმამ სომხურში ქართულში დადასტურებული მნიშვნელობით სიტყვა ბოზ-მოგვცა, რომელიც ამ უკანასკნელიდან დაბრუნდა ქართულში.

ქართულია ქაჯეთის მკვიდრთა სახელები – **როდია**, **როსან**, **დულარდუხტ**, ისევე, როგორც ეთნონიმ **ქაჯი**დან (შდრ. პირის სახელი ქუჯ-ი) მიღებული ამ მხარის სახელწოდება.

**ამირზარი**, შესაძლოა, ოსმალური ა მ ი რ ბ ა რ ი დ ა ნ მომდინარეობდეს, რომელიც სარდლის ბრძანების გადამცემს, ადიუტანტს ნიშნავს.

**დაგდება** ზმნა პოემაში გამგზავრების მნიშვნელობითაა დამოწმებული. თურქულ ენაში Brakmak ზმნის („დატოვება“, „დაგდება“, ერთ-ერთი მნიშვნელობით – საიდანმე გამგზავრება) კალკთან ხომ არ გვაქვს საქმე?

მოხსენებაში საუბარი იქნება ასევე „ვეფხისტყაოსნის“ დიალექტურ მორფოლოგიურ თავისებურებებზე.

## **მ ა ი ა გ ე ლ ა შ ვ ი ლ ი**

### **ქართულიდან ნასესხები რწმენა-წარმოდგენებისა და რიტუალების აღმნიშვნელი ლექსიკა ოსურში**

ქართულ-ოსურ ენობრივ ურთიერთობებს დიდი ხნის ისტორია აქვს. რა თქმა უნდა, ხალხის თანაცხოვრებას უკვალოდ არ ჩაუვლია. ამ ორი ერის მრავალსაუკუნოვან ურთიერთობის კვალი კარგად ჩანს ქართულიდან ოსურში შეთვისებულ ლექსიკაში. ნასესხებმა სიტყვებმა მოიცვა სხვადასხვა დარგები; განსაკუთრებით საყურადღებოა რელიგიური რწმენა-წარმოდგენების ენობრივი ურთიერთობები. როგორც სამხრეთ, ასევე ჩრდილოეთ ოსეთის ლექსიკაში დიდი ადგილი უკავია ქართულიდან შეთვისებული ქრისტიანულ ტერმინებს. ყველა ეპოქის ღვთისმსახურებისა თუ საკულტო ნივთების აღმნიშვნელ სიტყვებს ქართველური გავლენისა ან ქართველურ-ოსური ურთიერთობის კვალი ატყვია.

დღემდე წარმოებულ კვლევებთან ერთად გვინდა ჩვენი მხრიდან დავამატოთ ის ლექსიკური ერთეულები ოსურ ენაში, რომლებიც ქართულ-ქართველური ენებიდან უნდა იყოს შეთვისებული.

**Аларды** – ერთ-ერთი ღვთაების სახელწოდებაა, სახადის (ყვავილის) პატრონი, შდრ. ქართ. ალავერდი იოანე ნათლისმცემლის ტაძრის სახელწოდება კახეთში. ქართულში შემოსულია არაბულიდან „ალლაჰ ვერდი“ ღმერთმა მოგვცა.

**Бери** „ბერი“ – ქართ. ბერი. ამ სიტყვიდან არის ნაწარმოები **беридон** მონასტერი.

**Баа** „ბაა“ /სამხ.-ოს./ – ქართ. ბაა; შეტანილია მილერის ლექსიკონში.

**Уастырджи** ღვთაება /წმ. გიორგი/ – როგორც ცნობილია, ქართულ იგრ-ის კანონზომიერად შეესიტყვება ზანური ერგ-ე, რომელიც ჩანს როგორც მითოლოგიაში, ისე ტოპონიმში. აფხაზური ა-ერგი ზანიზმია, ისევე, როგორც ოსური ირჯი (ვასთ-ირჯი). ეს უკანასკნელი არქაულ პერიოდში ჩანს ზანურიდან შესული, ვინაიდან ამოსავალ გახმოვანებას უცვლელად ინარჩუნებს (მ. ჩუხუა).

## კ ე ს ო გ ე ჯ უ ა

### მეგრული ლექსიკა კონსტანტინე გამსახურდიას ნოველებში და ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ შემდგენლებს უმთავრესი ყურადღება უნდა მიექციათ ხალხური მეტყველებისათვის. ეს მომენტი მთლად იგნორირებული არაა, მაგრამ სასურველი იქნებოდა, ქართული დიალექტებიდან, თვით ჭანურ-მეგრულ-სვანურიდანაც უფრო ჭარბად შემოეშვათ სიტყვიერი მასალა. ქართული ენის სხვადასხვა განშტოებანი, ე. ი. მისი დიალექტები, ულვეი და ჯერაც აღუნუსხველი მასალაა როგორც მწერლისთვის, ისე ენათმეცნიერისთვის...“ – ვ. გამსახურდიამ ამ მოსაზრებით ნათლად წარმოაჩინა თავისი დამოკიდებულება ქართველური ენობრივი სამყაროს მიმართ და ჩამოაყალიბა დღეისათვის აქტუალური ენობრივი კონცეფცია:

„ჩემის აზრით, უნდა ხდებოდეს ენის რეპარაცია ადგილობრივი დიალექტების საშუალებით. უნდა შემოუშვათ ქართულ (სამწიგნობრო) ენაში როგორც მეგრულ-სვანური დიალექტების სიტყვები, ისე ფშავ-ხევსურული... ვაჟა-ფშაველამ, ამ მხრივ, დიდი სამსახური გაუწია ქართულ ენას (ვ. გამსახურდია, ათტომეული, VII ტ., 1983, 411)“... „XX საუკუნის მწერლობამ უნდა მოგვეცეს ილიას ქართლურის, აკაკის იმერულის, ვაჟას ფშაურის, მეგრულისა და გურუ-

ლი ენობრივი ელემენტების სრული სინთეზი. აი, ეს იქნება იდეალური ლიტერატურული ქართული (ვ. გამსახურდია, ათტომეული, VII ტ., 1983, 499)“.

მოხსენებაში ამჯერად ყურადღება გავამახვილეთ ვ. გამსახურდიას ნოველებში აღნუსხულ მეგრულ ფორმებზე. სანიმუშოდ წარმოვადგენთ ჩვენ მიერ მოძიებულ მასალას შემდეგი დაჯგუფებით:

1. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში შეტანილი მეგრული სიტყვა-ფორმები, რომლებიც სხვა დიალექტებთან (იმერ., გურ., ლეჩხ., რაჭ. ...) ერთად მეგრულშიც დასტურდება და არ არის მითითებული: ჯარგვალი, ლაფარო (ლაფარე), თემშარა, შუკა, წალიკონი, ლაფშა, ჭეჭეთობა, ეფუთი, კაფანდარა, ერქვანი...
2. ლექსიკური ერთეულები, რომლებიც სალიტერატურო ენის ფორმადაა მიჩნეული და არ არის აღნიშნული, რომ მეგრულის კუთვნილება: ოზოკოჩი, მერეხი, კორტოხი, სანდალი, ქამენია, ჩამური, კურტანი, მრუმე (რუმე), მესკია, ოჩანი, მარულა, რული, თათმანი, ნოშო, ხოშორი, კაჭაჭი, ნარი...
3. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში განსხვავებული სემანტიკით დადასტურებული მეგრული ფორმები: ლეკური, ლასტი, ჟვერი, მახვეწარი, მაჯაგანი, კოკოლი (ქეგლში კოკოლა)...
4. ნოველებში გამოყენებული მეგრული დიალექტური ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში არ გვხვდება: ჭვახე, ოსეოფა, ხვემური, ფენჯგირე, ისიროტა, ლაგვიმარაია, სილამე (ლამე), ქილორი, რაჯგუნი, მამახურა...  
მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება თითოეული ლექსიკური ერთეულის დეტალური ანალიზი.



## ლ ე ლ ა გ ი გ ლ ე მ ი ა ნ ი

### სვანური ტოპონიმური ლექსიკა ს. ანისიმოვის მოგზაურობის წიგნში

გეოგრაფი და მოგზაური სერგეი ანისიმოვი (1876-1948) კავკასიის ერთ-ერთი გამორჩეული მკვლევარი იყო. მას ეკუთვნის მრავალი წიგნი და სტატია, რომლებშიც დიდი მხატვრული ოსტატობით არის აღწერილი კავკასიის (მისი სიტყვებით „მსოფლიო კულტურის ნაკრძალის“) ბუნება და კულტურის ძეგლები. ს. ანისიმოვის განსაკუთრებული ყურადღების საგანი იყო სვანეთი, სადაც მას პირველად უმოგზაურია 1912 წელს: ქუთაისიდან რაჭა-ლეჩხუმის გავლით ჯერ ქვემო სვანეთი მოუვლია, შემდეგ გადასულა ზემო სვანეთში. წიგნში, რომელიც 1915 წელს დაიბეჭდა მოსკოვში, დაწვრილებით არის აღწერილი სვანეთის ბუნება, სოფლები, საცხოვრებლები, კომკები, სვანების ყოფა... ავტორი აღტაცებულია სვანეთის ბუნებითა და მოსახლეობის სტუმართმოყვარეობით.

აღნიშნავს: სვანეთი კავკასიისთვისაც კი საოცარი მხარეა სილამაზითა და გრანდიოზული ხედებით, მოსახლეობითა და არქიტექტურული ძეგლების სიმდიდრით.

სვანეთში ს. ანისიმოვის მოგზაურობას დღიურების სახე აქვს, რომლებშიც მიმზიდველი სტილით აღწერს თავის შთაბეჭდილებებს. ავტორის ეს ნაშრომი მხატვრულ ნაწარმოებად აღიქმება. წიგნში ჩართულია 30 ფოტოსურათი, რომელთა დიდი ნაწილი სვანეთს ეძღვნება. ყურადღებას იქცევს ბესარიონ ნიჟარაძის ფოტო წარწერით „მესტიის თემის მღდელი, ისტორიკოსი, არქეოლოგი და სტატიკოსი“. მისგან ავტორს ბევრი რამ შეუტყვია სვანეთის იმჟამინდელი ყოფისა და ისტორიის შესახებ.

ს. ანისიმოვის მოგზაურობის წიგნში ფიქსირებულია რამდენიმე ათეული სვანური ლექსიკური ერთეული, კერძოდ, ტოპონიმები (სოფლების, თემების, მდინარეების, მთების, ხეობების სახელები). სვანური ტოპონიმები რუსული ანბანის მეშვეობით არის წარმოდგენილი, რაც მათი გადმოცემის სიზუსტეს აბრკოლებს.

ს. ანისიმოვი საუბრობს სვანეთის 11 თემის (ხეობის) შესახებ, რომელთაც ის „პირველყოფილ რესპუბლიკებს“ უწოდებს: უშკულ-ი, კალ-ი, ივარ-ი, მულახ-ი, მუჟალ-ი, მესტია, ლენხერ-ი (ანუ ლენ-

ჯერ-იო), ლიატალ-ი, ბეჩო, ეცერ-ი, ჩუბეხევი-ი. ამ ჩამონათვალში ყურადღებას იქცევს უშკული (Ушкуль) უშგულ-ის, ლიატალი (Ляталь) ლატალ-ის ნაცვლად. ავტორი ლენჯერ-ის (ленджер) პარალელურ სახელად ლენხერ-ს (Ленхер) ასახელებს.

საინტერესოა შენიშვნა: ლათფარის უღელტეხილიდან თქვენ დაინახავთ ათზე მეტ მწვერვალს, რომელთა სიმაღლე მონბლანს აღემატებაო.

საყურადღებოა სვანეთის მწვერვალის მრავალჯერ გამეორებული ორი ფონეტიკური ვარიანტი - უშბა// უჟბა (yჟბა) (ავტორთან ეს უკანასკნელი უფრო ხშირია).

ს. ანისიმოვი ორი ტოპონიმის ეტიმოლოგიურ ძიებასაც გვთავაზობს (ხალხურს, ადგილობრივ გაგონილს) : ციტ-ხარო (Цить-харо) (უფრო ზუსტი იქნებოდა ჩით-ხარო, შდრ. რეალური ჭით-ხარო) „ჩიტების ქვეყანა“, თეთნულდი-ი (Тетнульдъ) „თეთრი მთები“.

ს. ანისიმოვის წიგნში მოცემული Хабешე გეოგრაფიული სახელის იდენტიფიკაცია ვერ ხერხდება; ის არც ა. ჭკადუას ლექსიკონშია წარმოდგენილი)

როგორც ირკვევა, ს. ანისიმოვს სხვა ნაშრომებიც აქვს სვანეთის შესახებ. მათი განხილვა სამომავლო საქმეა.

## **ეკა და დიანი, მაია მიქაუტაძე**

### **ტაოური დიალექტური ლექსიკისათვის**

ტაოელ ქართველთა მეტყველება საინტერესოა როგორც გრამატიკული, ასევე ლექსიკური თვალსაზრისითაც. თურქული ენის ძლიერი გავლენის შედეგად ტაოური დიალექტის ლექსიკური ფონდი გარკვეულ ცვლილებებს განიცდის. მიუხედავად ამისა, ტაოს ქართულენოვან სოფლებში დღემდე საკმაოდ კარგადაა შემონახული ქართული სიტყვები და გამოთქმები, რომელთა აღნუსხვა და შესწავლა საშური საქმეა.

საკვლევი მასალა ჩაწერილია ჩვენ მიერ პარხლისწყლის ხეობის სოფლებში დიალექტოლოგიური ექსპედიციების პერიოდში (2006-2017).

საანალიზო სიტყვაფორმების ნაწილი სხვა კილოებშიც იხმარება, ნაწილი კი სპეციფიკური ჩანს ტაოური მეტყველებისათვის. მაგალითად:

**დაჯობა** „ერთმანეთზე დაწყობა, დალაგება”

**თავდაღამი** „ქვემოთკენ, თავდაღმა”

**თავშხამი** „ზემოთკენ, აღმა”

**კონკები** „ტანსაცმელი”

**მისმიდამ** „თავისით, დამოუკიდებლად”

**მოლამის** „მოდის, ხარობს”

**მრები** „რუხი”, **მომრები** „მორუხო, მოთეთრო”

**ნახობი** „ტყეში ხელით ნაგლეჯი ბალახი”

**ტაკვალა** „მარცხენა”

**ტალღუჯობს** „ცურავს”

**ფათიკა გზა / ფატკნი გზა** „ვიწრო, საცალღებო გზა” („ბატკნის გასავლელი გზა”)

**ყოლირამ** „ყველაფერი”

**წომოტრეკა** „მოდრეკა, მოხრა”

**წუე** „ძალიან, კიდევ”

**კეკალი/კაკალი** „ცისფერი/ლურჯი ფერის თვალები”...

## **თ ა მ ა რ ვ ა შ ა კ ი ძ ე**

### **მუხრან მაჭავარიანი – იმერიზმები დიალოგურ ლექსში**

მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებაში პოეტურ მახასიათებელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია იმერიზმებით გამართულ დიალოგურ ლექსს. „კუთხური სიტყვების ლიტერატურაში შემოტანა მეტ-ნაკლებად გამართლებულია ყველა შემთხვევაში, – ორი საგულისხმო მიზეზის გამო: 1. მწერლისთვის სიტყვა არასოდეს არაა მხოლოდ ცნების გამომხატველი, მწერლისთვის ყდერადობას აქვს დიდი მნიშვნელობა; 2. მკითხველი ლიტერატურული ნაწარმოებით სწავლობს ენასაც (ვინ მოთვლის, ვაჟას რამდენი სიტყვა (ფშაური) დღეს ზოგადქართულია)“, – წერს პოეტი.

დიალოგურ ლექსსა თუ იმერიზმებს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლადაც არაერთგზის დაუმშვენებია მუხრანის სათქმელი. როცა პოეტურ დიალოგზე ვსაუბრობთ, ბუნებრივია, უმაღვე თვალწინ წარმოგვიდგება ლექსი „საბა“, რომელშიც მთელი ტრაგიზმი შექმნილი ვითარებისა სწორედ სადიალოგო პჭკარებშია განფენილი:

„ – რამდენს აფასებ მაგ პატარას? – ჰკითხა სპარსულად  
საბამ სპარსელს და მოუთმენლად ელოდა პასუხს.  
– უი, ქართველი მეგონა და სპარსი ყოფილა! –  
წარმოსთქვა ბალღმა, – ყური მოჰკრა რა საბას სპარსულს.  
– არა, პატარავ, ქართველი ვარ, ქართველი, გესმის?!  
– უი, დედასთან წამიყვანე, წამიყვან, ძია?...“

რაც შეეხება იმერიზმების მოხმობას პოეტურ ტექსტში, აქ ერთი რამ არის მნიშვნელოვანი: დიალექტური ფორმები არასოდეს „აბეზრებენ თავს“ მკითხველს – ისინი აქა-იქ არიან მიმოზნეული შემოქმედის ფერწერულ ტილოებზე და გამორჩეულ სილადეს სძენენ ლექსის ამა თუ იმ მონაკვეთს:

„მე არა ერთხელ გამიგონია  
ნატვრა მიწაზე –  
სულ ერთ მტკაველზე.  
– ახლა თბილისში გამარონია  
და მერე მომკლა –  
აღარ დავემებ“.

„სიტყვა „გამარონია“, დღეს რომ მხოლოდ იმერეთში იხმარება, ძველად ზოგადქართული სიტყვა გახლდათ, ნაწარმოები სიტყვიდან „რონინი“, რაც სიარულს ნიშნავს, – წერს პოეტი, – და იქვე დასძენს: „გამარონიას“ სულ სხვა ნიუანსი აქვს, ხოლო „გამატარას“ – სრულიად სხვა!“ მუხრანისეულ „სულ სხვა ნიუანსებს“, რა თქმა უნდა, მკითხველიც ძლიერად შეიგრძნობს – განსაკუთრებით მაშინ, როცა დიალექტური ფორმა სარიტმო ერთეულსაც წარმოადგენს ამავედროულად („გამიგონია“ – „გამარონია“).

სხვაგვარი პოეტური გარემოცვა დაჩნდება სალექსო ეპიზოდში დიალოგისა და იმერიზმების ერთდროულად თავმოყრისას: დიალექტური ფორმები ამ შემთხვევაშიც ძუნწად მოსავენ მხატვრულ ქსოვილს და (რაც მთავარია) რითმულ-რიტმული სტრუქტურის კომპონენტებსაც ქმნიან:

„ბიჭი?!  
მართლა?!  
აი, მესმის!  
აბა, მე არ მგვანებია...  
– რავა, შენ რა?  
– რაღა რავა,  
კაცი ჯავრით აღარა ვარ, –  
სამი შვილის მამა ვარ და  
სამივენი ქალებია“.

დიალექტური „რავა“ წინამავალი ლექსიკური ერთეულის („რაღა“) თანხლებით („რაღა რავა“) ჰიპერდაქტილურ რითმას ქმნის ორსიტყვიან („აღარა ვარ“) და სამსიტყვიან („მამა ვარ და“) ფრაზებთან ერთად, რითაც მიიღწევა მომაჯადოებელი პოეტური ეფექტი ენობრივ კომპონენტთა მუსიკისა თუ თანაზომადობის თვალსაზრისით („რაღა რავა“ – „აღარა ვარ“ – „მამა ვარ და“).

ერთ ლექსში მუხრანი წერს:

„გათეთრა აპნისმა  
იმერეთი, –  
მსგავსი ნაჭრის საბნისა!“

დიალოგური იმერიზმებით გაწყობილი მუხრანის ლექსი მართლა ჰგავს ნაჭრის საბანს – იმერეთივით თბილსა და მოხატულს.

## **თ ი ნ ა თ ი ნ   თ უ რ ქ ი ა**

### **სოციოლექტისა და გეოგრაფიული დიალექტის მიმართების საკითხისათვის**

ჩვეულებრივ, გეოგრაფიული დიალექტები ჰორიზონტალურ სიბრტყეზე განლაგდება, ხოლო სოციალური დიალექტები – ვერტიკალურზე, სადაც კერძო პირის ან ენობრივი კოლექტივის სამეტყველო თავისებურებები მოლაპარაკის (მოლაპარაკეთა) სოციალური კუთვნილების შესაბამის საფეხურებზეა განაწილებული. ამიტომ, ბუნებრივია, გეოგრაფიული და სოციალური დიალექტები არც ეწი-

ნააღმდეგებიან და არც გამორიცხავენ ერთმანეთს; სოციოლექტი ყველგან გვხვდება, ენის გავრცელების მთელ სივრცეში.

მოხსენებაში ვიმსჯელებთ რამდენიმე საინტერესო საკითხზე:

რას ნიშნავს დიალექტური ლექსიკა?

ვინ ლაპარაკობს დიალექტზე?

არის თუ არა შესაძლებელი დიალექტზე მოლაპარაკეთა შორის სოციალური დიფერენციაციის გამომხატველი ლექსიკურ-გრამატიკული ენობრივი საშუალებების დადგენა (რასა აქვს სოციოლექტები – ზოგადად ენას, სალიტერატურო ენას, თუ სალიტერატურო ენასაც და დიალექტებსაც)?

დიალექტიზმი განსაზღვრავს თუ არა მოლაპარაკის სოციალურ კუთვნილებას სალიტერატურო ქართულით მოლაპარაკეთა წრეში?

დიალექტიზმი განსაზღვრავს თუ არა მოლაპარაკის სოციალურ კუთვნილებას დიალექტზე მოლაპარაკეთა შორის?

## ი გ ო რ კ ე კ ე ლ ი ა

### მდინარე ენგურის ისტორიული და თანამედროვე სახელწოდებებისათვის

XVII ს-ის იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი კოლხიდის უმთავრეს და ცნობილ მდინარეებს შორის ასახელებს **ენგურს**, რაც, მისი აზრით, უწინდელი **ასტელეფოსი** უნდა იყოს. „აგრე ვფიქრობ ორი მოსაზრებით: ერთი – რომ არრიანე უჩვენებს ასტელეფოსს სწორედ ჭანისწყლის სიახლოვეს და მეორე – რომ შესავალში ამ მდინარეს აქვს მოყვანილობა ჩანგის ბუდისა, რაც ბერძნულად გამოითქმის ასტელეფოსად“. ჟან შარდენი აღნიშნავს: „შუა ღამისას ჩავედით მდინარე **ასტოლფის** შესართავთან. მეგრელები ამ მდინარეს ენგურს ეძახიან. იგი სამეგრელოს ერთი დიდი მდინარეთაგანია“.

XVIII ს-ის ისტორიკოსი და გეოგრაფოსი ვახუშტი ბატონიშვილი ენგურის ხეობის შესახებ წერს: წალენჯიხის „ჩდილოთ დის მდინარე ეგური, წოდებული დაბის გამო. გამოსდის მასვე სუანეთსა და ოდიშს შორისს კავკასსა, მოდის აღმოსავლეთიდან დასავლეთად,

მიერთვის ზღვას ანაკრიას“. საინტერესოა დაკვირვება ჰიდრონიმის ვახუშტისეულ დაწერილობაზე – **ეგური**. გამოთქმულია მოსაზრება, რომ მეცნიერი მდინარის სახელწოდებას სწორი ფორმით უნდა გადმოსცემდეს (თ. ბერაძე). ვახუშტი ფიქრობდა, რომ ენგურს („ეგურს“) სახელი უნდა მიეღო ამავე სახელწოდების დაბისაგან, მაგრამ საქმე ისაა, რომ მის მიერ შედგენილ არც ერთ რუკაზე ამ სახელის მატარებელი დაბა აღნიშნული არ არის. ენგურის აღმნიშვნელად „ეგური“ ფორმას ვახუშტი სხვაგანაც იმოწმებს. კერძოდ, ოდიშის საზღვარზე მსჯელობისას წერს: „კულად ეგურის მდინარის შესართავს დასავლეთი შავი ზღვა“ ოდიშის საზღვარს წარმოადგენსო; „კულად ამ ეგურის ჩდილოთ“ დადისწყალი მიედინებაო.

მდინარეს „ენგურისა“ და „Enghour“-ის ფორმით არაერთხელ მოიხსენიებს ფრანგი მოგზაური და მეწარმე ჟაკ ფრანსუა გამბა.

სამეგრელოში სახელწოდების ადგილობრივი ვარიანტებია **ინგირი** და **ინგერი**. ი. ყიფშიძის განმარტებით, მდინარის სახელწოდებაში (ენგური, ინგირი) ენ-//ინ- პრეფიქსია. ნ- ამ პრეფიქსის ჩანართია, რაც, ჩვეულებრივ, დამახასიათებელია მეგრულისათვის. ე//ი მაწარმოებელ პრეფიქსებს წარმოადგენს. ენგური, მისი აზრით, სამეგრელოსაც ნიშნავს. მაღალი და თოვლიანი მთებიდან ჩამომდინარე ენგური მთელი წლის განმავლობაში იკვებება ცივი და მღვრიე წყლით. ამიტომ შეერქვა **ცინგერი** – ყინულოვით ცივი და გვრივით (შრატი, წაქი) მღვრიე მდინარე, – ასე გაიაზრებს ენგურის სახელწოდებას ი. ყიფშიძე.

კ. სამუშიას მოსაზრებით, მდინარის სახელწოდება **ინგერი / ენგური** უნდა წარმოშობილიყო მისი კლიმატურ//ზუნებრივი თვისებიდან. თავიდან უნდა გვექონოდა **ცინგირილი** და არა **ცინგერი** ფორმა. რგილი სიტყვაში რ თანხმოვნის გადასმით მივიღეთ **ცინ-გირლი**, ხოლო რ ბგერის გავლენის შედეგად ლ თანხმოვნის დასუსტებისა და დაკარგვის შემდეგ – **ცინგირი, ინგირი, ენგური** (კ. სამუშია).

შ. ნუცუბიძე სახელწოდება „ენგურს“ წარმართული ღმერთის – **იგრის** (ქართულ მითოლოგიაში წყლის ღმერთისა და სიცოცხლის საწყისის) სახელს უკავშირებდა. ამ თვალსაზრისს იზიარებდა მ. კვიციანიც. თ. მიბჩუანი შენიშნავდა, რომ შუმერები ბაბილონს **ქადინგირას** უწოდებდნენ, რაც აქადურის პირდაპირი თარგმანია, ხოლო „ბაბილონი“ ამ სახელის ბერძნული ფორმაა; ე. ი. „ქადინგირ“ შუმერულად „ღვთის ჭიშკარია“. შუმერულ მითოსში **ინგირ, ენგურ** დამოუკიდებელი სახითაც გვხვდება.

ენგური სათავეს მესტიის მუნიციპალიტეტში იღებს. გაედინება სვანეთისა და სამეგრელო-სამურზაყანოს ტერიტორიაზე და ერთვის შავ ზღვას, ანაკლიასთან.

სვანეთში მდინარის ადგილობრივი, არაოფიციალური სახელწოდებებია **ენგურ**, **კალაქალამ**, **მეშხე ქალამ** (მეშხე „შავი“; **მეშხე ქალამ** „შავი ქალა“), **შვანიშ ქალამ** (**შვან**, **შვანემ** „სვანეთი“; **შვანიშ ქალამ** „სვანეთის ქალა“).

## მაია კიკვაძე

### რამდენიმე ლექსიკური ერთეულის კვალიფიკაციისათვის

ქართული ენის დიალექტებში უხვად დაიძებნება ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებსაც გააჩნიათ როგორც მსგავსი, ისე განსხვავებული მნიშვნელობები. ისინი ერთი მხრივ, საერთო ქართული ლექსიკის ნაწილია, მეორე მხრივ კი, აშკარაა სხვა ენის გავლენის კვალი. საანალიზოდ წარმოვადგენთ რამდენიმეს:

#### **უსტურა / სამართებელი / მასათი:**

მემედ აბაშიძის მიერ შვილისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში ნახსენებია **უსტურა/სამართებელი**: „*ჩემი წითელი ქარქაშინი უსტურა ესე იგი სამართებელი თავისი სალესით ყაიშით გამომიგზავნეთ*“.

მემედ აბაშიძესთან **უსტურა** და **სამართებელი** სინონიმებია.

იმავე მნიშვნელობითაა დასახელებული **უსტურა** „ჩვენებურების ქართულსა“ და კლარჯულშიც. **უსტურა** (სპ.ustura) *სამართებელი*: „**უსტურას** აღარ კადრულობენ, თრამშაქინას ასაქმებენ გენჯები“ (თურქ. traşmakina = ელექტროსაპარსი).

**მასათი** და **უსტურა** დადასტურებულია ქართული ენის დიალექტურ კორპუსში, კერძოდ, რაჭულში: „*ურემიდან მასათებიც ჩამევტანე, ზოული ლესევედა თირფან, ჰამა ახლა კოპერატში მოსულა ერთი სოის იმფერი მასათები, რომ ერთი წაკარო, ყოფნის უსტურა-სავენ*“ (corpora.co); შდრ. **მასათი** (არაბ. Masat) = ფოლადის სალესავი: „*გულუსვი ერთი მასათი დანაზე*“. შდრ. საბა: **მასათი**-დანათა და მისთანათა აღმლესელი. **ყაიში**- (თურქ. Kayış) **ქამარი**: „*ყაიშ ნუ დავრეხავო*“; „*ახალი ყაიშებია გამოსული*“ (იმერხევი) (ფუტკარაძე:



396). შდრ. კლარჯულში: „*შენი კლავი'ნა გახდეს ჩემი წელის ყაიში*“ (ნიმეთიე).

**ბელყაიში** (თურქ. bel - წელი, kayış - ქამარი) ქამარი, სარტყელი : „*ბელყაიში დუუკიდია ღობეზე და დავიწყნია*“ (მურღული).

ქართული ენის სამხრულ კილოებში თითქმის ყველგან ერთი მნიშვნელობისაა **ლაღაბი** (არაბ. Lağap). მისი ფონეტიკური ვარიანტია **ლყაბი** = მეტსახელი, შერქმეული სახელი: „*ლაღაბი იყო ჰურიეთ ნენი*“; „*დედეს ლაღაბი ფოფოი რქმევია*“ (გურ. ლიხაური);

მუჰაჯირად წასულმა ქართველებმა შერქმეული სახელები „გვარებს“ დაუდვეს საფუძვლად: „*ლაღაბები ბევრია. იქიდან მოსული ლყაბი ასე დარჩა სოიადი*“ (კლარჯ.); „*ჩვენი ლაღაბი ჩაქველოლი*“ ...

ჩვენთვის საინტერესოა შავშეთში დადასტურებული ლაღაბი **კიკვიები**. „*კიკვიები ლაღაბია, დაბალი კაცები არიან და ისე ეტყვიან*“ (შავშ.). **კიკვი** ქიზიყურში ასეა განმარტებული: კომბოსტოს ფეხი, კომბოსტოს ნაწილი ძირიდან თავამდე (ს.მენთეშ.) (იგულისხმება კომბოსტოს დაბალი, მოკლე ფეხი). თითქოს განსხვავებული, მაგრამ მსგავსი მნიშვნელობა აქვს **კიკვს** კახურში: „*ოთხგვერდად გათლილი პატარა ჯოხი, თავწაწვეტებული. ხმარობენ ბავშვთა სათამაშოდ*“. კახურში **კიკვაობა** ბავშვთა თამაშობაა. **ლაღაც** (იმერ. გურ.) ჯოხია, კარგად გათლილი სწორი ჯოხი. სავარაუდებელია, რომ **კიკვი** და **ლაღა** ერთი და იგივეა, ორივე ჯოხს უკავშირდება. უფრო მეტიც, **კიკვი** საგან უნდა მომდინარეობდეს რაჭაში, იმერეთსა და გურიაში გავრცელებული გვარები: **კიკვიძე** და **კიკვაძე**.

## მ ა რ ი ა მ კ ო ბ ე რ ი ძ ე

### სიდიდის აღმნიშვნელი ლექსიკა ქართულურში (ქართლური დიალექტის ლექსიკონის მასალების მიხედვით)

სიდიდის აღმნიშვნელი ლექსიკის შესწავლისათვის მდიდარ მასალას გვაწვდის „ქართლური დიალექტის ლექსიკონი“ (შემდგენლები. თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, 1981) და „ქართლური ლექსიკონი“ (მასალები) (მ. მესხიშვილი, 2006). მოხსენებაში

წარმოვადგენთ ჩვენ მიერ შიდა ქართლის სხადასხვა სოფელში ჩაწერილ მასალებსაც.

სიდიდის აღმნიშვნელი სიტყვები გამოხატავს საგნის ან მოვლენის მოცულობას, ზომას ან თვისებას ერთი ან რამდენიმე ნიშნის მიხედვით (სიმაღლე, სიმსუქნე...). მაგ.:

**აბლაცი** – დიდი ტლანქი, მოუხეშავი (ჩვეულებრივ, ცხენი). „შაქრაი რატო ვერ შეეტევა კარებშია და იმიტომ, რო ცოტა **აბლაცია**" (დის.). **აიბლაცება**: 1. უშნოდ მაღალი გაიზრდება, **აიბლაცება** (შდრ. აბლაცი). „მაღალი რო არი ადამიანი, გინდა საქონელი, უშნოთ რო არი გაზრდილი, იმას ვეტყვით ხომე, რას **აბლაცულია**, რასა გაგსო" (ერედვ.) 2. თავაღებული მიდის. „მიდის **აბლაციული**, არც აქეთ იხედება, არც იქითა" (მერ.).

**ბეხლერწი** – დიდი, ადამიანი ან საქონელი. „უყიდია ერთი **ბეხლერწი** ძროხაი" (ნაბახ.).

**დემფილა // დომფილა // დომფილო** – დიდი, მსუქანი ბავშვი, ქათამი. „რომელიც კარქი არი, სუქანი, გინდა ბავშვი იყოს, გინდა წიწილაი, ქათამი სუ ერთია, სუყველაფერზე ითქმის, რა კაი **დომფილა** არიო" (ატ., დის., კარ.).

**ლოქომა** – დიდი, მოსული და დუნე. „**ლოქომას** დიდ ადამიანს ეტყვიან, რაც ხნოვანობა აქ, იმაზე დიდი რო იქნება, გინდა ბავშვი იყოს, გინდა საქონელი" (ხც.).

**მოლემიანდება** – მოსუქდება. „მოლემიანდაო, საქონელზე იტყვიან ხომე, როცა სისუქნე შეეტყობა და ხორც გაიკეთეფს, გაიზრდება" (წილ.). **ლემი**-მსუქანი და ზარმაცი ადამიანი. „ე გოგო შესახედავათ ცარიელაი **ლემია**" (დირბ.).

**დევერხანა** – დიდი, უზარმაზარი. „დახე რა **დევერხანა** სახლები უდგათ!" (მეგვ.). ფრონის ხეობის მეტყველებაში „დევერხანას" უწოდებენ დიდ, მსუქან ადამიანსაც. მაგ.: „**დევერხანა** ქალი რო მოაყენა კარსა, მარა ეგონა მაგასა" (ტახტ.).

**გორჯალა, გორჯალო** – დიდი, მსხვილი რამე. „რაც დიდია ყველაფერზე იტყვიან **გორჯალოსა**" (ერთაწმ.).

**დომბურა, დომბური** – დიდი, სქელი ადამიანი, საქონელიც. „რა **დომბურიაო**, ადამიანზეც იტყვიან, ხარზეცა; გასუქებულს ეტყვიან" (დოეს. კავთ. ძეგვი).

ზოგი ლექსიკური ერთეული რამდენიმე ნიშან-თვისების სიდიდეზე მიუთითებს. მაგ.: **ზოხობა**: 1. დიდი, მსხვილი რამ. „ისეთი

სხვილი თუთა სდგმიათ სოსიანთ, რო, ბოხოხაი!" (კარალ.); 2. ეტყვიან ვისაც დიდი თავი აქვს. „**ბოხოხა**, შე რალა გაჭყვიტინეფს?" (ტყვ.). **ბრეთელა**: 1. დიდთვალეზა (დ. თონ.); 2. ელამი. „ელამს **ბრეთელას** ეტყვიან, დიდთვალეზას-ბრიალასა" (ბროწლ.); 3. მოგრეხილი, მობრეცილი. „**ბრეთელასა** ან თვალეზი აქ დაბრეცილი, ან თითონ არი მობრეცილი" (მეგ.). **ხეხელა**: 1. მაღალი გამხდარი ადამიანი. 2. გამხდარი, მჭლე საქონელი. **ხუხუა** 1. მსხვილი ფუტურო კუნძი; 2. დიდი, მსხვილი. „**ხუხუა კაკალიაო**; ადამიანზეც კი გვითქვია, რა **ხუხუა ადამიანიაო**, მეტადრე - ბავშვზე" (ატ.). **გომინჯი** : 1. მოგრძო, მრგვალი მჭადი. 2. უშნო, დაბალი, სქელი ადამიანი. **ბლომი**-1. დიდი, განიერი, ფართო. „ე ზედატანი ძრიან ბლომი მოგვლია!" (არად.). 2. ბევრი. „წლეულ ფრინველი ბლომათა გვყან" (დირბი).

ზოგი სიტყვა რომელიმე კონკრეტული საგნისა ან მოვლენის სიდიდეზე მიგვანიშნებს. შეიძლება რამდენიმე სემანტიკური ჯგუფიც გამოიყოს.

ადამიანის სიდიდეს აღნიშნავს:

**აბრო** – აგებულება, აღნაგობა, ტანადობა. „**აბრო**-ადამიანთა აგებულებასა ქვიან, ტანადობასა" (წილკ.).

**დონკრო** – ტლანქი, მოუხეშავი, ზანტი. „ერთი **დონკრო** რძალი ჰყამს, მინძრეგ – მონძრევა ეზარება" (მერ.).

**დრანგი, დრინგი** – დიდი, ტლანქი, მოუხეშავი. „უშნოთ რო იქნება ადამიანი გასუქებული, იმაზე იტყვიან, **დრინგიაო**" (კარალ.).

**აიტლოქნება, აიტოქება** – დიდი, ტლანქი გაიზრდება. „ამხელა ბიჭი **აიტლოქნა** და ჰკუა არ მისცა ღმერთმა" (ტყვ.). ფრონის ხეობაში დასტურდება **აიტლოქნილი**. „**აიტლოქნილი** ბიჭი სახლში უხის და ამუშაოს" (დვან.).

**ატონტყილი** – დიდი, ტლანქი ტანისა (შდრ. ტოტყი, ტატყი (დიდი, ტლანქი ხელი ან ფეხი). „რომელიც ოდროგელა არი, ის არი **ატონტყილი**" (ქვ.-ჭ.). იმავე მნიშვნელობით გვხვდება **ოდრიგალა, ოდროგელა**. „ერთი **ოდროგელა** არიო, ადამიანზეა ევა, უბედურათ **ატონტყილი** რო არი, ქალი იყვეს, კაცი იყვეს, სულ ერთია" (ქვ.-ჭ.). გადატანით იტყვიან ოთახზეც. „მომეტებული **ოდრიგალა** ოთახებიც არ ვარგა" (ქვეში).

**ხენცი, ხენძი** – მეტისმეტად მსუქანი, მძიმე, მოშვებული (ჩვეულებრივ ქალი): „კაი გოგოა მაყვალაი, მაგრამა მეტისმეტათ **ხენძია**" (მერ., ხც.).

**ბორდოხი** – მსუქანი და დუნე, მოშვებული. „ჩვენებიანთ ნატოი **ბორდოხი** ბავშვია" (ძეგვ.).

**დრახი** – ძალიან მსუქანი და დაბალი ქალი. „დაბალი დედაკაცი ან გოგო და სისუქნით ძლივსღა რო დადი, იმა ეტყვიან **დრახსა** ან **დრახბატონასა**, ორივე ერთია" (წილკ.).

**დუგეჯა** – დაბალი და მსუქანი უშნო ტანისა. „გათხუება კი უნდა, მაგრამ ვინ ითხოვს მაგი დუგეჯა ნინიასა" (წალკ.). იმავე მნიშვნელობით დასტურდება **დვრინი, დღვრინი** (ახალშ.).

**დუდრუჯანა** – ჩასუქებული, ჩამრგვალებული (ჩვეულებრივ, ბავშვი). „ერთი **დუდრუჯანა** გოგო იპუე სადმე და მაიყვანე, როდემდე უნდა იარო ეგე თავისუფლათა" (წილკ.). იმავე მნიშვნელობით დასტურდება **დუნდრუხა** (სქელი, მსუქანი). „კაი **დუნდრუხა** მორბედი გყავ, ეგა სუყველაფერშიც მოგეხმარება" (გრაკ.).

**ტანტრა** – სქელი, დაბალი ადამიანი. „რა **ტანტრა** ქალიაო, სქელიო" (ტანძ.).

**ოტლოტოტლო** – დიდი, ტლანქი აგებულების. „მაღალი კაცია, **ოტლოტოტლო**" (კარალ.).

**ორთადონა, ორთოდენა** – ძალიან დიდი, ორის ზომისა (ჩვეულებრივი ადამიანი).

**ოქლაქი** – დიდი, მოუხეშავი „მაგხელა **ოქლაქი** ტანი რითვინ მოგცა ღმერთმა, რო ნამწეწი ჭკუა არა გაქვს?" (ტყვ.).

**ტროლა** – დიდი, მოსული, ჯანმრთელი. „ჩემი **ტროლა** ბიჭები დამიბრუნდებიან ჯარიდანა" (კარალ.). იმავე მნიშვნელობისაა **ტროყია**.

**ხოდრანგა** – დიდი ტანისა, ტლანქი (ადამიანი). „რო დაიზღაზნება, დადის თავი ტანს ვერ ერევა, ის არი **ხოდრანგა** ადამიანი" (არად.).

**ხორხი** – ტანმაღალი, სრული, მოსული. „ე მაგითანა **ხორხ** ვაჟკაცსა ეგეთი უნდა მაეყვანა?" (იგ.).

**ჯაგურა** – ჩამრგვალებული, მსუქანი (ბავშვი). „სუქანი პატარა, ბავშვი რო არის, **ჯაგურა** არიო, **ჯაგურაიო**, იტყვიან ხომე" (ტირძ.).

ადამიანის ცუდ ბუნებაზე მიანიშნებს: **იბრიქება** – იჭიმება, იბლინძება. **გაისიმსხოებს** – გაყოყოჩდება (შდრ. სიმსხო).

ადამიანის სხეულის რომელიმე ნაწილის ან მოძრაობის სიდიდეს გამოხატავს: **ბუჯღა** (სქელი, ხშირი ქოჩორი); **ნაფოტა კბილები** (მსხვილი კბილები); **ტკუცუნა** (მსუქანი მკვრივი ლოყები); **ღენდერი** (დიდი მუცელი, ღიპი); **დაიზაყეება** (დიდი ნაბიჯით მძიმედ დადის, დააბოტებს შდრ. ბაყვი).

ადამიანის ფიზიკური დაზიანების სიდიდე არის ზმნები:

**დააყურმალებს** (მაგრად ცემს); **დაბეყავს** (მაგრად სცემს, დაბეგვას); **დაფეერავს** (მალიან სცემს, გაჯოხავს); **მიბუსუნის, მიბუსტნის** (მითეთქვავს)....

მჭამელ ადამიანზე იტყვიან: **დიდი მჭამელი, ორკუჭა, ღორმუცელა, დაბურთული** .

ხმამდალ ლაპარაკს აღნიშნავს **დალდალი, დარდალანი**. გვხვდება გამოთქმებიც: **დალდალინა უდგათ, დალდალი (დალდალანი) გააქვთ**. „წყაროზე სულ დალდალინა უდგათ ხალხსა“ (წილკ.). „შეიყრიან ხომე სანახირეზე თავსა და დალდალანი გააქვთ“ (კავთ.).

სხვადასხვა ნივთების სიდიდეს აღნიშნავს : **აფლაფატო** -დიდი, გრძელი განიერი ტანსაცმელი. „ნეტაი მაგ შარვალ არ ჩაიცომდე ხომე, ძაან აფლაფატო რამ არი“ (წალკ.).

**ბედრანგი**: 1. დიდი, უხეში, ტლანქი. „კოხტა რამე რო არი, დიდი როა, მოუხეშავი, იტყვიან **ბედრანგიაო**“ (ატ.). „შენი ჩანგალი არ ვარგა, **ბედრანგიაო**“ (თამ.). 2. უწესრიგო, უსუფთავო. 3. ძველი, უვარგისი, გამოუხედეგარი.

**ბელქაში** დიდი, სქელი, ტლანქი. „იმისთანა **ბელქეშა** ბალიშები გაატანა მზითებში თამარამა თავის ეთერისა“ (ჩუმათ.).

**ლაფშა** ჯამი-დიდი ჯამი.

ცხოველების სიდიდეზე მიუთითებს : **ზობრა, ზოდრა** (მსუქანი, დიდთავა, ძალი); **დემფეშა** (მსუქანი, სქელი გოჭი); **ზოდოლა**: 1. მსხვილი, მრგვალი (თვალეები). 2. მსუქანი, თავმსხვილი (ხარი).

დიდ სიცხეს აღნიშნავს: **ზოტორო, გაგანია სიცხე** (პაპანაქება)... დიდი, კოკისპირული წვიმის აღმნიშვნელად დასტურდება **ზუტუტი, რეში** ...

მცენარეების ან საკვები პროდუქტების სიდიდეს აღნიშნავს: **გორდეული** (ყველის დიდი გუნდა), **გაქურქურებული** (კარგად გაღვივებული), **ზლაგვი** 1. ხის მსხვილი ფესვი. 2. ამონაყარი ხის ძირის გადანაჭერზე; **გლუყურო** (დიდგულა). „**გლუყურო** ხე არი, დიდგულასაც ეძახიან“ (ხაშ.).

ზოგი ლექსიკური სიტყვა კონტექსტის მიხედვით აღნიშნავს დიდსაც და მცირესაც. მაგ.: **წიწლიკა** 1. მაღალი, გამხდარი. „ძალიან მაღალ ქალზე იტყვიან **წიწლიკა** არისო“ (ომ.); 2. პატარა, დალეული. „რაც პატარაა თავი ასაკთანა და სუსტია, წვრილი, ყველას ეტყვიან **წიწლიკასა**“ (ტირმნ.).

სიდიდის აღმნიშვნელი ლექსიკა დასტურდება ტოპონიმებშიც. მაგ.: **დიდახო** (ადგილი ალში); **დიდმიწები** (ადგილი ხუნდისუბანში); გრძელი მიწა (ადგილი ალიბარში); **დიდმუხა** (სოფელი ზნაურის რაიონში)...

მოხსებაში ყურადღებას გავამახვილებთ სიდიდის აღმნიშვნელი ლექსიკის სახელდებასა და წარმოებაზე. საინტერესო სურათს გვაძლევს წარმოდგენილი ლექსიკური ერთეულების ქართული ენის სხვა დიალექტების მასალასთან შედარება.

## **ლევან კოჭლამაზაშვილი**

### **ქიზიყური ლექსიკის შესწავლის ძირითადი ასპექტები**

ლექსიკა დიალექტური მეტყველების თვისებათა შორის ერთ-ერთი წამყვანი სფეროა, რომლითაც განისაზღვრება ამა თუ იმ კილოს ინდივიდუალობა. ყოველი სამეტყველო სივრცე სხვადასხვაგვარ შესაძლებლობას ანიჭებს ენას, ამდიდრებს ფორმებითა და კოგნიციის გამომხატველი, სახელდებითი ცნებებით; შინაგანი განვითარების გზები მას სიცოცხლისუნარიანობას ცოცხალი მეტყველების (resp. დიალექტის) პირობებში სძენს, გამოავლენს ჩვეულ და უჩვეულო წყობას, წამყვან თუ უმნიშვნელო პროცესებს, რაც ერთიანად დიალექტის სახედ ყალიბდება.

ქიზიყური, მსგავსად ქართული ენის სხვა დიალექტებისა, გამოირჩევა თავისებური ლექსიკით. მისი გავრცელების არეალში განხორციელებული ისტორიული პროცესები, თავისთავად, ასახულია სხვადასხვა სიტყვიერ სისტემაში და უჩვეულო არ უნდა იყოს, რომ სიახლოვე გამოიჩინოს როგორც მთის (თუშური, ხევსურული, მთიულური...), ისე მომიჯნავე კილოებთან (კახური, ინგილოური). ამ ყოველივეს ერთვის სოციალური ფაქტორი სამწერლობო ქართული ენის დიდი ზეგავლენისა: მისი საგრძნობი ზემოქმედება აქრობს დიალექტურ ლექსიკასა თუ ხატოვან გამონათქვამებს, შედეგად კი ქიზიყურის მეტყველებითი განკერძოება ირღვევა.

წინამდებარე მოხსენების მიზანია ქიზიყური დიალექტური ლექსიკის შესწავლის ძირითად ასპექტთა მიმოხილვა: შედარებითი და

აღწერითი ლექსიკოლოგია, არქაული და ნასესხები ლექსიკა, ხატოვანი თქმები და მათი სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი. ეს დებულებები განხილულია ქვემოთ წარმოდგენილ სიტყვათა მაგალითზე:

ა) არქაული ლექსიკა ქიზიყურში და მისი მნიშვნელობა საერთოქართველური ფუძე-ენის რეკონსტრუქციისათვის: **ლალ**-ვა „ფარის, ნახირის წასმა“, შდრ. კოლხ. **რულ**-ა „სირბილი, რბენა“.

ბ) ენობრივი კონტაქტი კავკასიაში და მისი ასახვა ქიზიყურ ლექსიკაში: **კალტ**-ი „ნადული“ < ნახ. **კოლდ** „ხაჭო“.

გ) ქართულ-სპარსული ენობრივი ურთიერთობის კვალი ქიზიყურში: **ჩან**-ა „ყბა, ღრანჭი“ (სპარს.)

დ) სომატურ ლექსიკასთან დაკავშირებული გამონათქვამები: ე-**ნადვლ**-ებ-ა „გულის დაწყვეტა“

ე) კომპოზიტი ქიზიყურში: **ბოლოკაბა** „ქვედა ბოლო“

ვ) ძიებანი მკვიდრი ლექსიკიდან: **დაზანკრაეება//დაძანკრაეება** „კვერცხისა ან კაკლის დაჭიდებით გატეხვა“; **წოკნაობა** „რწევა“

ზ) ქიზიყური ხატოვანი თქმები: **პური(ა) დაკვრა** „პურის გამოცხობა თონეში“.

## მ ა კ ა ლ ა ხ ა რ ტ ყ ა ვ ა

### დიალექტიზმები ქართულ ხალხურ ზღაპარში

ქართული ზღაპარი, მისი ტრადიცია, შესრულების გარემო, ფუნქცია მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართველი ხალხის ეთნოგრაფიულ ყოფასთან და განსაზღვრულია საზოგადოებრივი ცხოვრების ხანგრძლივი ისტორიით. ზღაპრის პროტოტიპი – მაგიური დანიშნულების მარტივი ამბავი – იმთავითვე თან დაჰყვება ადამიანთა ყოფა-ცხოვრებას. ისტორიის ვრცელ მანძილზე ეს მარტივი ამბავი მხატვრულ ძეგლად იქცა და მრავალგვარი ფუნქცია იკისრა.

შესაბამისად, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ქართულ ზღაპარში საკმაოდ მრავლად დასტურდება დიალექტური ფორმები, მაგ.: **არსებითი სახელები** („...მობრუნდა ეს თევზი, მისცა **ფთა** და უთხრა: იქნებ ერთ გაჭირვებაში მეც გამოგადგეო“, „როგორც პირი უნდა დაელო, მღვდელმა **კობალი** დაარტყა და კუჭია გასკდა“; „ყადმა უთხრა

ერთი უღელი **კამბეჩები** გაგზავნე შენს სამეფოში ვის კარზედაც ისინი გაჩერდებიან“...), **ზედსართავი სახელები** („...სამსე ვიყავი ოქროვერცხლით და თავის სახლში წამიყვანაო“; „წავიდა **უნცროსი** ძმა“; „**ქოვითი** კაცი მოდიოდა“)... **ზმნიზედები** („დათესა მოვიდა **ძრიელ** მრავალი“; „მაზლმა დაუყვირა: **ქვეით** წავიდაო“) და სხვ.

რაც შეეხება ზმნებს, აქ გვხვდება: **მა-** („დევმა უთხრა: თავი დაანებე, არ გამიგოს, თორემ მეც **მამკლავსო**“), **დე-** („ერთი კაცი გამომდგარა ეგერ და მიძახის, შვილი მოგინათლეო, და რა ვქნა, წავიდე თუ არაო?– **დევეითხა** მელია“ ), **შა-** („მაშინ **შამაიტანა** ქმარმანის ასკილის კონა“) ზმნისწინებიანი (დიალექტური) ფორმები. შეინიშნება თემის ნიშანთა მონაცვლეობაც: („ნახა ერთ ალაგას ერთი ქალი პურს **აკრამს**“, „შეწუხებული და ნაღვლიანი ქალი წაიღებდა თითისტარს და **ართამდა** ბამბას“)...

საინტერესოა, რომ ქართულ ზღაპარში მესამე ირიბი ობიექტური პირის ნიშნად **ჰ-**ს პარალელურად **ხ-**ც დასტურდება: „მერე ქმარსა **ჰკითხა**: „იმან უთხრა, არაფერი არ მინახავსო“, შდრ.: „შეხედა თაროს და **ხკითხა**: ეგ რა არისო“)...

გვაქვს თანდებულთა დიალექტური ვარიანტებიც: **-დამ** („გამოუჩნდა ხელმწიფის შვილი, გადმოხტა **ცხენიდამ** ის კაციც“; „ნახა, რომ **ჯოხიდამ** გამოვიდა ერთი მშვენიერი ქალი და რომ მივიდა სინათლის ასანთებად...“), **-თვინ** („ქორმა უთხრა: **ჩემთვინ** რა წიწილა მოგიგდია, რომ ავუშვაო“) და სხვ.

ქართულ ზღაპარში თავს იჩენს იმერული, გურული, მოხეური, მთიულური, ინგილოური... ლექსიკა: **ბოგშვი** (იმერ.) : „**ბოგშვს** რა დაარქვესო? მელიამ უპასუხა: – შუა დაარქვესო“; **სიმაური** (გურ.) : „ქაჩალას ხელმწიფის ქალიშვილი შერთეს და ხელმწიფობაც დაუმტკიცა **სიმაურმა**“; **თოლი** (მოხ., მთიულ. ინგილ.) : „საშუალოს ცოლმა, მოკიდა **თოლი**, გავიდა და ქმარმა წააყვედრა“ (საგულისხმოა, რომ ლექსიკური ერთეული **თოლი** მეგრულშიც დასტურდება); **უკენ** (ხევს. მოხ. მთიულ. თუშ. გუდამ.) : „ცხენიანი კაცი ნახის – **უკენ** ცხენს გამოუბავდის“...

ასევე მრავლად გვაქვს ქიზიყურისა და ქართლურისათვის დამახასიათებელი **-ყე** ნაწილაკიანი ფორმები („უნდოდათ-**ყე** შვალამეზე გაპარულიყვნენ და კოპალე მიეტოვებინათ-**ყე** იქავე“)...

საგულისხმოა, რომ ქართულ ზღაპარს დიალექტური ფორმები გამორჩეულ ელფერს სძენს.



## მიხეილ ლაზაძე

### ლაზურ კილოთა ლექსიკა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისათვის

1. ქართული ენის აკადემიური, რვატომიანი განმარტებითი ლექსიკონი პირველად გამოიცა 1950-1964 წლებში, აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას თაოსნობით. მასზე მუშაობდა 150 მეცნიერი – როგორც ენათმეცნიერები, ისე სხვა დარგების სპეციალისტები, ასევე მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ შეიცავს 112 949 სიტყვას და ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიაში, პირველად სწორედ მასშია მოცემული ლექსიკური ერთეულების სისტემატური დოკუმენტაცია. ლექსიკონის კარტოთეკა დღემდე განუწყვეტლივ ივსება. 1986 წელს გამოიცა განმარტებითი ლექსიკონის ერთტომეული, რომელიც შეიცავს 60 000 სიტყვას „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ რამდენადმე შეზღუდული რაოდენობით გვხვდება დიალექტური ლექსიკა; არადა, რამდენადაც დასახელებიდან გამომდინარე, ის ზოგადად ქართული ენის (და არა – მხოლოდ სამწიგნობრო ქართულის) განმარტებითი ლექსიკონი გახლავთ, ბუნებრივია, უნდა მოეცვა ყველა ქართველური ენა-კილოს ლექსიკაც (ტ. ფუტკარაძე). ჩვენი მხრიდან დავძენთ, რომ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ამა თუ იმ ენის **აკადემიური** ლექსიკონები მუდამ შეიცავს დიდი რაოდენობით დიალექტურ სიტყვა-ფორმებს – განსაკუთრებით, დარგობლივ და ისეთ ლექსიკას, რომელთა შესატყვისებიც სამწიგნობრო ენაში არ მოიპოვება. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ 12-ტომიანი **„რუმინული ენის უნივერსალური ილუსტრირებული ლექსიკონი“ (Dicționar Universal Ilustrat al Limbii Române)**, რომელიც ბუქარესტში 2010-2011 წწ. გამოიცა და შეიცავს 80 000 სიტყვას. აქედან დაახლოებით 25% დიალექტური დარგობლივი ლექსიკაა. ამავე პრინციპითაა შედგენილი აგრეთვე ესპანური, არაბული, ჩინური, ხორვატული, ბულგარული და სხვა ენების აკადემიური (უნივერსალური) ლექსიკონები, რომელთაც თემაზე მუშაობისას საგანგებოდ გავეცანით.

2. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ შემდგომ გამოცემებში უპრიანია ლაზური კილოების (ხოფურ-ჩხალური, ვიწური, არქაბული, ათინურ-ართაშენული) მონაცემებიც; პირველ რი-

გი, მეტად ფასეულია ზღვაოსნობის/მეთევზეობა-ნაოსნობის ტერმინოლოგია, მაგ.:

**აპლადი** – დიდი ბადე ერთგვარი, რომლითაც ზღვაში შეუსვლელად, ნაპირიდანვეა თევზაობა შესაძლებელი: **მზოდას დეინიშავა ამაფთათ, აპლადი ქომიღუნან-ქი!** (სარფ.) „ზღვის სიღრმეში არ შევალთ, ავი აპლადი გვაქვს!“;

**გირგირი** – მოზრდილი ბადე ერთგვარი, რომლის მეშვეობითაც შუა ზღვაში დიდი ოდენობით თევზის დაჭერაა შესაძლებელი: **ჭელუკათე ზულაშა სუმ კოჩი ამაჭითთ, გირგირი ხოლო ბილით** (ვიწ.) „ფელუკით ზღვაში სამი კაცი შევედით, გირგირიც წავიღეთ“;

**ზომინი** – გაურეცხავი, დაუსუფთავებელი თევზის მოსქო წვენი, მუქი ფერისა: **ზომინი გაუხთას-მა დო, ნა პჭოფი ჩხომეფე ცანცას ქოდოლობდი** (არქ.) „წვენი გაუვიდეს-მეთქი და, რაც კი თევზები დავიჭირე, წულ ჩანთაში ჩავყარე“;

**თალაზი** – ნავის კიჩოზე მიჭედებული გვერდითი ფიცრები, რაც ტვირთს გადმოვარდნისაგან იცავს: **თალაზი ოთხო კითიშ მაპეჯანა ვა ყაზა-ნა, იუქი ვაპა აქაჩენ?!!** (ხოფ.) „თალაზს თუ ოთხი თითის სისქეზე არ გათლი, ტვირთს კი ვერ დაიკავებს?!“;

**პარაპატი** – სათრეველი ბადეა ერთგვარი, რომელსაც შუა ნაწილში ტომრისებრი ჩაღრმავება აქვს თევზის გასაბმელად: **მზხომი პარაპატი ქოგოზულათოსო, დაპა ვროსი იჭოფინენუ!** (ათინ.-ართ.) „თევზს პარაპატს რომ დავუგებთ, უფრო კარგად იჭირება!“;

**პარეპა** – ნავის ამოსათრევი ხელსაწყოა ერთგვარი: **ჭელუკა პარეპათენ გამაფთიუფთ, ვანათინა ხეთენ მის გამათირენ, მუ ზოპონ?!!** „ფელუკას პარეპით გამოვათრევთ ხოლმე, თორემ ხელით ვის შეუძლია ათრიოს, რას ამბობ?!“;

**ტკომილა** – უჯოხო, სასროლი ანკესია ერთგვარი: **ანკეცი მოდ გინონ, ტკომილა ხომ ქომიღუნან, დაა!** „ანკესი რაღად გინდა, ტკომილა ხომ გვაქვს, რაღა!“;

ზღვაოსნობის/მეთევზეობა-ნაოსნობის ტერმინთა გარდა, საინტერესოა ასევე, ამგვარი ლექსიკაც:

**ქვანჭალა** – ზღვის ან რიყის კენჭი, „შებენი“: **ბეექ ქვანჭალაფე დოკორობეენ დო დღამორგვალი ექ ისთერს ღოჯის!** (სარფ.) „ბავშვს ზღვის კენჭები მოუგროვებია და მთელი დღე იქ თამაშობს ეზოში!“;

**შურიმშინი** – წინაპრის გზის გამგრძელებელი, მიმდევარი: **მუქ დოღუუ-თი-ნა, შურიმშინეფე ჩქვა დიდო ქოდუსქიდუ** „თვითონ კი მოკვდა, მაგრამ შურიმშინე ბევრი დარჩა“;

**ცანცა** – წნული ჩანთა თევზის ან ხილის ჩასაწყობად: **ცანცა ქერქითე თხოზუგან, დიდო კაი ხეშა იხმარინენ!** (ხოფ.) „ცანცას ხის ქერქით წნავენ, ძალიან კარგად იხმარება!“ და ა.შ.

3. ლაზურ კილოკავთა ლექსიკური ერთეულების ნაწილი შესაძლოა, ნასესხებიც იყოს (ძირითადად, პონტოური ბერძნულიდან ან იტალიური კილოებიდან), მაგრამ ეს, ჩვენი აზრით, მეორეხარისხოვანია, რადგან, ხშირ შემთხვევაში, გამსესხებელ ენაში სათანადო სიტყვები ან ლექსიკის პასიურ ფონდშია, ან სულაც დაკარგულა, ხოლო ლაზურ კილოკავებში ისინი აქტიურად გამოიყენება; აქედან გამომდინარე, ასეთი ლექსიკური ერთეულები უნდა ჩაითვალოს ლაზური ქვესისტემის კუთვნილებად და მათგან დამკვიდრდეს სამწიგნობრო ენაში.

## **ნ ი ნ ო მ ა შ ი ა**

### **სამიწათმოქმედო შრომასთან დაკავშირებული ლექსიკა ლაზურში**

1. მეგრულ-ლაზურში სამიწათმოქმედო ლექსიკის შესახებ არაერთი საინტერესო ნაშრომია გამოქვეყნებული. თუმცა ამ მხრივ ლაზურში, მეგრულთან შედარებით, საკვლევი მასალა უფრო მწირია. სწორედ ამ ნაკლის შევსების ცდას წარმოადგენდა მიმდინარე წელს ბათუმის დიალექტოლოგიის სამეცნიერო ცენტრსა და გონიოს თემის სოფლებში საკითხთან დაკავშირებით ჩვენ მიერ ლაზური სამიწათმოქმედო ლექსიკური მასალის შეკრება-აღწერა.

2. აღმოჩნდა, რომ სასოფლო-სამეურნეო ლექსიკის აღმნიშვნელი ბევრი სიტყვა, რაც ფიქსირებულია ლექსიკონებსა და გამოქვეყნებულ ტექსტებში, მივიწყებას მისცემია და ნაწილობრივ მხოლოდ ძველი თაობის მეხსიერებაშია შემონახული. თუმცა თუ დროულად არ იქნა აღწერული, მათ დაკარგვის აშკარა საფრთხე ემუქრება. სწორედ ასეთი ლექსემების აღწერა და სამეცნიერო ლიტერატურისათვის უცნობი სიტყვების მოძიება დავისახეთ მიზნად.

3. სტატიაში გაანალიზებული იქნება:

ა) ნიადაგების, საყანე ადგილებისა და მიწის დამუშავებასთან დაკავშირებული ლექსიკა (ლოლომი, ონკალაშე, ოქარტალუ, ცარა).

ბ) შრომის იარაღების აღმნიშვნელი ლექსიკა (ორადი, დინგი, ბელი ....).

გ) სამკალ-სათიბი და სალენი იარაღები (ონდრაწე, მაკვათულე, ოლარალე...).

დ) სახვნელი იარაღები (ნტაქიმი, ხოჯიკოკარი, საფანი...).

## თეონა მაჭავარიანი

### იმერული დიალექტური ლექსიკისათვის (ოკრიბული მასალების მიხედვით)

დიალექტური ლექსიკა სალიტერატურო ენის სიტყვიერი ფონდის გამდიდრების მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს. ენის ლექსიკური ფონდის სრულყოფილი შესწავლისათვის აუცილებელია სხვადასხვა დიალექტური ლექსიკური ერთეულების ჩაწერა და ანალიზი.

საკვლევად ავიღეთ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (ამჟამად ქართველოლოგიის ცენტრში) დაცული დიალექტური მასალა, რომელიც ჩაწერილია 1993-1995 წლებში ორპირის თემის სოფლებში.

საანალიზო ტექსტებში დასტურდება საინტერესო ლექსიკური ერთეულები, რომლებიც გამოქვეყნებულ ლექსიკონებში არ ჩანს ან კიდევ განსხვავებული სემანტიკით იხმარება. მაგალითად: **კვიზარცხალა** – იტყვიან კარგ დილაზე, **ევანწურება** „ეწუნკლება“, **კიკიპალა** „ჭუჭრუტანა“; **ფილაფორი** „ნელა მიმდინარე წყალი“, **გარაყერყეჩება** „გამალიანება“, **ბალაბანდურა** „გაუფასურებული“, **დათანგილებული** „ნაკლის მქონე“, **მჯაყდება** „ინგრევა“, **მოქხსნიტა** „გაგთვალა“...

## **ნინო მახარაძე**

### **აჭარული დიალექტი და სულხან-საბას „სიტყვის კონა“**

სპეციალისტთა მიერ დადგენილია, რომ საბას ლექსიკონში მრავალი სიტყვა ძველ და ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში არ გვხვდება, ისინი არაა შეტანილი არც შემდეგდროინდელ ლექსიკონებში, მაგრამ დღემდე სათანადოდ დაუცავს ქართული ენის დიალექტებს. აჭარული კილოს ლექსიკის შედარებისას საბას „ქართულ ლექსიკონთან“ გამოირკვა, რომ ბევრი ლექსიკონისეული სიტყვა, რომელიც სალიტერატურო ენას დაჰვიწყებია, და დიალექტებშიც არ დასტურდება, ცოცხალია აჭარულში. ცალკე გამოვყოფთ შემდეგ პარაგრაფებში სიტყვებს, რომლებსაც ან მსგავსი სემანტიკა აღენიშნებათ, ან განსხვავებული მნიშვნელობით დასტურდება ან კიდევ ფონეტიკურად არიან გადასხვაფერებული.

საბას ლექსიკონიდან საყურადღებო ნაწილს მოცემული კვლევისათვის წარმოადგენს ის სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც დღეისათვის სპეციფიკურია აჭარული კილოსათვის, გამოქვეყნებულ დიალექტურ ლექსიკონებში პარალელები არ ეძებნება და ამის გამო, ჯერჯერობით, მხოლოდ ამ კილოს საკუთრებად მოიაზრება. ნაშრომში თავმოყრილია სწორედ ასეთი დიალექტური ერთეულები, რომელთაგან ზოგს მნიშვნელობა შეუცვლია, ზოგს კი – არა.

ა) იმავე მნიშვნელობითაა შემონახული ლექსემები:

**ანდაზა, ბაწკი, ბოვრი, დაბუჯება, დამელნარი, დეფანი, კეში, მათხირი, მერული, პოპლიკა, ფრეწა // გაფრეწა, ფუფული, ქაფშია, ყურბელა, შილი, წინწალი, ჭუჭული..**

ბ) შეცვლილი მნიშვნელობითაა: **გაბოგინება, ლეშხი, მურეშა, ქერეჭი...**

## ნათელა მელიქიძე

### თურქული ლექსიკა ასპინძის მუნიციპალიტეტის ანთროპონიმიაში

1. ნაშრომში განხილულია ასპინძის მუნიციპალიტეტის ანთროპონიმიაში დადასტურებული თურქული ლექსიკა, რომელიც საკვლევ რეგიონში მომძლავრებული იყო ოსმალური იმპერიის ზეგავლენის შედეგად.

2. მე-16 საუკუნის სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ დოკუმენტში, კერძოდ, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“, ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიაზე დოკუმენტირებულია თურქული წარმოშობის სახელები: **არსლანა, სულთანა, სურხანი, გოზალა, ყანდუ, იანქო, ზადურ, იალღუზ...**

3. ისრაელში გავრცელებული ჩვეულებისაგან განსხვავებით (რომელთა კომბინირებული სახელების პირველი კომპონენტი ივრითული ანუ ებრაული სახელია, ხოლო მეორე – იდიშური ანუ ევროპის ებრაელთა სახელი), საქართველოში დაფიქსირებული ადამიანის ორსახელიანობა (ლაშა-გიორგი, სუმბატ-დავითი, სულხან-საბა...) ლ. პერტაიას აზრით, დაბადებისა და კალენდარული სახელების სინთეზს წარმოადგენს. განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს „მესხური ქრონიკები“, რომელშიც ორსახელიანობის მაგალითია **საბა-იანქო**; „ტოპკაფის სასახლის არქივში“ დაფიქსირდა **ყვარყვარე-ყანდურალი**

4. ასპინძის მუნიციპალიტეტის მეტსახელებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თურქიზმებს: **ალთუნა** – ბავშვობისდროინდელი მეტსახელი, რომლითაც ახლობლები მიმართავდნენ. შდრ. თურქ. ალტინ/ ალტუნ – ოქრო (ჩლაიძე); **დალიგეჩია** – გიჟმაჟი, გადარეული; თურქ. დალიგაცი – 1) ჟარგ. მატყუარა, ყალთაბანდი, თაღლითი, თვალთმაქცი, გაიბვერა, გაქნილი; 2) ფუქსავატი, თავქარიანი, ქარაფშუტა; 3) დაბნეული, დაფანტული, უგულისყურო, გულმავიწყი (ჩლაიძე); **მუთრუფი** – უსუფთაო, ბინძური; „მაიმუნი, უსირცხვილო, მოურიდებელი“ (ბერიძე); მუთრუფი თურქული მოდგმის ტომია, მუთრუფები ცხოვრობდნენ სამცხე-ჯავახეთში; **ყარა** – შავი. შდრ. თურქ. **კარა** შავი; შავგვრემანი, მუქი (ჩლაიძე); **ყარაყუში** – პატარა შავგვრემანი ქა-

ლი, შდრ. თურქ. კარაკუს – ზოოლ. არწივის სახეობა (ჩლაიძე); **ჩოლახი** – ხელდაზიანებული, შდრ. თურქ. ცოლაკ – ხელგამხმარი, ხელდასახირებული, ხელდაშავებული ადამიანი (ჩლაიძე); **ჩოლფოტი** – უთაური, უდიდამო, მოუხერხებელი. „მოუქნელი, საქმის უცოდინარი, მოუხერხებელი“ (ზედგინიძე), შდრ. თურქ. ცოლპალიკ(-გი) – დაბდურობა, დაუდევრობა, მოუქნელობა, მოუხერხებლობა (ჩლაიძე).

5. ასპინძის უნიციპალიტეტის მაჰმადიანი მოსახლეობის გვარ-სახელებში (XIX-XXსს.) წარჩინებულთა შორის ცნობილი იყო **ხიდირბეგიშვილი/ხიდირბეგოვი**. გვარსახელში თვალსაჩინოა თურქული ტერმინის – ბეგის არსებობა. მ. ჯიქიას აზრით, „სულთანნი და შაჰი, მირზა თუ მელიქი, ადა და ხანი, ბეგი თუ ამირა ანთროპონიმად ქცეული წოდებებია. თურქული ტიტულატურა, სამხედრო-სამოხელეო წოდებები და სოციალური მდგომარეობის აღმნიშვნელი ტერმინები მრავლად გვხვდება ქართველურ ანთროპონიმებსა და პატრონიმთა ფუძეებში“.

6. გამქრალი გვარებიდან აღსანიშნავია: **თოფალიშვილი** – **თოფალ**-ი თურქულად „კოჭლს“ ნიშნავს (გრ. ბერიძე); **ტოპალიშვილი** – ეს გვარსახელი **თოფალიშვილის** ფონეტიკური სახეცვლილება უნდა იყოს; **თურმანიძე** – სპარსულად დურმან „წამალი, საშუალება, გადარჩენა“, მ. ჯიქიას აზრით, ძნელი არ არის თურმანიძეთა გვარის დაკავშირება წამალთან და თურმანი-ი შეიძლება ითარგმნოს, როგორც „მეწამლე“ (მ. ჯიქია); **ისპირიანი** – **ისპირ სპერის** თურქული ვარიანტი უნდა იყოს, სტამბოლი/ისტამბოლის მსგავსად. -იან წარმომავლობის სუფიქსის დართვამ მოგვცა ისპირიანი – „სპერიდან მოსული“, რომელიც შესაძლებელია ჯერ შტო-გვარის აღმნიშვნელი იყო, მერე გვარად დაფიქსირდა; **ლალიაშვილი** – **ლალი** ენაბლუს აღმნიშვნელი იყო ჯავახურში, შდრ. ლალი (არაბ. თურქ.) მუნჯი, ბლუ (გრ. ბერიძე). **მოლაშვილი** – **მოლა** მაჰმადიანური სასულიერო წოდების აღმნიშვნელია; გვარსახელს ფუძედ წინაპრის საქმიანობა (შდრ. დეკანოზიშვილი, მღვდლიაშვილი) ან მეტსახელი უდევს; **ყულიშვილი** // **ყულოშვილი** – ვ. გაბაშვილის ცნობით, ყულები საქართველოში მეფის პირადი მცველები და ზედამდგომლები ყოფილან. გვარსახელის ფუძე დასტურდება „დიდ დავთრისეულ“ თხზულ სახელში **ყულიჯან** – ხიზაბავრა, 1595 წ. (ს. ჯიქია): **ყული** „მონა, ბეჩავი“.

7. ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა საერთო გვარებიდან ცნობილია: **გვირჯიშვილი** – ამოსავალია ეთნონიმი „გურჯი“ (თურქ. ქართველი). გურჯიშვილი იგივეა, რაც ქართველიშვილი. ბ. ჯორბენაძე მესხურ-ჯავახურისათვის ნიშანდობლივად მიიჩნევს ო და უ ხმოვნების დაშლას ვე და ვი კომპლექსებად და პარალელურად ადასტურებს ვე -> ო, ო -> ვე პროცესებს (ბ. ჯორბენაძე). სწორედ უ -> ვი მონაცვლეობის შედეგია გვირჯიშვილი.

**დევერიშოვი** – გადმოცემის თანახმად, ამ გვარში წინაპრები გამუსლიმებული ქართველები ჰყოლიათ. მათი ერთი წარმომადგენელი ზველიდან ჭობარეთში გადმოსულა ხმალაძეების ქალის დასანიშნად, მაგრამ სხვა სარწმუნოების მიზეზით უარი უთქვამთ. მაშინ გიორგის (ასე რქმევია სასიძოს) რჯული შეუცვლია და გაქრისტიანებულია. ხმალაძეებთან დამოყვრების შემდეგ დევერიშოვად დაწერილა, რაც „მოხეტიალე მლოცველს“ ნიშნავს (გ. ივანიძე). ცნობილია, რომ **დევერიშიენტ** უწოდებდნენ დევერიშოვთა გვარის მუსლიმ წარმომადგენლებს.

8. ქართულ ანთროპონიმიაში თურქიზმები გვხვდება როგორც პირის სახელად, ასევე პატრონიმის ფუძეში (მ. ჯიქია), ანალოგიურად აისახება შტო-გვარის სახელწოდებებშიც. ზოგჯერ ერთმანეთის გვერდით დასტურდება როგორც საკუთრივ ქართული, ისე თურქულენოვანი სახელი. მაშასადამე, ორენოვნება ფაქტია ასპინძის მუნიციპალიტეტის შტო-გვარებში. მაგალითისათვის, მაისურაძეების ერთ შტოს კოჭლიენტ ეძახიან, ცნობილი არიან აგრეთვე როგორც **თოფალიანი** (თურქ. თოფალ „კოჭლი“), ოთანაძეების ბალაანთ შტოს სხვა სახელიც აქვს – **ყარაგვეზაანი** (თურქ. ყარაგოზ „შავთვალა“), მელიქიძეთა თევდორეენტ შტოს – **ქარიშაანი** („ერთა, დედისერთა“).

9. ასპინძის მუნიციპალიტეტში გვარის განაყართა განაყრებიც დასტურდება: ზაზაძეების „ადუაანთ“ განაყრებს „ყარაჯაანით“ იცნობენ (თურქ. ყარაჯ „შავგრემანი“).

10. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ადგილების ნომინაცია გვარისა და გვარის განაყოფთა სახელების მიხედვით ჩვეულებრივი ფაქტია. ასპინძის ანთროპოტოპონიმიაშიც აისახა თურქული სახელები; ასეთია, მაგალითად, **ყარანდვრიენტ ავაზნები** (სოფ. ზველი), **დევერიშოვთა წისკვილები** (სოფ. ჭობარეთი).



## **ომარ მემიშიში**

### **ზმნისწინთა სისტემა სარფის მეტყველებაში**

სარფის მეტყველებაში, როგორც სხვა ლაზურ კილოკავებში წარმოდგენილია მარტივი და რთული ზმნისწინები.

მარტივი ზმნისწინები განსაზღვრავენ ზმნურ ფორმას, გრამატიკულ კატეგორიას, ხოლო რთული ზმნისწინები უფრო ტიპოლოგიური მარკერებია, რომლებიც ქმედებისა თუ მდგომარეობის ლოკალიზაციას ახდენენ.

სარფულში სტრუქტურულად მარტივი ზმნისწინი შედგება თანხმოვნისა და ხმოვნისაგან. გამონაკლისი სახით ზმნისწინი წარმოდგენილია ოდენ ხმოვნით. რთული ზმნისწინის აგებულება ასეთია: თანხმოვანი + ხმოვანი + თანხმოვანი, ან ხმოვანი + თანხმოვანი + ხმოვანი.

მეტყველებაში ზმნისწინის ხმოვნის ცვალებადობა ნაკლებ ვარიანტებს იძლევა. იდენტური ხმოვნები ერთ ხმოვნად შეირწყმიან, თუმცა პალატალიზაციის შედეგად მთელი რიგი ხმოვნებისა და ბგერათკომპლექსთა იოტიზაცია ხდება, რასაც მოჰყვა დიფთონგების წარმოქმნა.

## **ნაილე მიქელაძე**

### **სამცხე-ჯავახეთის ზოგი ტოპონიმის შესწავლისათვის**

სამცხე-ჯავახეთის ტოპონიმები ისტორიულ წყაროებსა და მოვლენებს შეიცავენ. შესაბამისად, მათი კვლევა მნიშვნელოვანია საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიის, რელიგიისა და ენის ისტორიის შესწავლაში.

ტოპონიმიკა, როგორც ლექსიკოლოგიის დარგი, გეოგრაფიულ სახელებს გეოგრაფიული, ისტორიული და ლინგვისტური ასპექტით იკვლევს. ტოპონიმური გადმოცემების დანიშნულება კი ისაა, ახსნას რატომ წარმოიშვა ამა თუ იმ ადგილის სახელ-

წოდება. ხშირად ტოპონიმურ თქმულებათა შექმნას საფუძვლად ედებოდა რეალური ფაქტები.

ნაშრომში წარმოდგენილი იქნება შემდეგ ტოპონიმთა ანალიზი: **ნინოწმინდა, ფარავნის ტბა, გოგჩა** და სხვ.

ამდენად, რელიგიურ-ისტორიული თქმულება-გადმოცემების კვლევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ფოლკლორული წყაროს ყოველი ახალი მიგნება-აღნუსხვა და მისი მეცნიერული ანალიზი ამ კუთხის ისტორიის უკეთ შესწავლაში დაგვეხმარება.

## **მ ა ი ა მ ქ ა ვ ა ნ ა ძ ე**

### **ზმნისწინთა დიალექტური ფორმები ახალ ქართულში**

ზმნისწინთა ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმები ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში შეიძლება შეჭრილი იყოს როგორც აღმოსავლური, ასევე დასავლური დიალექტებიდან. როგორც მაგალითებმა აჩვენა, ფონეტიკური ცვლილებები არ ხდება ზმნისწინთა თანხმოვნით ნაწილში, მხოლოდ იცვლება ზმნისწინის შემადგენელი ხმოვნითი ელემენტი. დიალექტები ამ მხრივ განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებენ.

საკვლევ მასალაში დადასტურებული ზმნისწინთა დიალექტური ფორმები უმთავრესად პერსონაჟთა საუბარში გვხვდება.

გვაქვს ზმნისწინის, სრული რეგრესული ასიმილაცია, იცვლება სხვადასხვა ხმოვნის კომპლექსები: ოუ -> უუ; ოე -> ეე; მუუხერხა, მეერიდა და მისთ.

**„მა- მო“** ზმნისწინთა მონაცვლეობა დასტურდება ჭავჭავაძის, ჩოხელის და ჯავახიშვილის შემოქმედებაში: მამკლა, მამინელა, მავედი... დადასტურდა შემთხვევა, როდესაც მო-ს ნაცვლად გამოყენებულია გა- ზმნისწინი, მაგალითად: გავახერხებ / მოვახერხებ. **და-** ზმნისწინის დიალექტური ვარიანტებია: **და-, დე-: დეიგვიანა, დეიფარა, დეინახა... გადა-** ზმნისწინის ნაირსახეობაა, **გად- : გადირია, გადიკრა, გადიტანა... გადმო- გადმუ -** ფორმები დასტურდება ეგნა-

ტე ნინოშვილთან: გადმოუბრუნებია / გადუბრუნებია. გამოიყოფა:  
**გამო-გამე, შა - შე, ჩამ-ჩამე, წა-წე ზმნისწინთა მონაცვლეობა.**

ამდენად, ფორმათა ანალიზისას გამოვლინდა სალიტერატურო ქართულისგან განსხვავებული ვითარება. აღსანიშნავია, რომ დიალექტური კორპუსის მიხედვით, ზმნისწინთა ამგვარი ფონეტიკური ცვლილებები საკმაოდ ხშირია ახალ ქართულში, რასაც მოწმობს საილუსტრაციო მასალა. ცხადია, ეს ფორმები სალიტერატურო ენაში ცოცხალი მეტყველებიდან აისახა.

## **ც ი ა ლ ა ნ ა რ ა კ ი ძ ე**

### **ზოგიერთი ლექსიკური ერთეულისათვის ლაზურში**

ლაზური დარგობრივი ლექსიკის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ცხოვრებაში მომხდარმა ძვრებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია სამეტყველო ენის ლექსიკურ ფონდში. ზოგიერთი სამეურნეო დარგის, წეს-ჩვეულების, ნივთის, სამუშაო იარაღის მივიწყებამ ხმარებიდან განდევნა ბევრი სიტყვა და ლექსიკურ ფონდში ამ სიტყვების დაკარგვის საფრთხე სრულიად აშკარაა. დღეს თითქმის არავინ ხმარობს სიტყვებს: ოკრებულე || ოკრემულე (ადგილი შუაგეცხლის ირგვლივ), ონგიმუ (დომის თავთავების მოჭრა), ხოჯი კოკაი (ხარის კავი ანუ სახვნელი კავი), აყვა (ფუტკრის კვერცხი), ოწულე (თეფშების დასაწყობად განკუთვნილი თარო)...

ხშირად, ლაზური ტერმინების გვარდით, ლაზთა გაბმულ მეტყველებაში, იხმარება აღმოსავლური წარმომავლობის ლექსემებიც, რაც საფრთხეს უქმნის საკუთრივ ლაზური ტერმინების არსებობას. ასეთებია: გელინი (gelin – რძალი) – ლაზურში ნისა, ინადი (inadci – ჯიუტი) – ლაზურში მეკიპაი||მეკიპაა, კიტმირი (kitmir – ძუნწი) – ლაზურში ხორატე, ალუ (agi – საწამლავი) – ლაზურში ღურძული, თრანგი(tanri – ღმერთი) – ლაზურში ღორმოთი...

ამ მივიწყებულ ლექსიკურ ერთეულებს, ვვიქრობთ, ახლაც დიდი მნიშვნელობა აქვს ლაზური დიალექტის ლინგვისტური კვლევისათვის.

## **ნ ა ნ უ ლ ი ნ ო ლ ა ი დ ე ლ ი**

### **ჯემალ ნოლაიდელი და აჭარული დიალექტის ლექსიკა**

აჭარის წარსულის, ზეპირსიტყვიერების, ეთნოგრაფიის, მუსიკალური და ქორეოგრაფიული ფოლკლორის, აჭარული კილოს თავისებურებათა მეცნიერულ შესწავლაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ამაგდარ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ჯემალ ნოლაიდელს (1906-1966). იგი დიდი ყურადღებას უთმობდა აჭარული დიალექტური ლექსიკის მოძიებასა და ფიქსაციას. განზრახული ჰქონდა აჭარული კილოს ლექსიკონის გამოცემაც. ბარათებზე გადატანილი სალექსიკონო მასალები დარჩა მის არქივში. ეს მასალები მოიცავს XX-იანი წლების აჭარის ისტორიის ეთნოგრაფიულ, ფოლკლორულ, სამეურნეო თუ სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის ამსახველ ცნობებს, ტოპონიმებს.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტმა ჯ. ნოლაიდელის სალექსიკონო მასალები გამოსცა იმ სახით, როგორც იგი ავტორმა დატოვა. სამზეოზე გამოტანილ ამ ნაშრომში წარმოდგენილ ლექსიკურ მასალებს ახლაც დიდი მნიშვნელობა აქვს აჭარის ისტორიისა და აჭარული დიალექტის ლინგვისტური კვლევისათვის.

## **ნ ი კ ო ლ ო ზ ო თ ი ნ ა შ ვ ი ლ ი**

### **მცენარეთა სახელები და წარმოება რაჭაში ჩაწერილი მასალების მიხედვით**

მრავალფეროვანია რაჭის ბუნება, იგი ასახულია დიალექტში და ლექსიკის კუთვნილებაა. მასალები ჩავიწერეთ სოფლებში: წედისი და ქვედში, რომლებიც მოგვიანებით შევადარეთ სპეციალურ ლიტერატურას. ამასთან საჭიროდ ვცანით რაჭიდან ბარში ჩამოსულ, ძირითადად, ფრონის ხეობაში მცხოვრებ ინფორმატორებთან მათი დაზუსტება.

მცენარეთა სახელწოდებები დიალექტში სხვადასხვანაირია და თავისებურებებით გამოირჩევა. ამ მხრივ საყურადღებოა ა-დაბო-

ლოებით ნაწარმოები სახელები, რომლის ძირითადი ფუნქცია მქონებლობაა, მსგავსებაა; მაგალითად, კომპოზიტური სახელები:

**მწყერიფება** ლამაზი, ფოთლოვანი მცენარეა, რომელიც მთებზე უხვად მოიპოვება.

**მამლიკოდა** უფოთლო მცენარეა, ეს სახელი ეწოდება ასევე ბალახს, რომელიც ცუდი სათიბია.

**ვაციწვერა** უფოთლოა, მაგრამ წვრილი წანაზარდები აქვს თხის წვერებივით, უბარაქოა და ნაკლებყუათიანი.

**ძუძუკატა** ფოთლოვანი მცენარეა, ისხამს პარკებს, ლობიოს მსგავსს, რომელსაც მძივებად ასხამენ დაინტერესებული პირები, ძირითადად ბავშვები ატარებენ.

ასევე პარკოსანი მცენარეა **მაკნამაკნა**, რომელიც ისახელება როგორც ერთფუძიანად, ისე ზემოხსენებულად.

**ცურნა** არის ბალახის სახელი, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში არის ძურწა-ბალახი, გვხვდება როგორც ყვითელი ისე მწვანე, უფრო გავრცელებულია მწვანე; პირველი, ძირითადად, ალპურ ზონაშია.

**ცხვირტეხელა** ლიტერატურაში ფიქსირდება ცხვირსატეხელა. კომპოზიტის პირველი კომპონენტი გაუვრცობელი ფორმით გვხვდება დიალექტში.

**ცაღბალახა** ფოთლოვანი მცენარეა, რომელიც კარგი სათიბი და ნოყიერი ბალახია.

ა-მაწარმოებელი აფიქსი აწარმოებს სხვადასხვა მცენარის სახელებს, რომელთა პირველი კომპონენტი არის სხვადასხვა მეტყველების ნაწილები, ძირითადად კი არსებითი და ზედსართავი სახელები.

## **მედეა რიყვაძე**

### **ლორჯომის მეტყველებაში დაცული რამდენიმე აღმოსავლური ლექსიკური ერთეული**

საუკუნეების განმავლობაში ქართველები თანაარსებობდნენ ირანელებთან, არაბებსა და თურქებთან, რაც განაპირობებდა კიდევ აღმოსავლური ლექსიკის გავრცელებას კილოკავების დონეზე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საუკუნეთა მანძილზე თურქული

ენის ლექსიკური ფონდის დიდ ნაწილს არაბულ-სპარსული სიტყვები შეადგენდნენ. ქართულენოვანი წერილობითი ძეგლების მიხედვით, XII საუკუნიდან გვხვდება ანატოლიურ-თურქული სიტყვები, თუმცა ვრცელდება XVI საუკუნიდან მოყოლებული. XVI საუკუნეში თურქეთმა დაიპყრო და გაამაჰმადიანა საქართველოს გარკვეული ნაწილები – სამცხე-საათაბაგო და აჭარა. აქედან დაწყებული რამდენიმე საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა ამ ორ ხალხს შორის გარკვეული ურთიერთობა, რასაც არ შეიძლება თავისებური კვალი არ დაემჩნია მათს მეტყველებაზე. დიალექტის ენობრივ თავისებურებათა განსაზღვრაში ლექსიკას ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. კუთხური მეტყველების პროფილი, უპირველეს ყოვლისა, ასახვას პოულობს იმ მრავალფეროვან და თავისებურ სიტყვიერ ფონდში, რის მიხედვითაც ესათუის კილო განსხვავდება სხვა დიალექტებისაგან.

ნასესხებ ტერმინთა გაანალიზების საფუძველზე ირკვევა, რომ უშუალოდ არაბულიდან შემოსულ სიტყვათა რაოდენობა მცირეა, ჭარბობს სპარსულისა და თურქულის გზით შემოსული სიტყვების რიცხვი. მოცემულ ნაშრომში განხილული იქნება სოფლის მეტყველებაში დალექილი რამდენიმე ნასესხები ლექსიკური ერთეული. საანალიზო ფორმები, ძირითადად, დამოწმებულია აღწერითი მეთოდის მიხედვით მოპოვებული ემპირიული მასალიდან, რომლებიც შედარებულია როგორც დიალექტურ ლექსიკონთან, ასევე სულხან-საბას „სიტყვის კონასთან“ და უცხოურ ლექსიკონებთან. წარმოდგენილია მცდელობა ამ სიტყვათა წარმომავლობის დადგენისა (**აშიკი,ლაყაფი, სუფრა,მაფი, მაშრაპა, ღაზლა, ყუმაში...**)

## **ნ ა ნ ა ს ა ა კ ა მ ე**

### **ადამიანის ხასიათ-თვისებების აღმნიშვნელი ლექსიკა (ქვემოქართლური კილოკავის მიხედვით)**

ცნობილია, რომ დიალექტური ლექსიკის ლოკალიზაცია სიტყვათა გეოგრაფიულ პროექციას უკავშირდება. ისტორიული ლექსიკოგრაფიისა და ლექსიკოგრაფიული მუშაობის უმთავრეს ასპექტად ამჟამად სიტყვის ისტორიაში და მის ლექსიკურ დახასიათებაში

რეგიონული მომენტის ასახვა-გათვალისწინება მიჩნეული (ბოგა-ტოვი, დერიაგინი, რომანოვი 1998, 32).

ქვემოქართლური ლექსიკის საგანძური მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რაც განსაკუთრებით სოციალური ურთიერთობის ამსახველი მოვლენებისა თუ ადამიანის ხასიათ-თვისებების ასახვის დროს იჩენს თავს. რამდენადაც ენის ლექსიკა მოწესრიგებულ სიმრავლეთა ერთობლიობად აღიქმება, ბუნებრივია, მისთვის ფასეულია როგორც ძველი ქართული ენის კუთხური ფორმები, ასევე ახალი, განსხვავებული ლექსიკური ერთეულები, რაც კუთხური ლექსიკის საუნჯეს შეადგენს. სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით, ფასეულია კუთხური ლექსიკისა და საერთო ენობრივი ლექსიკის ქვემოქართლური ლექსიკის ის ელემენტები, რაც ასახულია ამ კუთხის ხალხის სამეურნეო საქმიანობის, ყოფითი მოვლენების, სოციალური ურთიერთობისა თუ ადამიანის ხასიათი თვისებების ამსახველ დიალექტურ სალექსიკონო მასალაში.

გამოკვლევის მოცემულ ნაწილში წარმოდგენილია ადამიანის ხასიათი თვისებების აღმნიშვნელი ქვემოქართლურის ლექსიკა, რომელიც დღემდე შესწავლილი არ არის. მისი დროული გამოვლენა კი, უდავოა, ხელს შეუწყობს ქართული ენის კილო-თქმების ლექსიკის არეალურ შესწავლას.

ადამიანის ხასიათ-თვისებების აღმნიშვნელ ქვემოქართლურ ლექსიკაში შემონახულია მრავალი სიტყვა, რომელიც დღესაც დამახასიათებელია ადგილობრივი მეტყველებისათვის და სპეციალურ ლექსიკონებშიც არის შეტანილი: **აბუეტი, ხანდიხუსტურა, ბაჯაჯღანა, გაწლიკული, გეჯა, გონჯი, დავლათიანი, დაკმეხილი, დაბუსხული, დაკუნკვილი, კოჭუკულმართი, კუდიხრილა, ლაშლაშა, მოყვარე, მოცადობა, მუზმუზელა, მოკაული, მუსლადი, მოჭარხხეზული, მოჯაბრე-მეტოქე, მყეფარი, ნაგალა, ნოდუჭა, ნიაზობა, ოჩანი, პრუნწია, საროსტანი, ტალკვესი, ტანტრე, ტახტაკი, ურჯუკი, უსაჯი, უქნელი, უღურსი, ქოსმანი, დანდალა, ჩათუქესანი, ჩეფიჩი, ცუხცუხი, წლიკვი, ჯადალა, ჯომუში, ჯელგა, ჯეელი** და ა. შ.

**ლაშლაში** ბოლნისის რაიონში დავადასტურეთ ცუდი ენის პატრონის, გესლიანის, ენის მიმტან-მომტანი ქალის მნიშვნელობით, ხოლო **ლაში** დიდ ბაგეებს აღნიშნავს.

ნ. ჩუბინაშვილის მიხედვით „ლაშლაში“ ტარტარი, მრავალი და ცუდი ლაპარაკი (ნ. ჩუბინაშ., 1961, 258); ქეგლ-ში განმარტებულია *ლაქლაქის, ყაყანის* მნიშვნელობით (ქეგლ 1990, 597).

სულხან-საბას ლექსიკონში „ლაში“ აღნიშნავს პირის ქვედა ბაგეს (საბა 1991, 408)..

ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონის მიხედვით ქართ. ლაშ-ლაშ-ი „ბაგე; ტუჩი“ : ზან. (მეგრ.) ლეჩქ-ი // ლეჩქე-ი „ბაგე; ტუჩი“, ლაზ. ლეშქ-, ლეშქ-ი „ბაგე; ტუჩი“ (ზ. სარჯველაძე, ჰ. ფენიჩი, 2000, 302).

ქართულ ლაშ- ძირს შეესატყვისება მეგრული ლეჩქე- ლაზური ლეშქ. მეგრული და ლაზური ფორმებისათვის ამოსავალია საერთოზანური ლოშქ-, რომელმაც უმლაუტის გზით მოგვცა ლაზური ლეშქ- და მეგრული ლეჩქ- // ლეჩქე- (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965, 157).

ქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქისათვის ლაშ- არქეტიპი აღადგინა გ. კლიმოვმა, თ. გამყრელიძემ და გ. მაჭავარიანმა (klimov 1998, 107; თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი 1965, 167).

კუთხური ლექსიკის ამგვარად შესწავლის შედეგად საშუალება გვეძლევა გამოვიკვლიოთ დიალექტურ სხვაობათა ლექსიკურ-სემანტიკური სტრუქტურა და განვსაზღვროთ სიტყვათა პოლისემანტიკურობა, რაც სხვადასხვა ექსტრალინგვისტური თუ ლინგვისტური ფაქტორის ზემოქმედების შედეგად სემანტიკური მოცემულობის ცვალებადობას ემყარება.

## **ნ ა რ გ ი ზ ა ს უ რ მ ა ვ ა**

### **პარალინგვიზმები, ელიფსისი და ტრანსპოზიციის გზით მიღებული ნაწილაკები (და, რა)**

პარალინგვიზმები და სიტუაციურობა სამეტყველო კომუნიკაციისას პირობას ქმნის ვერბალურ საშუალებათა ეკონომისათვის, რაც ელიფსისში პოვებს გამოხატულებას. ელიფსისის ნიადაგზე შესიტყვების კვეცა-ცვეთა ჩვეულებრივი მოვლენაა კონკრეტული დიალოგური სამეტყველო აქტებისთვის.

ელიფსისი შესაძლებელია გახდეს გამომწვევი დამხმარე სიტყვის ფუნქციისა და გრამატიკული კატეგორიის ტრანსპოზიციური ცვლისაც. ნაშრომში აღწერილია ეს მოვლენა **რა** კითხვითი ნაცვალ-



სახელისა და და კავშირისა ნაწილაკებად ტრანსპოზიციის მაგალითზე. ნაწილაკის განზომილებაში მათი ფუნქციონირება კონკრეტული საკომუნიკაციო აქტებიდან აბსტრაჰირდება და იქცევა სასაუბრო ენისა და რეგიონალური მეტყველების (და ნაწილაკის შემთხვევაში აჭარული, თურქეთის ქართველთა მეტყველება) ლექსიკის ნაწილად.

ტრანსპოზიციის პროცესს და მისი შედეგის აბსტრაჰირებას განაპირობებს ის, რომ შესიტყვება, რომლის ცვეთის შედეგადაც დამხმარე სიტყვა ნაწილაკად იქცევა, წარმოადგენს ექსპრესიულ სტერეოტიპულ გამონათქვამს. მსგავს სტერეოტიპულ გამონათქვამებში წამყვანია ექსპრესიულ-შემფასებლური კომპონენტი, რომელიც, ძირითადად, ფონაციური და კინეტიკური პარალინგვიზმების (ხმის მელოდიკა და ჟესტ-მიმიკა) მეშვეობით გადმოიცემა.

**რა** ნაწილაკის შემთხვევაში ივარაუდება სასაუბრო ენაში გავრცელებული შემდეგი ტიპის ემოციური სტერეოტიპული შესიტყვებების შეკვეცა: რა არის! რა იქნება/რა მოხდება! რა მენაღვლება! რა თქმა უნდა! მე რა ხეირი მექნება! მერე რა მოხდა!

**და** ნაწილაკის შემთხვევაში (რომელიც გამოკვეთილი ექსპრესიულ-მტკიცებითი სემანტიკის მატარებელია) დასაშვებია ვივარაუდოთ **და**-ს მიღება **იქნება/იქნა** საყრდენი სიტყვის შემცველი შესიტყვებისაგან ცვეთის გზით: **და იქნება / და იქნა** → **და**. გამოსარიცხი არ არის სავარაუდო შესიტყვებათა სხვა ვარიანტებიც, მაგალითად: **და ისე იყო** → **და**; **და ისეა** → **და**.

მტკიცებითი სემანტიკის გამომხატველი **და** ნაწილაკი დამახასიათებელია აჭარული და ნიგალურ-კლარჯული მეტყველებისათვის. იმერხეულსა და ჯავახურში გვხვდება **და** ნაწილაკი რამდენადმე განსხვავებული სემანტიკით და შედარებით ნეიტრალური ემოციით, რაც გამოიხატება სათანადო ინტონაციური ფონით და ჟესტ-მიმიკით. ხანდაზმულ სოფლელ ქალთა მეტყველებაში მისი ინტენსიური გამოყენება გვავარაუდებინებს, რომ აღნიშნული ნაწილაკი მიღებული უნდა იყოს ტრანსპოზიციის გზით ისეთი სტერეოტიპული გამოთქმების ელიფსისის შედეგად, როგორცაა: **და რაი ვქნა / და რა'ნა ქნა; და მე რა ვიცი**.

შესიტყვების ელიფსისის გზით მიღებულმა ნაწილაკმა შესამძლებელია, სხვადასხვა სემანტიკური ნიუანსები გამოხატოს (შეკვეცილი სტერეოტიპული შესიტყვების შინაარსისაგან გამომდინარე). მაგალითად, **რა** ნაწილაკი გამოხატავს: თხოვნას, განურჩევლობას,

მტკიცებას, ნიშნისმოგებას... რაც საუბრის ადრესატის მიერ შეუცდომლად აღიქმება სამეტყველო სიტუაციისა და გამოყენებული პარალინგვისტური საშუალებების მიხედვით.

## **მ ა ნ ა ნ ა ტ ა ბ ი ძ ე**

### **დიალექტური ლექსიკა და ნორმა**

ნორმა (და სტანდარტი) საზოგადოებრივ ცხოვრებაში ენის საყოველთაო და წარმატებული ფუნქციონირების პირობაა; ენობრივი ნორმა გულისხმობს საყოველთაოდ გამოსაყენებლად სანქცირებული ფორმის დაწესებას ენის ბუნების, სამწერლობო ტრადიციის, ისტორიული კონტექსტისა და კულტურული ორიენტაციის გათვალისწინებით; ნორმისა და სტანდარტის ამოქმედება კი ავტომატურად არასანქცირებულად გადააქცევს ყველა იმ ფორმას, რომელიც ამ წესრიგის მიღმა რჩება. და რამდენადაც ნორმის გარეთ დაჩენილი ფორმები ელიტურ ინტელექტუალურ სივრცეში არ დაიშვება, თანდათანობით მათ დაკარგვა ემუქრებათ.

ოდესღაც ნორმამ ხელი შეუწყო სამწიგნობრო ენის ფორმირებასა და მისი მეშვეობით ერთიანი ქართული ენობრივი სამყაროს სტაბილურობას. დღეს კი, გლობალიზაციის ვითარებაში, აღმოჩნდა, რომ ნორმა ნასესხობათა მიმართ ძირითადად შემწყნარებლადაა განწყობილი (ყოველ შემთხვევაში მათ ბრძოლას ვერ უბედავს), სამაგიეროდ მკაცრი და შეუვალია დიალექტური ლექსიკის მიმართ, რამაც დიალექტი ფორმოზრივად უფრო დაბალ საფეხურზე დააყენა, ვიდრე თუნდაც ჟარგონი. ამას ადასტურებს დიალექტიზმებისადმი თანამედროვე მედიისა და ელიტური წრეების დამოკიდებულება.

ცხადია, მორფოლოგიური და ფონეტიკური ვარიანტულობა აუცილებლად ითხოვს სალიტერატურო ენის საზღვრების შემოფარგვლას, მაგრამ ლექსიკური და სტილისტური შეზღუდვები, მით უფრო ნასესხობათა ესოდენ მოძალეების ჟამს, ვფიქრობთ, შეიძლება საზიანო იყოს ენისთვის. ერთი და იმავე ძირის საფუძველზე გაწყობილი ფონეტიკურად და მორფოლოგიურად განსხვავებული ფორმებიდან ერთ-ერთის შერჩევა შესაძლებელი და გამართლებულია, მაგ-

რამ ლექსიკური ეკვივალენტების (ზოგჯერ სინონიმებისაც) შეფასება ნორმოზრვად სწორ და არასწორ სიტყვებად, ძალიან რთულია; საყოველთაოდ გავრცელებული განმარტებით, საკუთრივ დიალექტური ლექსიკა ისაა: ა) რომლის ძირებიც ერთ ვიწრო გეოგრაფიულ არეალში გამოიყენება და სხვაგან – არსად, ბ) რომელსაც სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს, გ) გეოგრაფიულად შემოსაზღვრული გამოყენებისაა ფრაზეოლოგიზმები, იდიომები და შესიტყვებები; განმარტება საკმაოდ ბუნდოვანი და არასრულყოფილია, რადგან ჩამოთვლილი ტიპის ლექსიკა-ფრაზეოლოგიის ნაწილი შესაძლებელია ჯერჯერობით არ მოხვედრილა სამეცნიერო მასალებში, მაგრამ სალიტერატურო ენის გამდიდრების პოტენციურ საშუალებას წარმოადგენს.

ამდენად სხვადასხვა კუთხის ლექსიკა-ფრაზეოლოგიის ოდენ დიალექტურ ლექსიკონებში განთავსება და საერთო ენის მარაგიდან გამოცალკეება გამართლებული არ არის.

## **თეა ტეტელოშვილი**

### **დიალექტიზმები ქართულ ხალხურ სატრფიალო პოეზიაში**

ქართულ ხალხურ შემოქმედებაში, რომელიც, თავისთავად, საინტერესოა, როგორც ჩვენი ერის ნაფიქრისა და ნაგრძნობის ამონათქვამი, საპატიო ადგილს იკავებს სატრფიალო ჟანრის პოეზია. იგი, როგორც ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი სახე, საკმაოდ ბევრი მკვლევრის შესწავლის ობიექტი ყოფილა. ამ ეტაპისთვის ჩვენი მიზანია იმ დიალექტურ ლექსიკასა თუ გრამატიკულ მოვლენებზე ყურადღების გამახვილება, რომლებიც მასში, როგორც სასაუბრო და კუთხური მეტყველების ორგანულ ნიმუშში, ბუნებრივია, აისახება. სწორედ დიალექტიზმები ადებს ენობრივი საუნჯის კარს ხალხურ პოეზიაში და მის უბრალოებას ძლიერი ემოციური ელფერით აფერადებს. რომ არა დიალექტური ლექსიკა, ქვემოთ მოყვანილი სტრიქონები არ იქნებოდა ასეთი შთამბეჭდავი:

მომხედა, თოლნი შემყარნა, **ნაწინწლებ** წამაყრევინა!

დანთებულ ცეცხლსა გვანილა, **დაჭეხნებასა** ცისასა...  
საინტერესოა ქალის, როგორც სიყვარულის ობიექტის, გადმოცემა სხვადასხვა ლექსეშითაც.

დახე წყეულსა **დიაგსა**, რა დღემდე მომალწევიანა!

**ქალაუ**, მითხარ: შენი ვარ...

საოცარ ელფერს ანიჭებს შემდეგ სტრიქონს **ღმერთის** (ღვთის) დიალექტური ვარიანტი **ხთის** სიტყვაფორმაც: უკურთხებდიან მარჯვენას **ხთის** შვილნი მალლის ცისანი...

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება მასალის შესწავლის შედეგად გამოვლენილი როგორც დიალექტური ლექსიკა, ისე ამა თუ იმ კუთხისთვის დამახასიათებელი გრამატიკული მოვლენებიც. აღსანიშნავია, რომ ამგვარი მოვლენები დადასტურდა როგორც ფონეტიკის, ისე მორფოლოგიისა და სინტაქსის დონეზე. ჩვენ მათგან ყველაზე ტიპობრივებს განვიხილავთ. ქართულ ხალხურ სატრფიალო ლირიკაში გამოკვეთილი ტენდენცია ზოგადი სახისა უნდა იყოს და, სავარაუდოდ, გამოვლინდება სხვა თემაზე შექმნილი ზეპირსიტყვიერი პოეზიის შესწავლის შედეგადაც.

## **მამია ფაღავა**

### **სუფიქსური წარმოების ერთი შემთხვევა მარადიდის ტოპონიმიაში**

მარადიდი ისტორიული კლარჯეთის სოფელია ჭოროხის ხეობაში. იგი ორადაა გაყოფილი: ზემო მარადიდი (თ. **მურათლი**) თურქეთის შემადგენლობაშია (ართვინის რეგიონი, ილი, ბორჩხის ილჩე, რაიონი), ქვემო მარადიდი – საქართველოს (ხელვაჩაურის რაიონი აჭარის არ). აღვნიშნავთ, რომ დიდხანს მარადიდი აჭარულ სოფლად მიაჩნდათ, რამდენადაც იგი აჭარის არ ადმინისტრაციულ საზღვრებშია, მარადიდული მეტყველება კი – აჭარულად. ჩვენი დაკვირვებით, მარადიდი (მასთან ერთად მეზობელი კირნათი და მირვეთიც) კლარჯეთის, ხოლო მარადიდელთა მეტყველება – კლარჯული კილოს ნაწილია. ვიტყვი, რომ მარადიდმა, უფრო ქვემო მარადიდმა, კარგად დაიცვა კლარჯული დიალექტის თავისებურებანი.

მოხსენებაში ყურადღებას გავამახვილებთ სუფიქსური წარმოების ერთ თავისებურებაზე მარადიდის ტოპონიმიში, მხედველობაში გვაქვს **-ეთ** სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები. საანალიზო მასალა ჩვენს მიერაა შეკრებილი სხვადასხვა ექსპედიციების დროს. ბარემ ვიტყვით, რომ გეოგრაფიულ სახელთა წარმოების თვალსაზრისით ზემო და ქვემო მარადიდი არ განსხვავდება, სხვაგვარად, ზემო მარადიდშიც დაცულია ტოპონიმა წარმოების წესი, რომელიც დამახასიათებელი იყო ზოგადად მარადიდისათვის და მთელი კლარჯეთისათვის.

**-ეთ** სუფიქსი გეოგრაფიულ სახელებში რაღაცის თუ ვიღაცის სიმრავლეზე, კრებითობაზე მიუთითებს (ნ. მარი, არნ. ჩიქობავა, კ. კეკელიძე, კ. დონდუა, თ. ზურაბიშვილი...). გამოთქმულია მოსაზრება, ვფიქრობთ, სარწმუნოც, რომ **-ეთ** (და ყველა **თ**'ს შემცველი) სუფიქსისეული **თ** იგივეა, რაც სახელებსა და ზმნებში რიცხვის მწარმოებელი **თ(ა)**.

მარადიდის მიკრო და მაკრო ტოპონიმიში ყველაზე ხშირია **-ეთ** სუფიქსიანი წარმოება და ყველა შემთხვევაში იგი დასახელებული ფუნქციითაა გამოყენებული: **ჯდელიფ-ეთ-ი**, **პაპნაფ-ეთ-ი**, **ტოტომ-ეთ-ი**, **გოგი-ეთ-ი**, **ჯავნარ-ეთ-ი** || **ჯამნარ-ეთ-ი** || **ჯამნარაფ-ეთ-ი**, **ხუდუხ-ეთ-ი** (რამდენიმე ათეული საგეოგრაფიო სახელი).

**შენიშნავთ:** **-ეთ** სუფიქსიანი წარმოება ფართოდაა გავრცელებული ჭოროხის ყველა ქვეყანაში (აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო) და ლაზეთში.

საკვლევი სოფლის ტოპონიმიში **-ეთ** სუფიქსის ერთი გამოკვეთილი ფუნქციაა აღნიშნოს სოფელში გარკვეული სახლეულის (შტო-გვარის) საცხოვრისი: **გოგი-ეთ-ი** (გოგის ოჯახის საცხოვრებელი), **პაპნაფ-ეთ-ი** (პაპნას სახლეულის საცხოვრისი), **მაზლაფ-ეთ-ი** <- **წაზლაფ-ეთ-ი** (მაზლას <- წაზლას სახლეულის საცხოვრისი), **კვირიკ-ეთ-ი** (კვირიკას ოჯახის საცხოვრისი)... მასთანაა დაკავშირებული სოფლის დასახლების სტრუქტურა.

სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, ვფიქრობთ, არამართებული, რომ **ეთ** სუფიქსი აწარმოებს გვარს, გამომდინარე აქედან, **ფანჩეთი**, **მაზლაფეთი**, **კვირიკეთი**, **სარაფეთი**, **თოდრიეთი**... მიჩნეულია გვარებად. ჩვენი აზრით, დასახელებული სახელები ტოპონიმებია და არა გვარები.

## ელენე ფილაშვილი, ნუნუ გელდიაშვილი

### ზოგი ლექსიკური ერთეულის „სამხილავის“ შესახებ

ქართული სიტყვის არაერთი ახალი, დამოუკიდებელი ერთეული შექმნა ლევან გოთუამ, განუზომელი თავიანთი ინდივიდუალობით, მასშტაბურობით, მსოფლხედვით... ამ მხრივ მეტად საინტერესოა ისტორიული რომანი „მითრიდატე“, რომელიც გამოირჩევა მეტად ღრმა და დახვეწილი ქართულით. დიდოსტატურად შექმნილ მწერლისეულ ახალწარმონაქმნებს მხატვრული გამომსახველობითი ძალა, დიდი ექსპრესიულობა და ემოციურობა ახასიათებს.

მწერალს საყრდენ ლექსემებად გამოყენებული აქვს **„სამხილავი“, „სამყოფელი“, „ერი“: ტომთსამხილავი; ტომთსამყოფელი, გვართსამხილავი, ბჟობის ერი, დარბაზის ერი, თემის ერი, ტომის ერი, ტომთა ერი** („გვართსამხილავო, ძველ თაობათა სიბრძნისკარო, შენ აერთებ გვარს, თემს, ტომს, ქვეყანას!“...).

მწერლისეული წარმონაქმნები კონტექსტში მათი სემანტიკის გაგების შესაძლებლობას იძლევა. ნათელია, რომ დასახელებული ლექსემები ძირითადად **„საფიხვნოს“, „უხუცესთა საბჭოს“** აღმნიშვნელია.

ლევან გოთუა თავისი ლექსიკით მკითხველს განსაკუთრებულ სიახლოვესა და სიყვარულს შეაგრძნობინებს ერთან, მიწასთან, სამშობლოსთან, უფალთან... მისი შეურყეველი რწმენა შესისლხორცებულია გენთან, ჯიშთან, გვართან, ტომთან თუ გვართსამხილავთან...

## ელზა ფუტყარაძე

### ლექსიკური ერთეულები დევსქელის ხეობის მეტყველებიდან

დევსქელის მეტყველება ქართული სამხრული მეტყველების ერთ-ერთი თქმაა. აღნიშნული ხეობის მეტყველება სახასიათო და მრავალმხრივ საინტერესოა მორფოლოგიურ-სინტაქსური თუ ლექსიკოლოგიური კუთხით. ნაშრომში ლექსიკური ერთეულები გაანა-

ლიზებულია ჩვენ მიერ 2017 წლის საექსპედიციო მუშაობის დროს ჩაწერილი მასალების საფუძველზე.

დევსქელის ხეობის მეტყველებაში ჯერ კიდევ შემორჩენილია არქაული ლექსიკური ერთეულები: **ტაროსი, სამა, გარგანი...**

განსაკუთრებით საინტერესო საკუთრივ ხეობისათვის დამახასიათებელი სიტყვა-თქმებია: **ხელიამყრელი (დამხმარე), მემორდე (მემთვერი), მინდო (მინაზარები), წიკნა (ზიდვა), მოწიწკინება (მოტრიალება), მოკუნძვა (მოხრა), მეიყლარჭა (გარდაიცვალა), მიწყნარება (დალაგება)...**

ხეობაში გვხვდება ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც სალიტერატურო ენისაგან განსხვავებული შინაარსისაა და საერთო მნიშვნელობის მატარებელია სამხრული მეტყველებისათვის: **ჯდომა** სხვადასხვა მწკრივის ფორმით ცხოვრების, დასახლების მნიშვნელობითაა გავრცელებული, ხოლო **სიცოცხლე, ცოცხლობა** კი, ცხოვრების მნიშვნელობით იხმარება, **ადგა** აღნიშნავს ჩვეულების მოშლას, **ფარის დაწვენა** ბანკში ფულის შენახვის მნიშვნელობით გამოიყენება, **დახარჯვა** გარდაცვალების ფარდი სახელია.....

ამგვარად, დევსქელის ხეობის მეტყველება ენობრივი თვალსაზრისით საინტერესოა. მისი საფუძვლიანი შესწავლა ქართული სალიტერატურო ენის, დიალექტოლოგიისა და ლექსიკოლოგიის სფეროსთან დაკავშირებით მრავალ საკითხს წარმოაჩენს და დაგვეხმარება ისტორიული დიალექტოლოგიის ერთ-ერთი საკვანძო საკითხის, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მეტყველების პროფილის განსაზღვრაში.

## **ტ ა რ ი ე ლ ფ უ ტ კ ა რ ა მ ე**

### **ზანურ-სვანური ლექსიკის ადგილი ქართული ენის ახალ განმარტებით ლექსიკონში**

ქართველთა ენობრივი სამყარო მოიცავს საერთოქართველურ ენობრივ სისტემაზე დაფუძნებულ ქართველთა ერთ სამწიგნობრო ენასა და ათეულობით დიალექტურ მეტყველებას (ზანური და სვანური ქვესისტემების ჩათვლით); შესაბამისად, შემთხვევითი არ იყო,

რომ სულხან-საბასა თუ დ. ჩუბინაშვილს **ქართული სამწიგნობრო ენის საბაზო ლექსიკონში** შეჰქონდათ როგორც დასავლურქართველური, ასევე აღმოსავლურ ქართველური ისეთი დიალექტური ლექსიკაც, რომელთა გამოყენებაც, მათი აზრით, შესაძლებელი იყო სამწიგნობრო ენაში. ეს ტრადიცია გარკვეულწილად შენარჩუნდა არნ. ჩიქობავასა და სხვა ავტორთა დიდი ძალისხმევით შექმნილ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეულში, მაგრამ, სამწუხაროდ, მეფის რუსეთის პერიოდში შექმნილი და საბჭოთა პერიოდში გაბატონებული იდეოლოგიების გამო, შეუძლებელი გახდა ქართველთა სამწიგნობრო ენის საბაზო ლექსიკონის გამდიდრება ზოგი ქართველური ქვესისტემის ლექსიკური მარაგით; მაგ., ხუთი სვანური დიალექტის ლექსიკური ფონდიდან ქველ-ში არც ერთი სიტყვა არ არის შეტანილი (კუბდარიც კი). უფრო შორს წავიდა საქმე პოსტსაბჭოთა პერიოდში: სვანურ თუ მეგრულ-ჭანურ დიალექტურ ლექსიკონებს ზოგმა ლექსიკოლოგმა ორენოვანი (ქართულ-მეგრული, ქართულ-სვანური...) თარგმნითი ლექსიკონიც კი უწოდა.

ვფიქრობთ, ქართველთა სამწიგნობრო ენის საბაზო ახალ განმარტებით ლექსიკონში უნდა შევიდეს როგორც არქაული თუ თანამედროვე წერილობითი ლიტერატურული ძეგლების მონაცემები, ასევე, ყველა ქართველური დიალექტის ის ლექსიკა, რომელიც გაამდიდრებს **ქართველთა სამწიგნობრო ენის ლექსიკურ ბაზას**; პირველ რიგში, აუცილებელია, ქართული სამწიგნობრო ენისაკენ გზა გაეხსნას ზანურ-სვანურ სიტყვა-ფორმებს. ასეთ შემთხვევაში გაგრძელება და გაფართოვდება ის კალაპოტი, რომელსაც ქმნიდნენ ქართველი მწიგნობრები უძველესი პერიოდიდან მოყოლებული ვიდრე კონსტანტინე გამსახურდიამდე (იხ. კონსტანტინე გამსახურდიას ენობრივი კონცეფცია).

თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შეიძლება შეიქმნას დიდი მოცულობის „ქართული ენის ახალი განმარტებითი ლექსიკონის“ განახლებადი ელექტრონული ვერსია, რომელშიც, სამწიგნობრო ენის ფაქტების გარდა, შევა გამოქვეყნებული დიალექტური (მეგრული, ლაზური, სვანური, ხევსურული, თუშური, ფშავური, იმერული, ინგილოური, კახური, მესხური, აჭარული, ტაოური, რაჭული, ჯავახური...) ლექსიკონების რჩეული მასალა და სოციალურ ქსელებში გამოვლენილი ახალი სიტყვა-ფორმებიც.

დიალექტური და სოციალური ქსელების ზმნური თუ სახელური ლექსიკის შერჩევის კრიტერიუმები ცალკე მსჯელობის საგან-



ნი უნდა გახდეს. კარგადაა ასევე გასააზრებელი ზანურ-სვანური ზმნური ძირების/ფუძეების ქართული სამწიგნობრო ენის საბაზო ლექსიკონში შეტანის პრინციპები.

## ორ ა ქათამამე

### უჩამბის ხეობის ზოგიერთი ლექსიკური თავისებურების შესახებ (ორი სოფლის მაგალითზე)

უჩამბის ხეობის ლექსიკა მრავალმხრივ საინტერესოა. გამოიყოფა არქაული ლექსიკური ერთეულები, საკუთრივ დიალექტიზმები, ზანიზმები, უცხო ენის გავლენის გზით დამკვიდრებული ლექსიკური ერთეულები. ლექსიკურ ერთეულთა ანალიზისას ვეყრდნობით ჩვენ მიერ ხეობის ორ სოფელში – მოფრინეთსა და სამოლეთში ჩაწერილ ტექსტებს. ნაშრომში მხოლოდ არქაულ ფორმებსა და ლექსიკურ დიალექტიზმებს წარმოვადგენთ.

გამოვლინდა ისეთი არქაული ფორმები, რომლებიც იმავე მნიშვნელობით გვაქვს ილია აბულაძის, სულხან-საბას, ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებში: **ბეჩი, ლემტერი, დამრეცი, ფუფული, კიმური, ხოშორი, ოროკი, ზაკუელი** და სხვ.

უხვად შეგვხვდა საკუთრივ ლექსიკური დიალექტიზმები, რომლებიც განმარტებულია ზემოთ დასახელებულ ლექსიკონში და იმავე მნიშვნელობისაა, რაც ჩვენს ტექსტებში: **ალაგი, ზადანა, წვიტი, პაწაი, გაბღეზება, დაპაიჯა, ოდა, ნაწეკვაი, გაზარცული** და სხვ.

განსაკუთრებით სახასიათო ის ლექსიკური დიალექტიზმებია, რომელიც ვერ აისახა შ. ნიჟარაძის მიერ გამოცემულ წიგნში – „ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა“. მაგ.: **მიეტყეპებია, ვბღენკე, გაწვადე, ბბღილი, წუუჩიტებენ, წამუუხიზნეს, ზეზეგრაი, მესხრიკება, ფიფინებდი, დეიფულრა, დაჭახტვა, გამოზუზუნდება, ამოზუღვნა, საქსაქებს, ამოზავებულა, ამუსორგავს...**

მიგვაჩნია, რომ ხეობათა მიხედვით მეტყველების თავისებურებების წარმოჩენა-შესწავლა უფრო დეტალურ, კონკრეტულ, სრულყოფილ წარმოდგენას მოგვცემს აჭარული დიალექტის შესახებ.

## ნონა ქეცბაია

### ხელობის აღმნიშვნელი ტერმინები მეგრულში (სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი)

მშენებლობა ძველთაგანვე ადამიანის საქმიანობის უმნიშვნელოვანესი დარგი ყოფილა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ამასთან არის დაკავშირებული ის მდიდარი სამშენებლო ლექსიკაც, რომელიც ქართველ ხალხს, ქვეყნის ყველა კუთხეს შეუქმნია.

შენობის აგება დაკავშირებულია მშენებელთა ხელობასთან. მშენებლობის პროცესის სირთულე და მრავალფეროვნება სწორედ მშენებელთა ხელობის აღმნიშვნელ ტერმინებში აისახება. მათი ჩამოთვლა წარმოდგენას გვიქმნის, თუ რომელ მხარეებს მოიცავს ბინათმშენებლობა. მეგრულში ხელობის აღმნიშვნელი ტერმინები საკმაოდ არის წარმოდგენილი. მშენებელი ხელოსნის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინებია:

**ხურო** // **ხურუ** „ხურო“

ხურო არის ხის სახლის ხელოსანი, ოსტატი.

**მოხელე** „ხელოსანი“ აქ გამოიყოფა **მო - ე** ხელობის აღმნიშვნელი პრეფიქს-სუფიქსი და **-ხელ-** ფუძე. ეს სიტყვა ქართულიდან არის ნასესხები და სემანტიკის შეცვლითაა დამკვიდრებული მეგრულში.

მოხელეს სინონიმად მეგრულში გვხვდება **ხელოსანიც**.

**ჯაშმოხელე** (ზედმიწ. „ხისხელოსანი“) „ხურო“ ფიცრებისაგან სახლის ამგებს ჯაშ მოხელეს უწოდებენ (ე. ი. ეს ტერმინი შეიძლება მივიჩნიოთ **ხურო**-ს სინონიმად).

**ჯაშმოხელე** უფრო ფართო გაგებას შეიცავს – ის აღნიშნავს ხელოსანს, რომელიც არამარტო აგებს სახლს, არამედ ხის განამზადებს თვით სახლის ნაწილებსაც.

**უსტა** „ოსტატი“

**უსტა** ამავე მნიშვნელობით გვხვდება აჭარულ დიალექტში, გურულში კი **უსტია** ფორმას წარმოდგენილი (ჩხენკელი 1988 : 62).

ოსტატის აღმნიშვნელად მეგრულ დიალექტში სხვა ლექსიკური ერთეულებიც არის წარმოდგენილი – **ოსტატი** || **ორსანტი** || **ორსატი**.

მეგრულში **ორსატი** აღნიშნავს „ოსტატს“ და სპარსული ენიდან მომდინარეობს (ანდრონიკაშვილი 1996 : 210). ქართულში და-

მკვიდრდა **ოსტატი** ფორმით. მეგრულში ქართულიდან სესხებისას ბერათვომპლექსი გამარტივდა (სტ→ს) და **რ** თანხმოვანიც ფონეტიკურად ჩაერთო.

როგორც ცნობილია, წინაენისმიერი თანხმოვნებისა და სიბილანტთა მიმდევრობა მეგრულისათვის არაბუნებრივია. ამიტომაც **სტ** თანხმოვანთვომპლექსი **ს** თანხმოვნითაა წარმოდგენილი.

ოსტატს XVII ს-დან აქვს ხელოსნის მნიშვნელობა ქართულში (ჩხენკელი 1988 : 62), სავარაუდოა, რომ ეს ტერმინი მეგრულშიც ამ დროიდან დამკვიდრდა.

**ნოდი** „ნადი, დამხმარე მუშა“ (შდრ. ლაზ. **ნოდერი** „მიხმარება“).

**ხემკოჩი** „შავიმუშა“

**ხემკოჩის** უწოდებენ დამხმარე მუშას, რომელიც ნაირგვარ სამუშაოს ასრულებს: ახარისხებს ქვებს, აწვდის მასალას...

**კალატოზი** „კალატოზი“

ხელოსანი, რომელიც აშენებს ქვის, აგურის და მისთ.: შენობას (ქეგლ).

**კალატოზი** ძველ ქართულშიც დასტურდება და ნიშნავს კედელთ მგებელს (საბა 1991: 130).

მეგრულ მეტყველებაში **კალატოზი** ფორმაც გვხვდება

**დურგალი** „დურგალი ხის ხელოსანი, ხურო. მეგრულში ქართულის იდენტური ფორმაა წარმომავლობის მიხედვით ეს სიტყვა სპარსულია, რომელიც ქართული სალიტერატურო ენის გზით დამკვიდრდა მეგრულში (ანდრონიკაშვილი 1996 : 205). ეს ლექსემა მცირეოდენ ფონეტიკურ ცვლილებას განიცდის მეგრულის მარტივლურ თქმაში, სადაც გვხვდება **დურგაი** ფორმა, რომელშიც  $ლ \rightarrow \text{ღ} \rightarrow \emptyset$  ფონეტიკური პროცესია მომხდარი.

**ზენკალი** „ზენკალი“ (ჭარაია 1997 : 67; ქაჯაია 2002 : 14).

**ზენკალი** არის ხელოსანი, რომელიც მუშაობს ლითონის სხვადასხვა ნაკეთობის დამზადებაზე, აწყობასა და შეკეთებაზე (ქეგლ).

ეს ლექსიკური ერთეული **ზეკალი** || **ზეკარი** ფორმებითაა წარმოდგენილი მეგრულ დიალექტში (ქაჯაია 2002: 14).

ცალკე ჯგუფად შეიძლება გამოიყოს მშენებელ-ხელოსანთა აღმნიშვნელი ტერმინები ვიწრო სპეციალობების მიხედვით::

**მართუალი** „ხელოსანი, რომელიც სახურავს სხვადასხვა მასალით ბურავს“, რომელიც საკუთრივ მეგრული სიტყვაა. მეგრ. **ორთვალი** „სახურავი“. აქ გამოიყოფა **ო - ალ** აფიქსები და **-რთვ-** ძი-

რი, რომელიც გვხვდება ზმნაში **რთუ-ალ-ა** და მისგან ნაწარმოებია მიმღობა **მარ-რთუ-ალ-ი**. ეს სიტყვა განიცდის გარკვეულ ფონეტიკურ ცვლილებას და სხვა ფორმითაც არის წარმოდგენილი: **მართუარი** და **მართუვალი**

სავარაუდოა, რომ თავდაპირველად იყო **მართუვარი**, უ-ს გავლენით დაიკარგა **ვ** და მივიღეთ **მართუარი**, შემდგომ მოხდა დისიმილაცია და რ-ს ადგილი **ლ** თანხმოვანმა დაიკავა (რ → ლ).

მართუალს **ორთვალში მოხელესაც** („სახურავის ოსტატს“) უწოდებენ.

**მახორხალი** „მხერხავი“

მხერხავობა ცალკე ხელობაა და დიდ ჯაფას მოითხოვს (ჩხენკელი 1988 : 64). ძველქართულში **მხერხავი** „ხერხით მუშავს“ ნიშნავდა (საბა 1991 : 552).

**მაქარგალი ოსტატი** „სახე-ჩუქურთმების ამომჭრელი ხელოსანი“ (ჩხენკელი 1988 : 64).

ძველი სახლის კარების გულებს ქარგავდნენ, მაგრამ ეს არ შეეძლო სოფლის ადგილობრივ ოსტატს. მისთვის ცალკე მოჰყავდათ მცოდნე კაცი. ერთი ასეთი სვეტის გაკეთებას ოსტატი ერთ თვეს მოუწოდებოდა ხოლმე. ის ლამაზი ხელობა იყო. ამოყვანილ ფიგურებს **ეშაუნფილს** (ნაქარგს) უწოდებდნენ (მასალები 1976 : 386).

**ქუაში მატახალი** „ქვის მტეხელი“. მუშას, რომელსაც ქვა უნდა მოეპოვებინა და დაემუშავებინა, ქუაში მატახალს („ქვის მტეხელს“) უწოდებდნენ (ჩხენკელი 1988 : 64). ის ტეხდა ქვას, შემდეგ თლიდა, ალამაზებდა. საშენი ქვა მოჰქონდათ მთიდან. კლდეში ლომით ამოხვრეტდნენ და ნახვრეტებში ჩაყრიდნენ წამალს. შიგ ჩაუდებდნენ მილებს ისე, რომ თავები ჩანდა. მილებში წამალი ეყარა. კარგად დატკეპნიდნენ და დაადებდნენ აბედას. წაუკიდებდნენ ცეცხლს. აფეთქდებოდა კლდე და დაიშლებოდა. ქვის მტეხელები ქვას თლიდნენ ეჩვათი (მასალები 1976 : 396).

**მაჭკადალი** „მჭედელი“

ზოგჯერ **მაჭკადარი** ფორმაც იხმარება.

ტერმინებში – **მარ-რთუ-ალ-ი** „სახურავის ოსტატი“, **მა-პროლარი-ი** „იატაკის დამგები“, **მა-ხარგ-ალ-ი** „მტვირთავი“, **მა-ხორხ-ალ-ი** „მხერხავი“, **მა-ლასირ-ალ-ი** „მლესავი“, **მა-ჩიკატურ-ალ-ი** „მლესავი“, **მა-დაფ-ალ-ი** „მღებავი“. **მა-ქარგ-ალ-ი** ოსტატი „ჩუქურთმების გამოძევიანი ოსტატი – გამოიყენება **მა-ალ** პრეფიქს-სუფიქსი სასუბიექტო (მოქმ. გვარის) მიმღობის მწარმოებლად

**მაჰკადალ**-ის სინონიმებია **ჰკადუ** | **ჰკადი** (ქაჯაია 2002 : 479).

ეს არის ერთ-ერთი ფორმა ძველი მიმღეობისა – **ჰკად-უ** > \***მ(ა)-ჰკად-უ** (შდრ. **მა-ლურ-უ** „მომაკვდავი“, **მო-რდ-უ** „მუძუმტე“).

მეგრულ **ჰკად-უ** „მჭედელი“ ფორმაში წარმოდგენილ **ჰკად-** ძირს შეესატყვისება ქართული **ჰედ-** ძირი. მეგრულში **ჰ**-ს შემდეგ-განვითარებულია **კ** თანხმოვანი: **ჰ** → **კ**.

არნ. ჩიქობავა ამ ფორმებში გამოყოფს -ად-, -ედ- დეტერმინანტ სუფიქსებს (ჩიქობავა 1938 : 412).

ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის მიერ მეგრული **ჰკად-** და ქართული **ჰედ-** ძირები შედარებულია. საერთოქართველური ფუძენისათვის სადღგენილი აარქეტიპი \***ჰედ-**

მეგრული **ჰკად-** ფუძე გამოყენებულია კომპოზიტში **ხემოჰკადილი** „ხელმარჯვე ოსტატი“ (ზედმიწ. „ხელ-მოჰქედელი“).

**ხემაჰკადუ** „ხელმარჯვე ოსტატი“ (ზედმიწ. „ხელმჭედელი“) (ქაჯაია 2002 : 530).

მეგრულში გვხვდება **ხემოჰკადილი** ფორმაც, რომელიც დახელოვნებულს (მაგ. ხელოსანს, ოსტატს) ნიშნავს. ეს ტერმინი მიღებულია კომპოზიციის გზით - არსებითი სახელი + მიმღეობა (სუბსტანციურ-პარტიციპული მოდელი):

**ხეხუჯი** „ოსტატი ხის, რკინის, თიხის“ (ელიავა 1987 : 385).

ო. ქაჯაიას მიხედვით, **ხეხუჯი** იგივეა, რაც **ხეხუნჯობა** || **ხერ-ხუნჯობა** – წმინდა სოლომონის – ხელოსნობის ღვთაების – სალოცავი. აღნიშნავდნენ ზეინკლები და მჭედლები ყოველი წლის 31 დეკემბერს. სალოცავი სრულდებოდა გარკვეული რიტუალით (ფიფია 1999 : 56; ქაჯაია 2002 : 536).

## ვ ა ე ა შ ე ნ გ ე ლ ი ა

### ოდენპრეფიქსული სიტყვაწარმოება მეგრულში

მეგრულ-ლაზური ენის მეგრულ დიალექტში სახელის დერივაციულ სისტემაში წამყვანია კონფიქსური და ოდენსუფიქსური სიტყვაწარმოება, თუმცა ოდენპრეფიქსული სიტყვაწარმოების შემთხვევებიც საკმაოდ გვაქვს; პრეფიქსებად გამოყენებულია **ო-**, **უ-**, **ნო-**, **სა-**.

### ო- პ რ ე ფ ი ქ ს ი

ოდენ **ო**- პრეფიქსით ნაწარმოები არსებითი სახელი ბევრი არაა. აქ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს **ოჯიჯი** || **ოჯინჯი** „ბადე“, რომელიც ჯერ კიდევ ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონშია წარმოდგენილი (საბა: **ოჯიჯი** „ბადე მეგრულად“); ამ სიტყვაში გამოიყოფა **ო**-პრეფიქსი და ფუძე **ჯიჯ** || **ჯინჯ** „ძირი“ (საგულისხმოა ა. ქობალიას ლექსიკონში მოცემული განმარტება: **ოჯინჯი** „ერთგვარი ბადე, რომელიც ფსკერამდე უწევს“).

**ო**- პრეფიქსიანი წარმოება გვაქვს სხვა სიტყვებშიც: **ოფორი** „საფარი“, **ორტვინი** „ბოსტანი“, **ოსინჯი** „საიხვე“, **ოღალი** „ტვირთი“... ი. ყიფშიძის აზრით, **ო**- პრეფიქსი გამოიყოფა წალენჯიხის სოფლის სახელწოდებაში – **ო**-ბუჯი.

### უ- პ რ ე ფ ი ქ ს ი

უარყოფითი ფორმების მაწარმოებელი **უ**- პრეფიქსი **ო**- პრეფიქსზე უფრო ხშირადაა გამოყენებული.

ერთი მხრივ, **უ**- აწარმოებს ე. წ. უქონლობის სახელებს: **უთუ**-რი „უჯიშო“ (შდრ. თური „მოდგა, გვარი“), **ურული** „უძილო, უძინარი“ (შდრ. რული „ძილი“), **ურეკი** „ურიყო, ნოყიერი, უკენჭებო“ (ა. ქობალია, შდრ. **რეკა** „რიყე“)... მეორე მხრივ, **უ**- პრეფიქსი უარყოფითი მიმღეობის მაწარმოებელია: **უნჭყი** „გაუწვრთნელი, გაუხედნავი“, **ურგი** „ურგებელი“, **უსხი** „უსაშველო“, **უსკვი** „გაუნასკავი“, **ურტყი** „გაუვალი ტყე“ (ა. ქობალია)... აღსანიშნავია, რომ **უ**- პრეფიქსი ერთ ზმნისართიც გამოიყოფა – **უკული** „კვლავ“.

### ნო- პ რ ე ფ ი ქ ს ი

**ნო**- აწარმოებს ე. წ. წინა ვითარების სახელებსა **ნო**-ქური „კვალი, ნაკვალევი“ (შდრ. ქური „ქუსლი“), **ნობული** „ნაბუდარი“ (შდრ. ბუდე), **ნოისირი** „ნაისლარი“ (შდრ. ისირი „ისლი“), **ნობული** ზედმიწ. „ნაბალარი“ (შდრ. ბული „ბალი“)... უფრო ხშირია მისი გამოყენება ნამყო დროის საობიექტო მიმღეობის მაწარმოებლად: **ნოჭკერი** „ნაჭკერი“, **ნოხირი** „ნაქურდალი, ნაპარავი“, **ნოთირი** „გამონაცვალი“, **ნოსოფი** „ნაგლეჯი“, **ნორდი** „გაზრდილი“, **ნორთი** „განაყოფი“, **ნორცვი** „გაცვეთილი, გაცრეცილი“, **ნოფორი** „დაფარული“, **ნოფული** „გადამალული“, **ნოკვეთი** „ნაკვეთი“, **ნორგი** „დარგული“, **ნოწკერი** „ნაპობი“... **ნო**-ს პარალელურად იმავე მნიშვნელობით **ნა**-ც გამოიყენება: **ნორყი** || **ნარყი** „მთამომავალი“, **ნორდი** || **ნარდი** „გაზრდილი“, **ნოისირი** || **ნაისირი** „ნაისლარი“... ეგევე **ნო**- პრეფიქსი უნდა გვექონდეს სიტყვაში **ნოყორი** „პირის ღრუ, ხახა“.

## სა- პ რ ე ფ ი ქ ს ი

მეგრული **ო**-ს ფუნქციური შესატყვისია ქართული **სა**-, რომელიც მეგრულშიც გამოიყენება სიტყვათა საწარმოებლად: **სა**ბაღი „სამყოფი“, **სარ**ჩი „სასინჯი, საჩვენებელი“, **სა**ფაჩი „საფანტი“, **სა**ფორი „საფარი“, **სა**ქოსი „ჩვარი“, **საკ**ვეთი || **საკ**ვეთარო „კვეთის შესანახი ჭურჭელი“, **სა**დიარი || **სა**დიარო „საბალახო“, **სა**თანჯი || **სა**თანჯო „გასამიჯნი“...

ზემოთ განხილული პრეფიქსები სუფიქსებთან ერთად ხშირად არის გამოყენებული კონფიქსურ სიტყვაწარმოებაში, მაგრამ ამჯერად ყურადღება გამახვილებული იყო ოდენპრეფიქსულ წარმოებაზე. ქართველურ ენათა (ძირითადად) აგლუტინაციური წყობის გათვალისწინებით, ჩვენ იმ აზრს ვიზიარებთ, რომლის თანახმადაც სიტყვის საწარმოებლად პრეფიქსისა და სუფიქსის ერთდროული გამოყენება (კონფიქსაცია) უფრო ახალია ოდენპრეფიქსულ სიტყვაწარმოებასთან შედარებით.

## რ ე ზ ო შ ე რ ო ზ ი ა

### ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხისათვის

1. ნებისმიერი ენობრივი სისტემა, როგორც ცნობილია (თავისი სტრუქტურული ელემენტებით), ზეპირი და წერიტი მეტყველებების სახით არსებობს. წერიტი მეტყველების არასაყოველთაოობა და ზეპირი მეტყველების თავისუფლება საუკუნეების მანძილზე ამ ორ ფორმას შორის სხვაობის მატებას იწვევდა.

წერიტი მეტყველება ჩამოყალიბების დროიდანვე საერთოა და, ამავე დროს და ამიტომაც, ფორმის ვარიაციულობისგან დაცულია. ასევე სტაბილურობა შენარჩუნებულია ლექსიკურ ერთეულთა ძირეულ ფორმებში, რაც სისტემის („მსოფლხედვის“) მოთხოვნებით არის ნაკარნახევი. ენობრივი სისტემიდან გასვლა თავისთავად გულისხმობს „მსოფლხედვის“ ცვალებას. ამიტომ ყველა უცხო ლექსიკურ ერთეულს ენის ფონოლოგიური შედგენილობა იმორჩილებს. ამავე დროს, სისტემის შიგნით, ზეპირი მეტყველების ფორმებში, ლექსემათა (ძირთა) სესხება იმავე „მსოფლხედვის“ ერთიანობა-ერ-

თგვარობის გამო შეუძლებელი ჩანს (ფონეტიკური ვარიანტები ნასესხობად ვერ ჩაითვლება). მსგავსი მოვლენა მხოლოდ სხვადასხვა ენობრივ სისტემებს შორის დასტურდება .

2. ქართველური ენობრივი სივრცის დაშლის მცდელობამ ეტიმოლოგიური ხასიათის ნაშრომებში „ნასესხობა“ ტერმინი გააჩინა. მკვლევარები არაიშვიათად ასეთ კვალიფიკაციას ანიჭებენ რომელიმე „ქართველურ ენაში“ დადასტურებულ ძირ-ფუძეს; მაგ.: სვანური მეტყველების **ლიჩქენე** მეგრულიდან „ნასესხებად“ არის მიჩნეული (**მერჩქვანა : მიჩვევა**). მსგავსადევა დახასიათებული სვანური **ლირშუნი** გახსენება. ხოლო მეგრული მეტყველების **ღორება** (სვან. **ლიღროვი**) „ქართულიდან ნასესხებად“ არის გამოცხადებული...

საქმის არსი იგივე რჩება, როცა „ნასესხები“ „შესული“ ტერმინით იცვლება; „ბორკილი“ ტიპის ფორმები „ნასესხები“ ან „შესული“ არ არის სამწერლო ენაში, რომლის შემქმნელები ისევე არიან ლიხსიქითა ქართველები, როგორც ლიხსაქეთანი, წერთი მეტყველება ორივესთვის ერთია, საერთოა. **დიხა : თიხა, სერ/სარ, ქართ/ქორთ...** ძირ-ფუძეები ნათლად მიუთითებენ ქართველური ზეპირი მეტყველებების დიალექტურ მახასიათებლებზე და არა ენობრივ (სისტემურ) დანაწევრებულობაზე.

## იზა ჩანტლაძე

### იფხ-/იმფხ-/იმზ- ძირი სრულიად საქართველოში

საგულისხმოა, რომ ზემო სვანეთში ლატალის ტერიტორიაში შემავალ ერთ სოფელს **იფხ** ჰქვია. სწორედ აქ, წმინდა გიორგის ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე, X საუკუნის II ნახევრის ქართული წარწერაა ამოკაწრული (სილოგავა 1988 : 274), ხოლო ლენტეხში, მდინარე ხელედურას ხეობაში, იგივე ტოპონიმი წარმოდგენილია კნინობითის ფორმით (**იფხ-აღდ**) სოფელ ქვედა წანაშის ერთ-ერთი კუთხის სახელწოდებად. საინტერესოა, რომ ქვემოსვანურის ტოპონიმიაში ერთდროულად გვხვდება როგორც საერთოქართველური ფუძეებიდან მომდინარე მონაცემი (**იფხ-აღდ**), ისე დასავლური ქართული დიალექტებიდან შესული ლექსემა (**გჷიმზრ- ლ**) სოფლების დასახელებიდან



ბებში, რაც, რაღა თქმა უნდა, უწინარესობა-შემდგომადობის მიხედვით სხვადასხვა ქრონოლოგიური დონის ანარეკლია.

ძველ ქართულში **ლიფი** „ერთგვარ მცენარეს“ აღნიშნავს და მოსალოდნელია, რომ იგი **\*ლიფხ** ფორმისგან მომდინარეობდეს. მაშასადამე, ზედა ქლასკურში დღემდე დაცული „ნაიმხზრევი“ ისტორიულად „ნაგვიმრალს“ უდრის [შდრ. სოფლის სახელწოდება ლანჩხუთის რაიონში **გვიმზალაური** < \***გვიმზ-ალ-ა-ურ-ი** – ზ. სარჯველაძე 2000 : 258; აგრეთვე, **გვიმარ-ონ-ი** („გვიმრნარი“) – მიკროტოპონიმი ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ახუთში და **გვიმარ-ონ-ა** – სამოვრის სახელწოდება ხობისწყლის ხეობაში – ცხადაია 2008 : 105] სემანტიკური თვალსაზრისით, ხოლო სტრუქტურულად ამოსავალი ჩანს **\*ნა-იფხ-არ-ევ-ი** (მ სონორი თითქოს ლაზური ჩანართია, რაც ინლაუტში დღესაც ჩვეულებრივი მოვლენაა ყველა ქართველურ ენასა და მათ დიალექტებში, თუმცა მთარაჭულის **იფხლა** || **იმხლა** საც (მყაშვილი 1991 : 82) თუ გავითვალისწინებთ, მაშინ დისიმილაციური მომენტი – **ფხ** -> **მზ** – უნდა გავხაზოთ.), ე. ი. **ორმაგსუფიქსურ** წარმოებასთან გვაქვს საქმე. მას შემდეგ, რაც ყოფილობის აღმნიშვნელი აფიქსის **-არ** ელემენტში დაიჩრდილა ძირითადი ფუნქცია, საჭირო გახდა ქართული ენის ისტორიული განვითარების შედარებით უფრო ძველი პერიოდიდან მომდინარე **-ევ** სუფიქსის დართვა, რომელიც დღესაც პროდუქტულია ქართულ დიალექტებში, მათ შორის ტაო-კლარჯეთშიც; თუმცა იმასაც გავხაზავთ, რომ ნიგალის ხეობის ტოპონიმიში მორფემათა შებრუნებული რანგია (**გ-არ** < \***-ევ/ავ-არ** და არა **რ-ევ/-ავ** < \***არ-ევ/-ავ**) უფრო გავრცელებული ორმაგსუფიქსიან წარმოებაში („ნახელვარი“ < \***ნა-ხელ-ავ-არ-ი**, „ნაყან[ვ]არი“ < \***ნა-ყან-ევ-არ-ი**, „ნაღომ[ვ]არი || ნაღუმ[ვ]არი“ < \***ნა-ღო/უმ-ევ-არ-ი**, „ნათუთუნვარი“ < \***ნა-თუთუნ-ევ-არ-ი** და ა. შ.). მაშასადამე, **-გ-**, რომელიც ხან წარმოდგენილია და ხან – არა ამა თუ იმ მიკროტოპონიმში, ფონეტიკური ჩანართი კი არ უნდა იყოს, როგორც ეს შესაძლოა, ერთი შეხედვით, მოეჩვენოს ვინმეს, არამედ მწყობრი დერევაციული სისტემის წარმომადგენელი მონაცემი.

ამავე ძირისა და მაწარმოებელთა შემცველი ჩანს იმერხევის ერთ-ერთი სოფლის სახელწოდებაც. ესაა **იფხრეფლი** (ცეცხლაძე 2000) < \***იფხ-არ-ევ-ალ-ი**, რომელიც არათუ ორი, არამედ **სამსუფიქსიანი ტიპის** შთაბეჭდილებას ტოვებს, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა არა მხოლოდ სამხრული დიალექტებისთვის, არამედ მთელი ქართულისათვის (ფ. მაკალათია). სპეციალურ ლიტერატურაში ეს ტოპონიმი განსხვავებულადაა ფიქსირებული: ხან **ჯ** || **ხ** გრაფემებით (შ.

ფუტკარაძე), ხანაც მხოლოდ ხანით (მ. ფაღავა, ე. ბერიძე). ასევე, შავ-შურ ტექსტებში იგი წარმოდგენილია ხან **გ** გრაფემით (შ. მამულაძე), ხანაც **უ**თი (**იფხრეული** || **იფხრეელი** – მ. ფაღავა). იქნებ, უმარცვლო **უ** ისმის იმერხეველთა მეტყველებამი? (**საკითხს სჭირდება ექსპერიმენტული ფონეტიკის მეთოდებით ჯეროვანი შესწავლა**).

მ. ფაღავა არ ახდენს **იფხლი/იფხრი** ფუძის სეგმენტაციას, თუმცა საგანგებოდ გახაზავს, რომ შავშურ სოფელში არავინ იცის „გვიმრის“ ეს სახელწოდება, მაგრამ ტოპონიმმა შემოინახა ძველი ფორმაო. იგივე ვითარებაა ნიგალის ხეობაშიც, ოღონდ იქ უფრო რთულ წარმოებასა (**ნა-ო'მ'ფხ-რ-ევ-ი**, „ჩაის პლანტაცია“) და მონათესავე სემანტიკის მქონე ლექსემაში შემოგვრჩა საერთოქართველური **იფხ-** ძირი. ამასთანავე, ნიგალური მონაცემი **იფხ -> იმხ** ფორმაცვალეზადობის გარდამავალ საფეხურსაც (**ო'მ'ფხ**) უნდა ასახავდეს. საყურადღებოა, რომ იგივე სიტუაციაა ლაზურშიც (ლ-**იმფხ-ვ-ან-ა**<sup>1</sup>), „ბოტანიკურ ლექსიკონში“ კი დასახელებულია, აგრეთვე, **ლიმხუნა** „ეწრის გვირა“ (მაყაშვილი 1991 : 26). **ფხ -> მფხ -> მხ** ფონეტიკურ გარდაქმნათა შუა საფეხური შემონახულია ქართული ენის რაჭულ დიალექტშიც (კობახიძე 1987 : 36).

შინაარსობრივად სულხან-საბასეული **იფხლი** „გვიმრა“, ნიკო მარის მიერ დადასტურებული სვანური **იფხ** კი – „გვიმრის სახეობა“ („вид папоротника“ – 1922 : 30). რაც შეეხება არსენ ონიანს (1917 : 2), ის ერთმანეთისგან განარჩევს **იფხ** ლექსემას [რომელსაც სოფელ კალაში (ე. ი. მესტიის რაიონში) ხმარობენ, ხოლო სხვაგან მას **თხ,ალ-შაპაი** ჰქვია („ძალიან მაღალი ბალახი, რომელიც თავში წვრილ და მოგრძო პარკებს იკეთებს; პარკები რომ გაიშლება, შიგნით ბამბაა“)] და **უდგარაჟა იფხ**'ს („ძალიან მწვანეა ზამთარში, გვიმრას ჰგავს, მაგრამ უფრო ფაქიზია“)<sup>2</sup>.

მაღალრეპრეზენტატულ „ბოტანიკურ ლექსიკონში“ (მაყაშვილი 1991 : 5) სვანური **იფხ** არსად ჩანს, ეს ძირი მხოლოდ მთარაჭულ **იფხლა/იმხლა** და ლაზურ **ლიმხონა** შია წარმოდგენილი. რაც შეეხება ლექსემას **ნა-ო'მ'ფხ-რ-ევ-ი**, მას ძველ ქართულ **იფქლ** თან („ხორბალი“) არავითარი კავშირი არ აქვს (შდრ. ბერიძე 2009 : 397); ამ კომპო-

<sup>1</sup> ნ. მარის სეგმენტაცია განსხვავებულია (**ლი-მფხვანა/ლი-მხონა/ლი-მხანა**; თუ-მცა შდრ. იქვე **ლ-იმხ-ონ-ა, ლ-იმხ-ან-ა** – Мapp 1910 : 163, 173).

<sup>2</sup> ასლან ლიპარტელიანის მიხედვით, პირიქით: „**იფხ** გვიმრანაირი მცენარეა, მაგრამ უფრო მაგარლერიოანი“ (ლიპარტელიანი 1994 : 139).

ზიტის მეორე შემადგენელი ელემენტი მომდინარეობს გვიმრის ერთ-ერთ (ძველქართულ-რაჭულ-იმერხეულ / შავშურ-სვანურ-ლაზურ) სახელწოდებაში დაცული ძირიდან **იფხ-ლ-ო** გარკვეული ფონეტიკური პროცესის შედეგად. მართალია, მთის გვიმრის ერთ-ერთი სახეობის ზემოიმერული ნომენკლატურის კომპონენტი არის „იფქლიც“ (**ღორ-თ-იფქ-ლ-ა**), მაგრამ აქ გადამწყვეტია ფონეტიკური პროცესი (**იფხლ- > იფქლ-**), ანუ საანალიზო კომპოზიტიში **-ფქ-** კომპლექსი მეორეული ჩანს (**-ფქ- < -ფხ-**). მთავარი ისაა, რომ **იფხ-ლ-** („გვიმრის ერთ-ერთი სახეობა“) და **იფქ-ლ-** („ხორბალი“) ფუძეები ქართველურ ენებში სხვადასხვა შესატყვისებით არიან წარმოდგენილნი.

ვარლამ თოფურიას და მაქსიმე ქალდანის „სვანურ ლექსიკონში“ **იფხ** ლექსემასთან მხოლოდ ლაშხურ-ლენტეხური ილუსტრაციებია მოყვანილი, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არსენ ონიანი ჯერ კიდევ 1917 წელს აფიქსირებდა „გვიმრის“ ამ სახელწოდებას მესტიის რაიონის სოფელ კალაში. ამასთანავე, XI საუკუნის I ნახევრის „სვანეთის კრების სულთა მატიანეში“, სოფელ დოლის (მესტიის რაიონი) საეკლესიო კრების „მომგებელთა“ სიაში, დამოწმებულია სარგის **იფხისძე** (სილოგავა 1988 : 541; „სვანეთის ისტორიის ფურცლები“ 2011 : 164). დღეს ზემო სვანეთში ძალზე იშვიათად შეხვდებით ამ სიტყვის მცოდნეს, მაგრამ ისევე, როგორც ტაო-კლარჯეთის ტოპონიმიში, აქაც, ოღონდ ძველ ანთროპონიმიში, შემოგვრჩა **იფხ**. სპეციალურ ლიტერატურაში მას სხვაგვარი ეტიმოლოგიაც ეძებნება (ქართულ **ფხ-ალ/მხ-ალ**სა და მეგრულ **ხულ**ს უკავშირებენ – ოსიძე 1987 : 30-31), მაგრამ ამაზე სხვაგან და სხვა დროს ვიმსჯელებთ.

ზემო აჭარაში, სხალთის ხეობაში, სათესი ადგილის სახელწოდებაა **იფხ-ლ-ან-ა** (სოფ. ჭერი – სიხარულიძე 1958 : 100), ხოლო ქვემო მაჭახელაში ერთ-ერთ დელეს ჰქვია **იფხ-ნარ-ი** კული დლეუ (იქვე : 129).

## მანანა ჩაჩანიძე

### **„ხევსურული საგა“, როგორც დიალექტოლოგიისთვის მნიშვნელოვანი ერთი ტენდენციის ნიმუში თანამედროვე ქართული პოეზიიდან**

თანამედროვე ქართული პოეზიის ენაში ერთი მეტად საგულისხმო ტენდენცია შეინიშნება, კერძოდ, დიალექტის მოძალეობა (შდრ. თანამედროვე სასაუბრო და სალიტერატურო ქართული, რომელშიც ნაირგვარ უცხო სიტყვათა მოძალეობაა თვალშისაცემი). პოეზიის გულშემატკივარი, უბრალოდ მოყვარული თუ დაინტერესებული მკვლევარი ამ ტენდენციას განსაკუთრებით მძაფრად მთის რეგიონიდან მოსულ პოეტთა შემოქმედებაში ხვდება.

ჩვენი დაკვირვებით, ხშირ შემთხვევაში, დიალექტის გამოყენება პოეზიის ენაში გამართლებული და წარმატებულია. დიალექტის გამოყენების დადებითი ეფექტი, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია პოეტის ნიჭიერებასა და პოეტურ ტექნიკაზე. როცა ენობრივი არჩევანი განპირობებულია სათქმელით და ეს მაღალოსტატურად კეთდება, უდავოა, რომ ლექსის წარმატებას სწორედ მისი ენობრივი მხარე განაპირობებს. აქვე შევნიშნავთ: დიალექტის მოძალეობის ტენდენციას, ვფიქრობთ, უთუოდ განაპირობებს ის გარემოებაც, რომ პოეტ-შემოქმედთა მიერ ესა თუ ის დიალექტური მოვლენა თუ ოდენობა და, საბოლოო ჯამში, თვით დიალექტი გაგებულია, როგორც „ქართული სემანტიკური ფაქტი“ (ბ. ფოჩხუა).

პოეზიის ენაში დიალექტის გამოყენების ბრწყინვალე ნიმუშად თანამედროვე ქართულ მწერლობაში სრულიად სამართლიანად შეიძლება მივიჩნიოთ ბადათერ არაბულის 2016 წელს გამოცემული პოეტური კრებულის – „ხევსურული საგა“ – პირველი და უმთავრესი ციკლი: „ხევსურეთს ამზად ნათქვამი“. ლექსების ამ ციკლში ავტორი ფოლკლორულ ესთეტიკაზე დაყრდნობით, მშობლიური ხევსურული დიალექტის გამოყენებით – ნარატივისა და არტეფაქტის ხევსურული კილოთი ოსტატურად გაცოცხლების – გასაოცარ პოეტურ ნიმუშებს ქმნის. ამ ციკლში წარმოდგენილი თითოეული ლექსი – ნარატივი, ფაქტობრივად, „ლექსად გარდათქმის“ ხელოვნების საგანგებო ნიმუშია. ასეთებია ლექსები: *ძილუა და ქისტები; მოსის-ხლეები; ცად წასვლა; გაბურთ ეშმა; ძაღლიკა ხიმიკაური; ხონდაის*

მენი; აკიათ გაგა; წიკლაურნი; თავის დარდისთვის მოუცლელი; ძმობილები; მტრისთვის გამეტებული შვილი; ქისტების შეწყალებული ხევსურები; ქაქუცას მძანაფიცი; ბუბა; დასაკუთრებული მზე; გუდანის ჯვრის დროშა და მესამასე არაგველი; ღვთისავარა; უჭკუათ გოგოთური; თავის თავის დამტირებელი; ბაღლები სიკდვილს დაუმაღენივ; თირუზანი; სინდიურისძე; შაბრალება მგელმაც იცი-სავ; ჩოლოყა; აკათ სუხა; კოპალას ამაღლება; ლელა ბაჩლელი.

მოხსენებაში გაანალიზებულია ამ ლექსების პოეტური ენის ნატურალისტური მარკერები და ენობრივი ინვენტარი.

პოეტი „ხევსურულ საგაში“ (კონკრეტულად ლექსების ციკლში *ხევსურეთს ამბად ნათქვამი*) დიალექტის, როგორც ყველაზე სანდო არგუმენტის, მეშვეობით უაღრესად ადვილად გვარწმუნებს საკუთარ პოეტურ და ენობრივ სიმართლეში – „უჭკუათ გოგოთურის“ ამბის დარად, მასაც „დრო-ჟამის შაცვლით შაწუხებულს ლექსებ უწერავ“.

## მერაბ ჩუხუა

### ქალაქ- ფუძის ეტიმოლოგიის ცდა

მოხსენებაში განხილული იქნება **ქალ**-ტა „ირგვლივ შემო-ზღუდული უსახურავო ადგილი საქონლის დასამწყვდევადა; ბაკი“ და **ქალ**-აქ-ი სიტყვების ურთიერთმიმართების საკითხი. ივარაუდება ქართული **ქალ**-ტა და **ქალ**-აქ-ი სიტყვების ეტიმოლოგიური კავშირი, რის საფუძველზეც **ქალ**- ძირად გამოიყოფა, ხოლო **-ტა, -აქ** კი სუფიქსებად არის საგულგებელი.

**ქალ**- ფორმის შესატყვისები სხვა ქართველურ ქვესისტემებში ამ ეტაპზე ვერ გამოვავლინეთ. მიუხედავად ამისა, **ქალ**- საერთოქართველური წარმონაქმნი გვეგონია, რასაც მხარს უჭერს მონათესავე აფხაზურ-ადიღურ ენათა ჩვენება, შდრ. ჩერქ. **ქაწ** „წნელის ზღუდე“.

დაღესტნური იზოგლოსებიდან საინტერესოდ გვესახება ბეჟიტ. **ქალო** „წნული ღობე, ტყრუშული“ და ჰუნზიბ. **ქარე** „წნული ღობე“ ალომორფები, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო ბეჟიტ. **ქორე**, ჰინუხ. **ქორე** და ხვარშ. **ქურე** „ღობე“ სიტყვებთან.

## ნანა ცეცხლაძე

### ჭამა' კომპონენტისანი შესიტყვებანი ქართული ენის დიალექტებში

ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში გვხვდება შესიტყვებანი, რომელთა ზმნური კომპონენტიცაა ლექსემა „ჭამა.“  
**ესენია: ლავაში აჭამა, ალიყური აჭამა** (სილა გააწნა), **სირცხვილი აჭამა** (შეარცხინა); **შიში ჭამა** (შეშინდა), **გუშინ რა ჭამა არ ახსოვს** (გულმავიწყია), **ორივე ყბით ჭამა** (მადიანად ჭამა), **სამართალმა პური ჭამა** (სიმართლე არ დაიკარგა, უსამართლობამ ვერ გაიმარჯვა); **წუთისოფელი მოჭამა, თავისი პური მოჭამა, თავისი დრო მოჭამა** (ხანგრძლივად იცოცხლა); **კოდალას ენა ჭამა, კრუხის თავი უჭამია** (გაუთავებელი საუბარი), **ლენცოფა ხომ არ გიჭამია?** (ალოგიკური, დაულაგებელი საუბარი).

ამგვარ შესიტყვებებში ზმნას ახლავს აქტანტები: ქვევის ნიშანი (არ უჭამა კატამ ნიორი (თავისი ვერ გაიტანა, დამარცხდა); კაუზატივის ნიშანი (ლავაში აჭამა, ალიყური აჭამა), ზმნისწინი (მოჭამა, შეჭამა, მიაჭამა). ის სხვადასხვა მწკრივის ფორმითაა წარმოდგენილი: **ჭამა, უჭამია, მეჭამა** (ნეტავი პრასა **მეჭამა** და ეს არ მექნაო– დანანება).

ფერეიდნულ დიალექტში გამოვლინდა **ზულამას ჭამა** (წოვა) (აღზუნება, ენერგიის მოზღვაება), **თაქანის ჭამა** (მოძრაობა, განძრევა); **ორ ბაგაში ჭამა** (ორივე დაპირისპირებული მხარისთვის მიტმანა, ორივე მხრიდან სარგებლის მიღება). იმერულ დიალექტში გვაქვს **ჯაბუნაის ჭამა** - მსუბუქად დასჯის ერთ-ერთი ფორმა.

სამხრულ კილოებში გვაქვს **ომრი მოჭამა** (დიდხანს იცოცხლა, სიცოცხლე შეირგო); **ჯოხი //ზოფა ჭამა** (დასჯა); **ჰახს არ შეჭამს, ჰახს არ შეუჭამს სხვას** (ქობ. მუჰ.), **კიმური ჭამა** (აჭარ. ირონ. დაუჯერებლობით დამარცხდა, სხვისი რჩევა არ შეისმინა და მარცხი იწვნია); **მოგჭამა ჭირი** (არ გაგიმართლა, დაიკარგა, დაიღუპა); **ჭირი სჭამა** (მან მას- ეხვეწა); **ხიში ჭამა** (გაბრაზდა); **ჭადი მიაჭამე** (სურვილისამებრ ჭამე), **ჭადს მიაჭამე** (ცოტა ჭამე).

ამგვარი შესიტყვებანი ძირითადად მყარია, ფრაზეოლოგიზმებია და შინაარსიც ტროპულია. ისინი ძირითადად უარყოფითი სემანტიკის გადმოცემას ემსახურება: შიში, შერცხვენა, დასჯა, უმადუ-

რობა, სხვისი ამაგის დაუფასებლობა, გაბრაზება, მარცხი. იშვიათად დადებით სემანტიკასაც გადმოსცემს (ხანგრძლივი სიცოცხლე).

განსაკუთრებით საინტერესოა შესიტყვებანი, რომლებიც კალკურადაა მიჩნეული. ისინი გვხვდება ფერეიდნულსა და სამხრულ კილოებში: **ჰახს არ შეჰამს** (უსამართლობას არ ჩაიდენს), **ჰახს არ შე-აჰმევს** (უსამართლობას არავის შეარჩენს, არავის ჩაადენინებს) (hak არაბ.1.კანონით კუთვნილი, 2. შრომის საფასური, ამაგის შესაბამისი გასამრჯელო); ასევე **ჯოხს ჰამს** (ლაზურშიცაა)//**ზოფას ჰამს** (**ჯოხი-თურქ. SOFA). YEMEK** ზმნურნაწილიანი გამოთქმები თურქულისთვის ნიშანდობლივია.

კალკურია გაბრაზების გამომხატველი ფრაზეოლოგიზმი **ხიში ჰამა** (Hişmi -სპარს. რისხვა, წყრომა). აქვე უნდა დავასახელოთ ფერეიდნულის **თაქანის ჰამა** (tekān xordan (სპარს. tekān – განძრევა, ბიძგი; xordan – ჰამა). ქდკ-ს მიხედვით ის თავისუფალი შესიტყვებაა და ტროპულ ლექსიკას განეკუთვნება.

**ჰამა** კომპონენტთან შესიტყვებათა შორის ბევრია აღმოსავლურ ენათა კალკიც, რაც ფერეიდნულსა და სამხრულ კილოებში ენათა შორის კონტაქტებით აიხსნება. მათი შესწავლა მიზანშეწონილია როგორც სალიტერატურო ენის ისტორიის, ისტორიული დიალექტოლოგიის, ისე ლინგვოკულტუროლოგიის, ფსიქო- და სოციოლინგვისტიკის თვალსაზრისითაც.

## ნი ე ლ ი ჰ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე

### ზოგი ომონიმის (1. ზანდუკი; 2. დოლაბი; 3. აკუმი) ისტორიისათვის

#### ზანდუკი:

ძველ, საშუალო და ახალ ქართულში „კიდობანის“ მნიშვნელობით დასტურდება I. **ზანდუკი**: მომართუთ *ზანდუკი* იგი თუალებისაჲ, და მოიღეს, მაშინ განაღო *ზანდუკი* იგი (მამათა ცხორებანი). მოაღებინა ხელმწიფემან თორმეტი მსხვილი *ზანდუკი* სახელმწიფოთ ტანისამოსითა (რუსუდანიანი). [ლუარსაზს] ვსთხოვე... ფული შეენახა დაკეტილ *ზანდუკში* (ლ. არდაზიანი).

ზანდუკი ქართულ დიალექტებში გვხვდება **სანდული, სანდუკი, ზანტუკი, ზანდული სახითაც.**

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ის სპარულ-არაბული ნა-სესხობაა (მზ. ანდრონიკაშვილი).

ძველ ქართული II. **ზანდუკი** ხორცისფერი, „წითელი“: რომელ *ზანდუკითა* გამონიშნული (წითლითა გამონიშნული (A-1335, 2v) მოგასწავოს (H-1660).

გადატ. **ზანდუკი** საძიებელი, ცხრილი წიგნისა: *ზანდუკი* საწელიწდომ, გამოკრებული სახარებისად, საძიებელი (Q-1062).

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით: **ზანდუკი** (ბერძნ.) „წითელი მელანია“ და ამ მნიშვნელობით ეს სიტყვა XI საუკუნის ტექსტში „სარჩევს“ აღნიშნავს; რომ გასაგები გახდეს ამ სიტყვის მნიშვნელობათა ასეთი ცვლა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ წითელი მელნით ანუ ზანდუკით იწერებოდა სათაურები და ამ სათაურთა კრებულის ანუ სარჩევის დასაწყისი ასოები (ან თვით სარჩევი მთლიანად). რადგან „სარჩევში“ დომინირებდა წითელი მელანი ანუ **ზანდუკი**, თვით მელნის სახეობის სახელწოდება მეტაფორულად გადატანილ იქნა ამ მელნით შესრულებულ სარჩევზე (ი. აბულაძე, კ. დანელია, ზ. სარჯველაძე).

#### **დოლაბი:**

ძველი, საშუალო, ახალი ქართული, დიალექტები: I. **დოლაბი** მდინარიდან წყლის ამოსაღები ბორბალი - ჯმისაგან *დოლაბისა* მეჯურღმულესა არა ესმა რეკად (ლოცვისად) (ლიმონარი).

გადატ. აქვს ხელთა *ლაბტი-დოლაბი*, ტარითა რკინის ძელითა (ნ. ციციშვილი).

**დოლაბი** 1. წისქვილის ქვა - წისქვილი მოქუხს, *დოლაბი* ბრუნავს და ბრუნავს მალადა (რ. ერისთ.). ხელით საფქვავის საბრუნებელი ქვა. 2. გადატ. მრგვალი ფორმის მბრუნავი რამ (ქვა...). 3. (იმერ. გურ.) წისქვილი.

საშუალ, ახალ ქართულსა და მის ზოგ დიალექტში (აჭარული, ჯავახური, ჩვენებურების ქართული) II. **დოლაბი** ქვითვირის კედელში დატანებული კარადა, განჯინა, თახჩა - რომ ავსწიე, თითოს ფარდის შიგნით, ერთი ზევით და ერთი ქვეით ასეთი *დოლაბი* იყო, თვითოს და თვითოში შვიდი დიდი *ზანდუკი* იდგა (რუსუდანიანი).

**დოლაბი** 1. ბანიანი სახლის სათვალე, სანათური. უცხო მგზავრი თუ დაიბნა ღამეში, შეხედოს და *დოლაბის* შუქს ენდოს



(ს. ჩიქოვ.). 2. ქვიტკირის კედელში დატანებული უკარო განჯინა (ქვეშაგების შესანახად). სცენის სიღრმეში *დოლაბივით* კარაპანია (გ. ყიფშ. თარგმ.). || საკუჭნაო, საჭურჭლე, აფთიაქი (ი. გრიშ.).

**დოლაბი** სპარსულ-თურქულ ენებშიც როგორც *ბორბლის* ისე *კარადის* მნიშვნელობით დასტურდება. როგორც ჩანს, ამ მნიშვნელობების მქონე სიტყვა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა გზებით ისესხა ენამ.

### **აკუმი:**

ძველი ქართული I. **აკუმი** ტაბლა ან დასაჯდომი: დაჯდა *აკუმსა* ჭამად პურისა (Ier-140, 182v). ამ სიტყვის ფონეტიკური ვარიანტი **აკო** მეტნაკლები სემანტიკური გადაწვევით შემონახულია ფშაურში, ხევსურულსა და მოხეურში.

საშუალ ქართული II. **აკუმი** (არაბ.) ხროვა ან გროვა რისამე ზვინი. მარგალიტისა *აკუმი* მთათა ოდენი შექმნილ იყო (ვისრამიანი).

საშუალი, ახალი ქართული III. **აკუმი** (ბერძნ.) „ესე არს არც მამალი, არც დედალი, გინა ქალი ბუნებით ქმრისაგან გა(ნ)უხრწნელი“ – საბა, დ. ჩუბინაშვილი.

[შერვაშიძის ქალს] სიყვარული როდეს განეცადა თავად, რადგან *აკუმი* იყო იგი (კ. გამსახურდია).

## **რამაზ ხალვაში**

### **ქართული დიალექტიზმი XII საუკუნის სპარსულ პოეზიაში**

ჯერ ჯიდევ ი. მარმა შენიშნა, რომ XII საუკუნის შირვანელი პოეტი აფზალ ედ-დინ ხაყანი (1130-1199) თავის ლექსებში იყენებს ქართულ დიალექტიზმს „მოი“. აღნიშნული ლექსებიდან ერთ-ერთის პწკარედული თარგმანი დ. კობიძემ „სპარსული ლიტერატურის ისტორიაში“ შეიტანა და ასე ჟღერს: „ხუჭუჭთმიანისა და ნათელსახიანის (ლამაზის) სიყვარულის გამო, / საქართველოს მცხოვრები გავხდი და ქართულად მოლაპარაკე, / იმდენჯერ ვუთხარი მე მას „**მოი, მოი**“, / რომ ჩემი ენა თმად გარდაიქცა, / თმები კი ენებად იქცნენ“. ამავე როზაიის პოეტური თარგმანი მაგალი თოდუამ შეასრულა:

„ტრფობით შენი თეთრი სახის/ და კავების, მას რომ ამკობს,/ აფხა-  
ზეთში დავესახლე/ და ქართულად ვლაპარაკობ./ იმდენჯერ და ისე-  
თი ხმით/ გიხმობ: „**მოი, მოი**“ აქო! - / ენა თმისებრ დამიწვრილდა, /  
და თმა ენად მექცა, კარგო“. როგორც ვხედავთ, აღნიშნული ნიუანსი  
პოეტურ თარგმანშიცაა შენარჩუნებული. სპარსულ ორიგინალში  
დიალექტიზმი „**მოი**“ სარიტმო ერთეულია და შეწყვილებულია სი-  
ტყვასთან „**მეუ**“, რაც სპარსულად „თმას“ ნიშნავს. დ. კობიძე აღნიშ-  
ნავს, „ზოგმა მკვლევარმა შეიძლება იფიქროს, რომ ხაყანის დიალექ-  
ტური ფორმა აქვს გამოყენებული და ეს დასავლეთ საქართველოს  
ნაცნობობით აიხსნებოდეს, მაგრამ ასეთი ფიქრი უსაფუძვლო იქნე-  
ბა, თუ გავითვალისწინებთ, რომ სპარსული „მეუ“ ხაყანის ეპოქაში  
წიკითხებოდა არა როგორც „მოი“, არამედ როგორც „მოე“ („მოდის“  
მნიშვნელობით). აღნიშნული ფორმა დასტურდება ქართული ლიტე-  
რატურის კლასიკური ხანის ძეგლებში (ვისრამიანი, ამირანდარეჯა-  
ნიანი და სხვ.). მაშასადამე, ხაყანის **მოი**-ს (თმა) სარიტმო სიტყვად  
გამოუყენებია არა კუთხური „მოი“, არამედ წმინდა ლიტერატურუ-  
ლი ფორმა „მოე“, რაც პოეტის მოღვაწეობის ხანაში შესრულებულ  
ქართულ ძეგლებშიცაა დადასტურებული“. მეცნიერის ამგვარი კა-  
ტეგორიული დასკვნის მიუხედავად, ხაყანის ლექსში დადასტურე-  
ბული ქართული „მოი“ დიალექტიზმის შთაბეჭდილებას ტოვებს,  
მით უფრო, რომ ეს გამოთქმა პოეტს სწორედ აფხაზეთში, ანუ და-  
სავლეთ საქართველოში შეუთვისებია, სადაც იგი დღემდე გამოიყე-  
ნება. ამასთან ერთად, აღსანიშნავია ისიც, რომ ამავე გამოთქმას ხაყა-  
ნი სხვა ლექსშიც იყენებს: „გულქვავ, თუმცა ქრისტეს ესავ / და გიჭი-  
რავს მისი რჯული, / წმინდა სულის არ ხარ, თორემ / დაგწყდებოდა  
ჩემზე გული. / შენმა ტრფობამ დღისით მექნჯნა, / დამიკარგა ღამით  
რული. „მოი, მოი“ და მიხსენი / კაცი შენგან გატანჯული!“. ამ ლექს-  
თან დაკავშირებით, მთარგმნელი მ. თოდუა წერს: „ამ ლექსში პირ-  
ველი „მეუ||მოი“ თმას ნიშნავს, ხოლო მეორე კი ქართული „მოდის“  
სიტყვაა, რომელიც... ხაყანის სხვაგანაც აქვს ქართულად მოტანილი.  
ეტყობა, იმ დროს უცხოელებს საერთოდ სტუმართმოყვარე ქართვე-  
ლებისგან ხშირად ესმოდათ სიტყვა „მოდის!“. იგი დასტურდება შუა  
საუკუნეების თურქულ პოეზიაშიც. აშუღ ყარიბი ამავე სახელწოდე-  
ბის ხალხურ პოემაში (XVI-XVII სს.) ამბობს: „საქართველოში ვიყავი  
და სულ „მოი, მოი!“ ვიძახებო“. ჩანს, ეს ისეთივე მოვლენა იყო, რო-  
გორც დღევანდელ რუსებში ქართველების მეტაფორად გავრცელე-  
ბული „კაცო“, რადგან ეს სიტყვა ჩვენს მეტყველებაში ხშირად ის-

მის“. ხაყანის „მოი“ დიალექტიზმად არის მიჩნეული აზერბაიჯანელი კომენტატორების (მ. გულიზადე, მ. სულთანოვა) მიერაც. თუ ეს მართლაც ასეა, ხაყანის „მოი“ ლიტერატურაში დასავლურ ქართული დიალექტიზმების ერთ-ერთ უძველეს დადასტურებად შეიძლება ჩაითვალოს.

## ნინო ხახიაშვილი

### ქართულ ტრადიციაში დამკვიდრებული (სახეცვლილი) რამდენიმე ბიბლიური ლექსემა

ქართულ ენაში გვაქვს ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ბიბლიური წარმოშობისაა, მაგრამ ისინი იმდენად ორგანულადაა შერწყმული ხალხურ ტრადიციებთან, რომ, ერთი შეხედვით, თითქოს არც ჩანს მათი წარმოშობა. ასეთებია, მაგ.: ალილო (ალილოზე სიარული), ალილოობა; ამინი (ამინი ჩამოივლის, ამინს დაუცემს, ამინაის ჩამავლევა (ხევს.)...); ამინ და კირიელეისონ! კრიალოსანი (კრიალესვანი)...

**ალილო** 1. ჩვეულება: შობის წინა ღამეს მისალოცად კარდაკარ დადიოდნენ და მღეროდნენ „ალილოს“ (შდრ. ჭონა)... 2. გუნდის სიმღერა, ალილოზე სიარულის დროს შესრულებული. ...*ნელ-ნელა გაისმა კვლავ ის სუფთა, მშვენიერი ხმა, რომელმაც ალილო დაიწყო (რ. ინან.)...* (ქეგლა I, 2008). **ალილოობა** ალილოზე ჩამოვლის დრო, ალილოზე სიარული....“ (ქეგლა I, 2008). **მეალილოე ძვ. ეთნ.** ალილოს მთქმელი... (ქეგლ V, 1958).

ცნობილია, რომ **ალილო ალილუია**-დან არის მიღებული: „**ალილუია!** [- ებრ. hallelu „აქებდით ღმერთსა“] მღვდელმსახურებაში სხვადასხვა ლოცვის ბოლოს მისამღერი სიტყვა...“ (ქეგლა I, 2008). ეს სიტყვა ქართული სალიტერატურო ენის კუთვნილებად ბიბლიური წიგნების ქართულ ენაზე თარგმნისთანავე უნდა გამხდარიყო, – აღნიშნავს კორნელი დანელია, – რადგანაც ის მღვდელმსახურებაში გამოიყენებოდა და მრევლს ხშირად უხდებოდა მისი მოსმენა, მას მეტყველებაში ცვლილება უნდა განეცადა **ალილო** სახით. შემდეგ ამ სიტყვამ მნიშვნელობაც იცვალა და „ქრისტეს შობის

მისალოცად კარდაკარ სიმღერით სიარულის“ შინაარსი შეიძინა (კ. დანელია 1998) . თუშურ დიალექტში გვაქვს „**ალილოს კოტორძ**“ – დიდი ზომის კოტორი [= თუშური ქადა], საგანგებოდ მეალილოე-ბისათვის გამომცხვარი. ორს აცხობენ, ერთს მეალილოე ახალგაზ-რდები წაიღებენ, ხოლო მეორით იქვე გაუმასპინძლდებიან მათ: „*ვინც კარგაყ ალილოს კოტორს აცხობდ, სახელ იყვ*“ (გ. ცოცანიძე, თუშ. ლექს. 2002).

გვაქვს იდიომური ფრაზებიც: „**ღ ალილო და ხვალაო!**“ [რომ-ლის სინონიმური ფარდია: „**ღ აღდგომა და ხვალაო!**“ – „ვნახოთ, სულ მალე იქნება!“]; „**ერთი ალილო (ალილუია) მღვდელსაც შე-სცდებაო**“ (= „შეცდომა ყველას მოუვა“).

ქართულში დასტურდება გამოთქმები: „**ამინ ალილუია!**“; „**ამინ და კირიელისონ!**“

**ამინ ალილუია** იოანე ბაგრატიონის განმარტებით არის: „გა-ლობასა შინა ქართულსა ჭრელად წოდებული... ხოლო მნიშვნელობა **ამინ ალილუიასი** არის: სარწმუნოებით ვაქებდეთ უფალსა...“ (იოანე ბაგრატიონი, ქართული ლექსიკონი 1975).

გამოთქმას „**ამინ და კირიელისონ!**“ თედო სახოკია ასე გან-მარტავს: „**ამინ და კირიელისონ!** თანხმობის გამოცხადება: სწორედ ასეა, მორჩა და გათავდა! *ავილოთ ხელში საცეცხლურები და საკმევე-ლი ვუკმით, მინამ საქმე რამ გამოგვიჩნდება, ცუდად ჯდომას ხომ ცუდად შრომა სჯობია. ამინ და კირიელისონ! მორჩა, გათავდა!* (ილია)... **ამინ** ებრაული სიტყვაა, ნიშნავს: ეგრე იყოს! ებრაელთაგან ქრისტიანებმა შეითვისეს და ეკლესიაში ხმარობენ მღვდელმსახურე-ბის დასრულებისას. **კირიელისონ** ბერძნულია: **კირიე** – უფალო და **ელისონ** – შეგვიწყალებ...“ (თ. სახოკია, „ხატოვანი სიტყვა-თქმანი“).

ბერძნული ფრაზიდან მიღებული **კირიელისონ** [„უფალო შე-გვიწყალებ“] გამონათქვამისაგან არის წარმომდგარი სიტყვა **კრია-ლოსანი**: „**კრიალოსანი** [ბერძნ. Kirie eleison უფალო შეგვიწყალებ] 1. ეკლ. ზონარზე ასხმული მიძივები (ქარვის, გიშრის...), რომელთა მარ-ცვალ-მარცვალ ჩათვლით (მლოცველები) ინიშნავდნენ, რამდენი ლოცვა თქვეს და რამდენი მეტანია გააკეთეს... 2. ასეთი მიძივები, ჩა-სათვლელი – გულის გადასაყოლებლად, თავის შესაქცევად...“ (ქეგლ IV, 1955). როგორც აკაკი შანიძე აღნიშნავს, ასეთი წარმოშობა დაკავ-შირებულია კრიალოსნის თავდაპირველ დანიშნულებასთან: „ხში-რად ლოცვის დროს საჭირო იყო სიტყვების „უფალო შემიწყალებ“ რამდენჯერმე გამეორება, ამ შემთხვევაში იშველიებდნენ საჭირო

რაოდენობის ასხმულ მძივებს, ყოველი თქმისას თითოს ჩააგორებდნენ და როდესაც მძივები გათავდებოდა, მექანიკურად ხვდებოდნენ, რომ ლოცვები დასრულებულია...” (აკ. შანიძე III, 1980 : 124 [163]).

სულხან-საბასთან ეს სიტყვა **კრიალესვან**- ფორმითა დასტურდება: „**კრიალესვანი** სალოცავად ასხმული მარცვალნი“... (სულხან-საბა I, 1993).

ასეთივე წარმომავლობისაა ქართულში სიტყვა **ამინი//ამინა**.

„**ამინი!** [- ბერძნ. amen <- ძვ. ებრ.] 1. ეკლ. ჭეშმარიტია, ჭეშმარიტად! (დასკვნითი სიტყვა საეკლესიო ქადაგებათა და ლოცვებისა)... 2. საუბ. ითქმის დასტურის მნიშვნელობით. – *ტკბილად დაგაბეროთ!* – *ამინ და ეგრე იყოს!* (ვაჟა)...“ (ქეგლა I, 2008).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში დადასტურებულია აგრეთვე გაარსებითებული **ამინი** „უხილავი ძალა, რომელიც ვითომცდა ადამიანს ნატვრას უსრულებდა. ხომ გაგიგონიათ ძველი თქმულება: „ამინი“ დღეში სამჯერ ჩამოივლისო და, რასაც იმ დროს ინატრებს კაცი, აუსრულდებაო... „ამინი“ ერთი თვალის დახამხამებაზე ხდება. როცა ვეფხიამ და მზიამ ფრინველობა ინატრეს, „ამინმა“ ამინი დაუცა და გადაიქცნენ ბუებად (ვაჟა)...“ (ქეგლა I, 2008).

ცხადია, **ამინი**, „უხილავი ძალა“, „სული, რომელსაც ნატვრისა და წყევლის ახდენა შეუძლია“, მომდინარეობს ბიბლიური **ამინი//ამენ** ტერმინიდან. დიალექტებში არსებული გამოთქმებისა და ქეგლ-ში დამოწმებული ილუსტრაციის **ამინიც** (ვაჟა-ფშაველას მოთხრობიდან „როგორ გაჩნდნენ ბუები“) გახალხურებული, ფოლკლორიზებული ბიბლიური **ამინ**-ია [შდრ.: სულხან-საბა: „**ამინ** იყავნ, აღსრულდეს, გინა (ამინ C) ღმერთი...“].

საყურადღებოა გამოთქმები: **ამინი ჩამოივლის, ამინს დაუცემს, ამინი ხდება** (შდრ.: ხევს. **ამინა ჩამაივლის, ამინას დაუცემს, ამინას ჩამავლევა**...).

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გამოთქმა: **ამინას ჩამავლევა**. ალ. ჭინჭარაულის „ხევსურულ ლექსიკონში“ ვკითხულობთ: „**ამინა“-ს ჩამავლევის [ამინას ჩამავლევა]** ახალწულის სადღეგრძელოს დაღვევის შემდეგ, თითო სასმისს კიდევ ჩამოატარებენ და „ამინ, გაუმარჯოს“-ო, იტყვიან, ამას „**ამინას ჩამავლევა**“ ეწოდება“ (ალ. ჭინჭარაული, 2005). [შდრ.: **ალავერდს გადადის, ალავერდის გადასვლა**].

ივანე ქავთარაძე აღწერს ხევში არსებულ კიდევ ერთ ტრადი-

ციას: „**ამენ-ამენაის-ი** სიმღერის დასაწყისი სიტყვებია. ყველიერში სოფ. გარბანის ბავშვები იკრიბებოდნენ რომელიმე ოჯახში და მთელ სოფელს კომლდაკომლ ჩამოუვლიდნენ. ხელში ეჭირათ მორთული ხატები, რომლებზედაც ასხმული იყო ფერადი ღილები, მძივები, ჩვრები, წვრილი ზანზალაკები და სხვ. ოჯახს სთხოვდნენ რაიმე საწვავს და თან ლოცავდნენ ამ სიტყვებით: „**ამენ-ამენაისაო**, ჯორელ-კუტირელაისაო, ბოროლეთისაო, ჯმელეთისაო, კუტირეო-კუტირეო, შენ გაღმარჯუე ამათ ჯარსა, ამათ გუთანსა, მოლაშქრე-მონადირესა, შინ მშუიდობა მიე, კაის გამარჯობა, უმყოფე ჯალაბნი უსნეულოდა, გაატანინე მშუიდობიანი გუთანი!“ მოგროვილ საწვავს მიიტანდნენ იმ ოჯახში, სადაც იკრიბებოდნენ და იქ მხიარულობდნენ რამდენიმე დღეს“ (ივ. ქავთარაძე 1985). [შდრ. ალილოზე სიარული; ჭონა].

## **ნ ა ნ ა ხ ო ჭ ო ლ ა ვ ა - მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი**

### **მცენარე ჩალამძივას [Coix lacryma] აჭარული სახელების მოტივაციისა და ლაჭ-ლექსიკური ძირის სემანტიკისათვის**

მცენარეთა დიალექტურ სახელებში არაერთი უძველესი წარმოშობის ლექსიკური ძირი დასტურდება. მათ გამოსაცალკევებლად აუცილებლად მივიჩნევთ სათანადო ფიტონიმთა მოტივაციების გამოვლენას, რაც, თავის მხრივ, მარჯვე გზაა ძირთა სემანტიკის ამოსაცნობად.

მცენარე *ჩალამძივას* აჭარულ კილოში დადასტურებული სახელების მოტივაცია უნდა უკავშირდებოდეს მცენარის ნაყოფის ნიშან-თვისებებს, ფორმას და მის გამოყენებას, შდრ.: „**ჩალამძივი** ბალახოვანი მცენარე მარცვლოვანთა ოჯახისა; იკეთებს კვერცხის მოყვანილობის (სიმინდის მარცვლისოდენა) მაგარ სხეულებს, რომელსაც ხმარობენ მძივისა და კრიალოსნის ასასხმელად...“ (ქეგლ). ამასვე მიანიშნებს *ჩალამძივას* სხვა კილოური სახელებიც: *იოტა*, *ხის იოტა*, *იოტეს კეკალი*, *კაკილა* (გურ.); *ტატილა* (იმერ.); *გუგრი მზი* (ინგილ.); *თესაეს მძივი* (აჭარ.); *გირინიში ძია*, *დიხაში ძია* (მეგრ.); *თეს-ფიდი* (ლაზ.).

აღნიშნულ ფიტონიმებში გამოვაცალკევებთ **ღაჭ-** ლექსიკურ ძირს, რომელსაც ზანიზმად მივიჩნევთ. ქართველურ ენა-კილოთა ქვესისტემებში ის დასტურდება არა მხოლოდ მცენარეთა სახელებში, შდრ.: ქართ.: **ღაჭღაჭი** „ესე არს ჯორჯთა ნაწყობი, რომელ არს ვრონოხო“ (საბა); **ღაჭაია/ე** „паквинка“ (ბერ.); *მეგრ.*: **ღაჭი** „თაკვი“ (ქობ.); **ღაჭა-ქია/ღაჭაქია** „ცხრაფხა, კიბორჩხალა“ (ქაჯ.); „ასთაკვი, კიბორჩხალა (განგან მოძრავი)“ (ქობ.); *სვან.*: **ღაჭა/ ღაჭა** „ნიჟარა, ავგაროზი“ (სვან. ლექსკ.).

**ღაჭ-** ძირიან სახელებს უნდა უკავშირდებოდეს **ღინჭ-/ღვიჭ-/ღვინჭ-/ღვანჭ-** ძირის მქონე რიგი სახელები, რომელთა სემანტიკაა: „კენჭი“, „სახსარი“, „პატარა ნიჟარა“, „მივი“, „ავგაროზი“. ესენია: *ძვ. ქართული ღვინჭა, ღვჭა* „კენჭი წყალთა“ (საბა); *ღვნჭა, ღვნჭი-ი* „წურილოანი ქვა“ კენჭი“ (აბულ.); *ღვნჭი-ი/ღვნჭა-ა/ღვჭი-ი / ღინჭო-ა* (სარჯ.) „კენჭი“; *ღვინჭი-ი კუთხ.* (ხევს.) „თითის სახსარი (გარეთა მხრიდან), შდრ. **ღვანჭი-ი** (ქეგლ); **მჭრის ღვინჭი** (ხევს.) „მხართან ლავიწის ძვლის ბოლოში ამოხნიეილი ძვალი“ (ჭინჭ.); **ღვანჭი-ი ძვ.** „სახრელი, სადრეკელი“ (ჩუბ.), შდრ. **ღვინჭი-ი** (ქეგლ); **ღინჭილა** (ზმ-იმერ., მესხ.) „ფარღული, უბრალო მივი, პატარ-პატარა ნიჟარების მივი; მივიებისა და თვლების ასხმულა (ძველად იცოდნენ), აკვანზე ჰვიდებდნენ ბავშვის გასართობად“; **ღინჭილო** (ლექს.) „ყელსაბამი, ნიჟარები, სათამაშო აკვანზე“ (დლ.); **ღინჭილა** (ხევს.) „ღინჭილა, პატარა ნიჟარა“ (ჭინჭ.); **ღინჭილა** (მეგრ.) „ღვინჭილა, პატარა ნიჟარა, ყელზე, აკვანზე დასაკიდი ავგაროზი“ (იხ. აღიშკიბირი); **ღინჭილია** (მეგრ.) „ნიჟარა“ (ქობ.); **ღვინჭილა** „1. პატარა ნიჟარა; იკეთებდნენ თმაში, იბამდნენ ყელზე, ასხმულს კიდებდნენ აკვანზე (ცრუმორწმუნეობით მას ავი თვალისგან დამცავ თვისებას მიაწერდნენ) (ქეგლი) 2. მძრომი საბა“ - (ქეგლი); **ღვინჭილა** (ხევს.) „ნიჟარა, ნ. გველის თავი“; **გველის თავი** (ხევს., თუშ.) „ღვინჭილა, იხმარება აღვირის სამკაულად“ (შან.); **ღვინჭილა** (ფშ.) „მივიისებურად ძაფზე აცმული ნიჟარა, ფოლაქი, რომელსაც ცრუ რწმენის მიხედვით, ადამიანი, პირუტყვი უნდა დაეცვა ავი თვალისაგან“ (დლ.); **ღვინჭილა** „ლოკოკინა არს ერთსარქვლიანი, გველის თავის მსგავსი...“ (ბაგრ.).

ვფიქრობთ, ამ სახელთა ლექსიკური ძირებია: ქართ. **ღინჭ-** (<-**ღენჭ-** <- **ღეჭ-**), მეგრ. **ღაჭ-**, სვან. **ღაჭ-**, „ნიჟარა“ და, უკ. ყოვლისა, უნდა გულისხმობდეს **კაურის ნიჟარას**, რომელიც უძველესი დროიდან გამოიყენებოდა ყოფაში (როგორც ფული, სამკაული, ავგაროზი...). ეს **მოლუსკო** გავრცელებულია ინდოეთის ოკეანეში და ჩვენში უძველესი დროიდან შემოჰქონდათ (კაურის ნიჟარების ყელსაბამი აღმოჩნდა დმანისთან ნაპოვნ სამარხში ( ძვ. წ. VIII-VII ს.). მცენარე *ჩალამივის* ნა-

ყოფი და მისგან ასხმული მძივი ძლიერ ჰგავს კაურის ნიჟარების ყელსაბამს.

არ გამოვრიცხავთ აღნიშნულ ძირთა კავშირს მცენარეთა სხვა სახე-ლებთან და, ასევე, სპევ. ლიტ-ში დადასტურებულ მასალასთან: ს. ქართვ **ღექ-** „ღექვა“, „კრექვა“: ქართ. **ღექ-**, მეგრ. **ღაქ-** / ლაზ. **ღვანქ-**.

## ც ი რ ა ჯ ა ნ ჯ ღ ა ვ ა

### სემანტიკური ცვლილების შესახებ მეგრულის ზოგ ნასესხებ სიტყვაში

მეგრულში გამოიყოფა ნასესხები ლექსიკური ერთეულები, რომელთა მნიშვნელობას საინტერესო ცვლილება განუცდია. შევხე-ბით ზოგ მათგანს.

მეგრული **ჯიხა** სიტყვის შესატყვისია ქართული „**ციხე**“, რომელსაც ორი ძირითადი მნიშვნელობა აქვს: 1. „ციხესიმაგრე“, 2. „სა-პატიმრო“. მეგრულში მოხდა დიფერენციაცია: ნასესხებმა **ციხემ** მნიშვნელობა შეინარჩუნა, პირველი მნიშვნელობით კი **ჯიხა** გამოი-ყენება.

ნასესხები **დანა** მეგრულში იხმარება დანა-ჩანგლის ნაკრების შემადგენელი ელემენტის მნიშვნელობით, ზოგადად „დანის“ მნიშ-ვნელობით კი **ხამი** გვაქვს.

ქართული შესიტყვება **მეორედ მოსვლა** მეგრულში **მერთმო-სულა** სიტყვის სახით არის დამკვიდრებული და მისი მნიშვნელობაა „საოცარი, საკვირველი“.

ჩერქეზულიდან შეთვისებულად მიიჩნევა მეგრულში **ჭირკუ** „წვრილი“ (ვაშლი, მსხალი...), სათანადო სიტყვა ჩერქეზულში „მიწა-ვაშლას“ ნიშნავს (ვ. შენგელია).

სიტყვა „**ორგულს**“, რომელიც ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, „მზაკვარს, მუხანათს, მოღალატეს“ ნიშნავს, მეგრულში მიღებული აქვს „ზარმაცის, უქნარას“ მნიშვნელობა.

**უფროსი** უსესხებია მეგრულს და ფონეტიკურად შეცვლილი სახით გამოუყენებია ცოტა სხვა მნიშვნელობით – მეგრ. **უმოსი** „(უფ-რო) მეტი“.



სიტყვა **ქირსე** (<- ქრისტე) მეგრულში იხმარება „უფლისა“ და „ქრისტეობის“ აღსანიშნავად.

დადასტურებულია ქართული სიტყვა **ადამიანის** ხმარება მეგრულში „ქალის, მანდილოსნის“ მნიშვნელობით.

„**ციმბირი**“ რუსეთის ფედერაციაში შემავალი რეგიონის სახელია. ამ მნიშვნელობით ის დასტურდება მეგრულშიც, ამავე დროს, მისი ფონეტიკურად შეცვლილი ვარიანტი **ცინდირი** მეგრულში აღნიშნავს „შორეულ ადგილს“.

შავ ზღვაში შემოსული გერმანული კრეისერის სახელი მეგრულში იქცა საზოგადო სახელად – მეგრ. **გებენი** „ძლიერი, გოლიათი“.

ნასესხები **სარკე** მეგრულში ორი მნიშვნელობით გვხვდება: „სარკე“ და „მინა, შუშა“.

მეგრულში სემანტიკური ცვლილებებით შესული სიტყვების შესახებ უფრო დაწვრილებითი მსჯელობა წარმოდგენილი იქნება მოხსენებაში.

## **ნ ი ნ ო   ჯ ო რ ბ ე ნ ა მ ე**

### **ბილინგვიზმი და ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტები (ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა)**

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ბილინგვიზმის პირობებში ყველაზე ადრე უცხო (დომინანტი) ენის გავლენა დაქვემდებარებული ენის ჯერ ლექსიკაში (მათ შორის, ანთროპონიმია-ტოპონიმიაშიც) აისახება; შემდგომში (ხელისშემშლელი ფაქტორების არარსებობის შემთხვევაში) გავლენის არე ფართოვდება და ის გრამატიკის დონეზეც იჩენს თავს. რაც უფრო დიდია გავლენის სფერო და ხარისხი, მით უფრო დიდია საშიშროება, რომ დაქვემდებარებულ ენაზე მოლაპარაკენი დომინანტ ენაზე გადავლენ და მშობლიურ ენას დაივიწყებენ. ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების მონაცემები ამის ნათელი დადასტურებაა – ცნობილია, რომ ბოლო ასწლეულების განმავლობაში ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე ქართული ენა თანდათან დავიწყებას ეძლევა და თურქული ენა აქ გაბა-

ტონებული ხდება ენის ფუნქციონირების ყველა სფეროში – ოჯახიდან დაწყებული სახელმწიფო სამსახურის ჩათვლით. ასევე ნათლად იკვეთება შემდეგი სურათი – ენის დავიწყება ეროვნების დავიწყების წინაპირობა ხდება. შედეგად – ისტორიული ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე თანდათან იშლება ქართველთა არსებობის კვალი.

საბედნიეროდ, ამ სამწუხარო მოვლენის გამომწვევი ძირითადი და გადამწყვეტი ფაქტორები (ტაო-კლარჯელი ქართველი მოსახლეობის ძალით გამაჰმადიანების მიზანმიმართული პოლიტიკა, ქართული ენის დევნა-შევიწროება, საქართველოს ფარგლებში დარჩენილ სხვა ქართველებთან კონტაქტის შეუძლებლობა, თანამედროვე ტექნოლოგიების არარსებობა) მეტნაკლებად უკვე მოშლილია, რაც მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული იმ ქართული (ასევე ლაზური) ქვესისტემების დასაცავად და შესანარჩუნებლად, რომლებიც ჯერ კიდევ მოგვეპოვება აღნიშნულ ტერიტორიაზე.